

3  
10/2

ISSN 0132-5981



საქართველოს იურისტთა კავშირი

# სახელმწიფო და სამართალი

2,90

## ნომერშია:

საქართველოს იურისტთა კავშირის წინასაარჩევნო კლავტორმა.

ბორის უურაშვილი: გარდაქმნის კრიტიკული ფაზა.

სამეურნეო კანონმდებლობის თანამედროვე ტენდენციები.

კარლამენტარის ისტორიიდან საქართველოში.

ოფიციალური მასალა.

SOCIETAS IURISTARUM GEORGIAE  
CIVITAS AC IUS  
EPHEMERIS SCIENTIFICO-ACTIVA

**სარედაქციო სავაჭო:**

ვახტანგ აბაშმაძე, ლევან ალექსიძე, ანზორ ბაბიანი, ოთარ გონაძე,  
შოთა გორგოძე, ბივი ინჟირველი, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციტაძე,  
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, დურგინიანი ლორია,  
გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნებეიერიძე, ვახტანგ რაუშაძე, ჯურაბ რატიანი,  
ბრიგოლ როინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უზნაძე,  
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, რევაზ ყიფიანი, თამაზ შავჭავჭავაძე,  
ვიქტორ შარაშენიძე, ალექსანდრე უშანაშვილი, რამის ჩალაური,  
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯიანი.

**მთავარი რედაქტორი**  
**თევდორე ნინია**

**სარედაქციო კოლეგია:**

ანზორ არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი), ბელა ბერძენიშვილი (პაუზოგრაფი-მეცნიერი),  
მდივანი), ოთარ ბაშკაძე, როლანდ ბილიაშვილი, ავთანდილ დემეტრაშვილი,  
ვალერიან ედიშერაშვილი, მიხეილ კეკელიძე, მზია ლეკვიშვილი,  
ალექსი კაკუაშვილი, თეიმურაზ სიღამონია, ალექსანდრე ტალიაშვილი,  
ჯონი ხატურია, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალალაია.

# სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

თემატიკალი

გამოდის 1986 წლიდან

2 1990

## საძიებელი

### სუვერენიტეტი

საქართველოს იურისტთა კავშირის წინასაარჩევნო პლატფორმა . . . . .	3
ბორის ურაშვილი — გარდაქმნის კრიტიკული ფაზა . . . . .	7
ტარიელ ზამბახიძე — სამეურნეო კანონმდებლობის თანამედროვე ტენდენციები . . . . .	20
შოთა ფაფიაშვილი — კრიმინალისტური ვერსიების მართებული გაგებისათვის . . . . .	28

### პირველი ნაბიჯები მცენიერებაში

გია ლილუაშვილი — პირადი საკუთრების წარმოშობის წანამძღვარები საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში . . . . .	33
სსრ კავშირის კანონი სასამართლოს უპატივცემლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ . . . . .	39
ავთანდილ კობახიძე — კომენტარი . . . . .	40

### სასამართლო მსჯელობა: სიხლანი და პრაქტიკა

გიორგი ლალიაშვილი — შემნახველ ბანკში დატაცების საქმეთა ექსპერტიზა . . . . .	43
---	----

### პროცესული საკითხები

გიორგი ტყეშელიძე — თინათინ წერეთელი . . . . .	46
---	----

### ოფიციალური მასალა

საქართველოს იურისტთა კავშირში, საქართველოს იურისტთა კავშირიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები . . . . .	56
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში . . . . .	57

### პარლამენტარიზმის ისტორიიდან საქართველოში

საქართველოს დამფუძნებელი კრება: გაგრძელება მსჯელობისა მოქალაქეობის კანონის შესახებ (სტენოგრაფიული ჩანაწერები) . . . . .	63
--	----

**К суверенитету**

Предвыборная платформа Союза юристов Грузии . . . . .	3
Борис Курашвили — Критическая фаза перестройки . . . . .	7
Тариел Замбахидзе — Современные тенденции хозяйственного законодательства . . . . .	20
Шота Папнашвили — К правильному пониманию криминалистических версий . . . . .	28

**Первые шаги в науке**

Гиа Лилуашвили — Предпосылки возникновения частной собственности в первые годы советизации Грузии . . . . .	33
Закон Союза ССР об ответственности за неуважение к суду . . . . .	39
Автандил Кобахидзе — Комментарий . . . . .	40

**Судебная экспертиза: нововедения и практика**

Георгий Лалнашвили — Экспертиза дел хищений в сберегательном банке	43
--	----

**Персоналии**

Георгий Ткешелнадзе — Тинатин Церетели . . . . .	46
--	----

**Официальный материал**

В Союзе юристов Грузии. Кандидаты в депутаты Верховного Совета Грузинской ССР от Союза юристов Грузии . . . . .	56
В Министерстве юстиции Грузинской ССР . . . . .	59
Учредительное собрание Грузии: продолжение обсуждения Закона о гражданстве (стенографические записи) . . . . .	63



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 15.01.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.02.90 წ.  
ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 79

ტირაჟი 26 600

უფ 04030



# საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადება

საქართველოში გარდაქმნის პროცესი ორგანულად დაუკავშირდა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას. ტოტალური რეჟიმის ჩარჩოებში მოქცეული, უძველესი სახელმწიფოებრივი წარსულის მქონე ერი, ისტორიული ავბედითობის გამო მოწყვეტილი პოლიტიკური არსებობის საკუთარ საყრდენებს, სუვერენიტეტისაკენ მიისწრაფვის; ცდილობს გამოვიდეს დაქვემდებარებული პროვინციის მდგომარეობიდან და ეპოქის შესაფერი ეკონომიკით, კულტურითა და დემოკრატიული ინსტიტუტებით თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების სრულუფლებიანი მონაწილე გახდეს; ქართველი კაცი პირდაპირ ეწიაროს მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს და უშუალო წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში, როგორც ეს მისი სამშობლოს დამოუკიდებელი არსებობის ოაზისებში უკეთებია.

52561

საქართველოს მომავალი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სამართლებრივ ფორმებს საძირკველი უნდა ჩაუყაროს სწორედ მომავალმა უზენაესმა საბჭომ, რომელსაც ჩვენმა ხალხმა პირველად უნდა უყაროს კენჭი დემოკრატიული არჩევნების ვითარებაში. ამიტომ ახალი უზენაესი საბჭო ფაქტობრივად იქნება არა მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო, არამედ ერთგვარი დამფუძნებელი ორგანოც, რომელიც საფუძველს დაუდებს ქართული სახელმწიფოებრიობის თვისებრივად ახალ მოდელს. მისი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პოსტულატები იქნება ეროვნული სუვერენიტეტის და ხელისუფლებათა დანაწილების ზოგადსაკაცობრიო პრინციპები, ხალხის ნების გამომხატველი კანონების უზენაესობა, ადამიანის უფლებების და მათი დაცვის გარანტიების გაფართოება.

ახალმა კონსტიტუციამ, მოქალაქეობის, სახელმწიფო ენის, რეფერენდუმის შესახებ კანონებმა და სხვა კონსტიტუციურმა აქტებმა, რომელთა მიღება უზენაესი საბჭოს გადაუდებელი საზრუნავი იქნება, უნდა შექმნას რეალური სუვერენიტეტის პირობები და მოამზადოს იურიდიული ბაზა სამომავლო სამართალშემოქმედებისათვის.

უზენაესი ხელისუფლების თვალსაწიერში კუთვნილი, უპირველესი ადგილი უნდა დაიკავოს ადამიანმა, სწორედ მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს ეროვნული პარლამენტის მთელი საქმიანობა. უსამართლო აკრძალვებმა პიროვნება ტოტალური მქაიზმის დანაშაულად აქცია და დაუპარგა ბუნებრივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. საბოლოოდ

საქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საბ. რესპუბ.



უნდა დავძლიოთ ავტორიტარული მსოფლმხედველობისათვის ჩვეული აზრი რომ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები თითქოს სახელმწიფოს წყალობაა. სამართალშემოქმედება უნდა ეფუძნებოდეს იმ იდეას, რომ პიროვნება ადამიანის ზნეობრივი არსებობაა და მისი თავისუფლება მხოლოდ აღიარებაა სახელმწიფოსაგან, ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული სამართლის ბატონობის პირობებში.

პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის გზაზე უცილობლად უნდა მოიშალოს ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც წინ ედობება რეალური სამართლებრივი გარანტიების შექმნას. მრავალპარტიულობის საკანონმდებლო განმტკიცებით უნდა გამოირიცხოს ერთნებაობა — ერთი პირის, ერთი პარტიის ან ერთი რომელიმე ორგანოს მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციის შესაძლებლობა.

უზენაესი საბჭოს სამართალშემოქმედება უნდა გამოიხატოს ეროვნულ კანონმდებლობაში. საკავშირო თუ რესპუბლიკური კანონმდებლობა, რომელიც უმეტეს წილად პირველწყაროს ქართული თარგმანებია, არცთუ იშვიათად წინააღმდეგობაშია ქართველი და საქართველოს გარემოს შეგუებული სხვა ხალხების მართლშეგნებასთან, ხასიათთან, ჩვეულებებთან, ტრადიციებთან. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სამართლებრივი კულტურისა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების მემკვიდრეობითობის საფუძველზე.

აღრე შექმნილმა პოლიტიკურმა რეჟიმმა უგულებელყო ობიექტური ეკონომიკური კანონები, გაბატონდა მეურნეობრიობის არაბუნებრივი, მბრძანებლური პრინციპები. ძირითადი მწარმოებლური ძალა — ადამიანი, მისი ინტერესი, კერძო ინიციატივა, თავისუფალი მეწარმეობა ფეხქვეშ გაითვალა. ამიტომ, დამკვიდრებული ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უგულებელყოფენ პროვნებას როგორც სოციალური პროგრესის მთავარ ფაქტორსა და მიზანს, ხელს უწყობენ კორუფციას, ბიუროკრატიაში, აკნინებენ პროფესიონალიზმს, აჩანაგებენ ბუნებრივ ეროვნულ სიმდიდრეებს, ქმნიან კატასტროფულ ეკოლოგიურ მდგომარეობას — ამორალურია თავისი ბუნებით.

საქართველოს ეკონომიკამ უნდა აიღოს სოციალური ორიენტაცია, ანუ პიროვნების, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მისი მთავარი მიზანი უნდა გახდეს. ეროვნული ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და განსავითარებლად აუცილებელია ტრადიციული დარგების აღორძინება, მეცნიერებატევადი და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა; საკუთრების ყველა ფორმის ფაქტობრივმა და იურიდიულმა თანასწორობამ, ეკონომიკურ ურთიერთობებში ზოგადსაკაცობრიო პრინციპის — „დასაშვებია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის“ — დანერგვამ, საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფმა კანონმდებლობამ უნდა შექმნას ზნეობრივი ეკონომიკა.

მმართველობის ორგანოების საქმიანობა უნდა მოექცეს ზუსტ იურიდიულ ჩარჩოებში, უწყებრივი ნორმები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს კანონებთან; როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი რგოლები საჭიროა უფრო ფართოდ დაკომპლექტდეს იურიდიული განათლების მუშაკებით.

საქართველოს იურისტთა კავშირს მიაჩნია, რომ ადამიანთა უფლებების დაცვასა და განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სამართალდაცვის სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს. ამასთანავე იგი გმობს სახელმწი-



ფო უშიშროების, შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოების, სასამართლოების იმ საქმიანობას, რომელიც საბრალდებო გადახრით, უდანაშაულობის პრეზუმციის და მართლმსაჯულების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ფეხქვეშ გათელვით, მიმართული იყო ადამიანის როგორც უზენაესი ღირებულების, მისი სიცოცხლის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ პოლიციური სახელმწიფოს პირობებში.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში უცილობლად უნდა გადაიხედოს სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობის ტრადიციული მიზნები და პრინციპები. მათი მიზანი უნდა იყოს არა სამართალდარღვევებთან ბრძოლა ძველი ხერხებითა და მეთოდებით, არამედ კანონიერების განუხრელი დაცვა და განმტკიცება. უდანაშაულო ადამიანის პასუხისმგებლობის ყოველი ფაქტი საქართველოს იურისტთა კავშირის მიერ უნდა აღიქმებოდეს, როგორც პროფესიული ეთიკის უმძიმესი დარღვევა, აქედან გამომდინარე უმკაცრესი შედეგებით.

სამართალდაცვის ორგანოები უნდა განთავისუფლდნენ რეპრესიული ფუნქციებისა და ვიწრო უწყებრივი ინტერესებისაგან; მათი საქმიანობის განმსაზღვრელი უნდა გახდეს პიროვნების, საზოგადოების ინტერესების დაცვა.

მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში კუთვნილი, წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს სასამართლოს. სწორედ იგი უნდა იქცეს ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრეს გარანტიად ყოველგვარ კონფლიქტურ სიტუაციაში, რაც სულაც არ უნდა ნიშნავდეს სამართალდაცვის სხვა ორგანოების როლის დაკნინებას. პირიქით, მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ერთადერთი ორგანოს გამართულ საქმიანობას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას, რაც კანონიერების, საზოგადოების დემოკრატიულობის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის საიმედოობის უტყუარი მაჩვენებელია.

სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების, მისი მიუკერძოებლობის საგულისხმოდ გარანტიად გვესახება ზოგადი წესის დამკვიდრება, რომლის მიხედვით მოსამართლეები უნდა ირჩეოდნენ ხელისუფლების შემდგომი ორგანოების მიერ, პარტიულობის მიუხედავად.

იუსტიციის სამინისტრომ უნდა სრულყოს სასამართლოებზე ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები.

უნდა გადაინიჭოს პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის ძირითადი პრინციპებიც. მისი სისტემა და ორგანიზაციის წესი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს რეალური სუვერენიტეტის კონკრეტულ გამოხატულებას. პროკურატურის ორგანოების ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ კანონთა ზუსტ შესრულებაზე ზედამხედველობა. საჭიროა ჩამოყალიბდეს ერთიანი, ცენტრალიზებული, დამოუკიდებელი საგამოძიებო აპარატი, რომელიც გააერთიანებს პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა სისტემებში არსებულ საგამოძიებო სამსახურებს.

აუცილებელია ადვოკატურის როლის ამაღლება. მისი საქმიანობის გარანტიების სრულყოფა. ადვოკატურა უნდა წარმოადგენდეს ნებაყოფლობით, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც განთავისუფლებული იქნება სახელმწიფო-უწყებრივი კონტროლისა და ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობისაგან.

მიზანშეწონილია კარდინალური ღონისძიებების გატარება სახელმწიფო

არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, კერძოდ, მათი გამოყვანა მმართველობის ორგანოების სისტემიდან და სამეურნეო სასამართლო სისტემის შემადგენლობაში შექმნა.

ეკონომიკის მწყობრ, სამართლებრივ საწყისებზე გადაყვანა ბუნებრივად ითხოვს სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის როლის განვითარებას, რომლის უზრუნველყოფაც იურისტების პროფესიული მოვალეობაა.

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ახალმა იურიდიულმა კულტურამ უნდა უკუაგდოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფეხმოკიდებული, კორუფციასთან, მექრთამეობასთან, თვითნებობასთან წინააღმდეგობის სოციალური ტიპი, რომელიც ავტორიტარული სახელმწიფო აპარატის მორჩილი ხელქვეითია და არა სამართლიანობისათვის მებრძოლი პროფესიონალი, ღირსეული მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე.

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა ახლებურ იურიდიულ აზროვნებას მოითხოვს. სამართალმცოდნეობაში, ისევე როგორც ჰუმანიტარული აზროვნების ყველა სფეროში, მოწმენი ვართ ღირებულებათა გადაფასების მასშტაბური პროცესებისა. უკუგდებულა ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი სამართალგაგება, რომელიც აიგივებდა სამართალსა და მმართველი აპარატის ნებას. სამართალი ახლა მოიაზრება როგორც რთული სოციალური, მრავალწახნაგოვანი მოვლენა, რომელიც ინსტიტუციურ ნორმებში მოიცავს ობიექტური სოციალური ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილ უშუალო საზოგადოებრივ მოთხოვნებს და მართლშეგნებას. ახლებურმა სამართალგაგებამ გამოხატულება უნდა პოვოს თანამედროვე სამართალშემოქმედებაში. ქართული იურიდიული მეცნიერება მოვალეა პირუთვნელად ასახოს მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესები, წარმოაჩინოს ეროვნული ცხოვრების სპეციფიური სფეროები და გზა გაუხსნას ეროვნულ სამართალშემოქმედებას. ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის, ყოველი ჯანსაღი საზოგადოებრივი მოთხოვნის იურიდიული ფორმების მიღებას.

იურისტთა კავშირის მიაჩნია, რომ საქართველოში შექმნილი ეთნოკრიზისები ინსპირირებულია ანტიქართული, ანტიდემოკრატიული ძალების მიერ და ყველანაირად უშლის ხელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებსადმი ღრმა პატივისცემამ, ქართულმა კეთილმოსურნეობამ და ურთიერთმხარდაჭერამ სულაც არ უნდა შეუშალოს ხელი ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და რესპუბლიკის ტერიტორიის დღეისათვის არსებული ავტონომიაციის ზოგიერთი საკითხის გადასინჯვას.

ქართველი იურისტების ერთ-ერთი მამულიშვილური მისია უნდა წარმოადგენდეს ეროვნული იურიდიული კულტურის ამაღლებით, რაც გაულისხმობს საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივ განსწავლულობას და პატივისცემას ხალხის ნების გამოხატველი კანონებისადმი.

თავისი საქმიანობის უზენაეს მიზნად საქართველოს იურისტთა კავშირი აღიარებს პიროვნების თავისუფლების მიღწევით საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

საქართველოს იურისტთა კავშირი.

ბორის უსრაშვილი

## გარდაქმნის კრიტიკული ფაზა\*

გარდაქმნას კრიტიკული ფაზა დაუდგა. აღარ შეიძლება მომწიფებულ გადაწყვეტათა გადადება, ქვეყანა მზადა იფეთქოს, შეიმჩნევა კონსერვატიული ძალების დამუხრუჭების მექანიზმის მკვეთრი გააქტიურება. ახლა არა არის რა იმაზე უფრო საშიში, ვიდრე ბოლომდე უთქმელობა, უპრინციპობა, გასაგები სურვილი იმისა, რომ გააზვიადო პირველი წარმატებანი, ვილაცას აამო, ვილაცა დაამშვიდო. ყოველივე ეს ცუდ სამსახურს გაუწევდა წმიდათაწმიდა საქმეს და მის მოღვაწეებს, რაც მთავარია — მრავალტანჯულ საზოგადოებას, რომელიც იძულებულია ახალი განსაცდელისათვის ემზადოს.

სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა პირველი ყრილობა ისტორიული მოვლენა იყო. მან საზოგადოება კრიტიკულობითა და დემოკრატიზმით შესძრა. მაგრამ იმედიც გაუცრუა იმით, რომ არაკონსტრუქციული იყო გარდაქმნის პრინციპული პრობლემების დაყენებასა და გადაჭრაში. მ. ს. გორბაჩოვს მრავალჯერ უთქვამს, ჩვენ გარდაქმნის კონცეფცია გვაქვსო, მაგრამ იგი ვერა და ვერ ჩამოყალიბდა საქმაოდ კონკრეტული და მკაფიო ფორმით. მას მოუყვანია ლენინის აზრი, თავიდან რომ ავიცილოთ მერყეობა და უპრინციპობა პოლიტიკაში, კერძო საკითხები ზოგად საკითხთა გადაჭრის ბაზაზე უნდა გადავწყვიტოთ. სინამდვილეში ეს ბაზა არც ყრილობას, არც შემდეგ უზენაეს საბჭოს არ ჰქონია.

მხოლოდ ახლა გადავედით კრიტიკიდან მთავარ მუშაობაზე. იგი წარმოებს სამი მიმართულებით: მოვახდინოთ სოციალური და პოლიტიკური არჩევანი და დავამკვიდროთ იგი კანონებით; ჩამოვაყალიბოთ ახალი პოლიტიკური და სახელმწიფო მექანიზმი; ხელახლა შევქმნათ საბჭოთა ფედერაცია ახალ საფუძველზე. საერთო შედეგი უნდა გახდეს საზოგადოების ახალი მოდელი.

### 1. სოციალური არჩევანი

წინააღმდეგ დაკანონებული იდეოლოგიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ არჩევანი სოციალიზმის სასარგებლოდ მოხდენილია საბოლოოდ და გადაჭრით, ქვეყანა კვლავ დადგა საზოგადოებრივი წყობილების არჩევანის წინაშე: სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: კლასიკური, მარქსისტულ-ლენინური, „მეცნიერული“ სოციალიზმი მისი ახალი, თანამედროვე იერსახით თუ ნეოკაპიტალიზმი, როგორც არსებითად სოციალიზმ-

\* წერილი დაწერილია სპეციალურად ჩვენი უურნალობისათვის.

ბული და ჰუმანიზებული კაპიტალიზმი, რომელიც, ყველა თავის მანქისა და ნაკლის მიუხედავად, უზრუნველყოფს საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრების მაღალ დონეს, სწორედ იმ კეთილდღეობას, რომელსაც სოციალიზმი დაჰპირდა, მაგრამ ვერ აუსრულა.

ნეოკაპიტალიზმსა და საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების ნეოკაპიტალისტურ გზას, უკვე ჰყავს ჩვენში მომხრეები, კერძოდ სახალხო დემუტატებსა და უზენაესი საბჭოს წევრებს შორისაც. იყო პირდაპირი გამოსვლები ამ სოციალური არჩევანის სასარგებლოდ. მეტწილად კი მისი მჯობინება ჯერჯერობით არაპირდაპირი ფორმით, მაგრამ სულ უფრო მეტი დაჟინებით გამოიხატება.

ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი მოსაზრებანი. არავინ იცის, რა არის სოციალიზმი. მიუხედავად ამისა ცნობილია, რომ იგი ჩვენში არ ყოფილა და არ არის, იგი არის იმ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, შვეციით დაწყებული და შვეიცარიით დამთავრებული, სადაც მიღწეულია ცხოვრების მაღალი დონე. მარქსი გამოდიოდა არა კერძო საკუთრების, არამედ მისი მონოპოლიის წინააღმდეგ და მიაჩნდა, რომ დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია მხოლოდ მაშინ არის ექსპლოატაცია, როცა „მეტისმეტია“. ადამიანთა თანასწორობა არარეალურია, ეს მითია. თავისუფლება თანასწორობაზე უფრო მნიშვნელოვანია. საერთო-სახალხო საკუთრება ფიქციაა. საჭიროა მიწისა და მრეწველობის დენაციონალიზაცია. გარდაქმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ რადიკალურად, თუ შეუზღუდავად იქნება დაშვებული კერძო საკუთრება. „პრივატიზაციის“ გარეშე გარდაქმნა არ არის. სახელმწიფო საწარმოები უმჯობესია გადავკეთ კერძო ხელში ან სააქციო გავხადოთო. თანასწორუფლებიანია საკუთრების ყველა ფორმა, დაწყებული კერძოთი, კაპიტალის მიხედვით განაწილება: თითოეულს — თავისი, ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ მხოლოდ უუნარო და ზარმაცი, შურით შეპყრობილი ადამიანები. ისინი ლაგამამოდებული უნდა გვყავდეს. რჩეულთა გარეშე, რომლებიც სწორედ რომ ღირსი არიან სარგებლობდნენ თავისუფლებით, პროგრესი არ არის. თავისუფლება ყველასათვის არარეალურიც არის და დამანგრეველიც. განვითარების სტარტეგია გამოიხატება არა სოციალიზმის რალაც რაციონალური მოდელების გამოგონებით და საზოგადოებისათვის მათი „ძალად თავს მოხვევით“, არამედ მუდმივი კონკრეტული ნაწილობრივი გაუმჯობესებით, რომელიც რეალურად შესაძლებელია ამ ვითარებაში. საერთო შედეგი იქნება სწორედ სასურველი საზოგადოებრივი წყობილება, რა სახელიც უნდა ერქვას მასო. აი ასეთი იდეოლოგიური კვერი ცხვება „დეიდეოლოგიზაციის“ აღმით. რეკაპიტალიზაციის პროპაგანდა მოდა გახდა.

ჩვენს თვალწინ ყალიბდება გარდაქმნის კონცეფციისა და პოლიტიკის ერთ-ერთი ვარიანტი: იგი განიმარტება საბჭოთა სოციალიზმის ნეოკაპიტალისტური ევოლუციის სულისკვეთებით. ეს ვარიანტი გარეგნულად საკმაოდ ლოგიკურია, იგი ჩამოყალიბდა არა ჰაერში, არამედ „აქ“ ღრმა დეფორმაციებისა და „იქ“ წარმატებული პრაქტიკის ნიადაგზე. არცთუ იშვიათია „გულდაჯერებულო“ დასკვნები, „ჩვენ კაპიტალიზმისაკენ მივყავართ“, მგონია, საკმარისი საფუძვლები საამისოდ არ არის. ნუ გადავვარდებით ზესიფხიზლეში, ეს სახიფათოა. პოლიტიკაში შესაძლებელია ყოველგვარი ვარაუდები, მაგრამ საჭიროა ვეყრდნობოდეთ ფაქტებს. ნამდვილად არის, არსებობს მხოლოდ იდეოლოგიური ტენდენცია. მის მიღმა, ეტყობა, დგას არა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, არამედ ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანი

ჯგუფი ან ფენა. რომელთა ინტერესებსა და შეხედულებებს შეესაბამება მოვლენათა ასეთი განვითარება. იდეოლოგიური ტენდენციის ბაზაზე დრამა თა განმავლობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს პოლიტიკური მიმდინარეობაც და მისი მეთაური ორგანიზაციაც.

უკიდურესად კონტრასტული იდეოლოგიებისა და პოლიტიკური კურსების დრო წარსულს ჩაბარდა. ამჟამად, თუ ანალოგიისათვის ცისარტყელას ფერებს გამოვიყენებთ, უნდა ამოვირჩიოთ წითელი („თბილი“) ან ლურჯი („ცივი“) საერთო ტონი, ამასთან აუცილებლად უნდა იყოს მათ შორის მყოფი მწვანე ფერი.

დადგა დრო ვაღიაროთ, რომ ყველა გზას რომისაკენ მივყავართ. რომ პროდუქტიულია არა მარტო კაცობრიობის სოციალისტური განვითარების რევოლუციური გზა, რომელიც მარქსიზმმა გამოაცხადა და პრაქტიკულად ოქტომბერმა დაიწყო, არამედ სხვა, ევოლუციური გზაც, რომლის პროდუქტი ნეოკაპიტალიზმი გახდა. რომ ნეოკაპიტალიზმი, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული შესრულებით (მკაფიო მაგალითია შვეიცია), გარკვეულწილად არა მარტო სოციალისტურია, არამედ პერსპექტივებიც აქვს. რომ სოციალიზმს ისღა დაჩჩენია, რომ გადაიქცეს ნეოსოციალიზმად, რისთვისაც საჭიროა თავი დავადწიოთ წინანდელ დოგმებს და შევიარადღეთ ევოლუციური იდეებითა და მეთოდებით. რომ საჭიროა არ ვუღალატოთ საერთო სოციალისტურ ორიენტაციას, დავრჩეთ იდეოლოგიური და პოლიტიკური სპექტრის თბილ წითელ ნაწილში და ამავე დროს გავითვალისწინოთ ორი სისტემის დაახლოების რეალურად მიმდინარე პროცესი.

მსოფლიო ისტორიამ უკვე შეიძინა განვითარების ორი დაახლოებადი გზის — ნეოკაპიტალისტური და ნეოსოციალისტური გზების ურთიერთმოქმედების, მეტოქეობის, ბრძოლის ხასიათი. მაგრამ თითოეულ ქვეყანას, მათ შორის სსრ კავშირს, შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი მათგანი და ამაოდ არ დაშვრეს მათ ეკელექტიკურ შეთავსებაში. ის, რაც ერთმანეთს ეთავსება მსოფლიო ასპარეზზე, მსოფლიო პროცესში, არ შეიძლება შეთავსდეს (ბადებს უღდეურ გონჯს) ეროვნულ საზღვრებში. ქვეყანა ირჩევს ერთს ან მეორეს. ყველა გზას რომისაკენ მივყავართ, მაგრამ ერთ მგზავრს არ შეუძლია იაროს ერთბაშად ორივე გზით.

რა თქმა უნდა, საქმე არ ამოიწურება ერთხელ და სამუდამოდ მოხდენილი ერთდროული არჩევანით. ორი იდეოლოგიის, სოციალიზმის მიმართულებით ორი გზის, ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული, თუმცა დაახლოებადი სისტემის — ნეოსოციალიზმისა და ნეოკაპიტალიზმის მეტოქეობა წავა შორს, X:XI საუკუნეში და მრავალ, ახლა ბუნდოვან, ამოცანას დაუსახავს პოლიტიკას. მაგრამ განვითარების ახლანდელ ეტაპზე არჩევანი უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და არაორაზროვნად. სხვაგვარად გარდაქმნის რაიმე რეალური შემობრუნება შეუძლებელია. ვფიქრობ, ძირითადი სოციალური არჩევანი მოხდება არა ნეოკაპიტალიზმის, არამედ ნეოსოციალიზმის სასარგებლოდ. სხვა რამ საბჭოთა საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობაში იქნება სოციალური ავანტიურიზმი, რომელიც საზოგადოების დესტაბილიზაციას მოახდენს და მას სამოქალაქო ომის ზღვარზე დააყენებს.

ჩამორჩება რა ნეოკაპიტალიზმს, ასე ვთქვათ, რაოდენობრივად, მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის დონის მხრივ, სოციალიზმი, „რეალური“, შელახულიც კი, თავის მეტოქეს უსწრებს თვისებრივად, უწინარეს



ყოველისა სოციალური თანასწორობის მიღწეული დონით. არ შეიძლება განაზღვრება თანაბრებასთან ერთად უკუგადაღებდეთ თანასწორობას. როგორც უნდა აბრუებდნენ მას ზოგიერთი იდეოლოგი და ანგარებიანი, ელიტარობის დამჩემებელი მოღვაწენი, თანასწორობა უდიდესი სოციალური ღირებულებაა, მისი უქონლობა ვერაფრით ვერ ანაზღაურდება, თავისუფლებითაც კი. უთანასწორო უკვე ამის გამო არ არის თავისუფალი, იგი დამოკიდებული, დაჩაგრულია. თავისუფლებაზე რჩეულთა მიზანდასახულობა ეგოისტური, ანგარებითი, არაკეთილშობილურია. კეთილშობილურია მისწრაფება ყველასათვის თანასწორი თავისუფლებისადმი, — მაშასადამე, თანასწორობისადმი. უფრო მეტად, ვიდრე სხვა რამ, იგი ემსახურება საზოგადოებისა და კაცობრიობის ინტეგრაციას. ეს არსებითად, ზოგადსაკაცობრიო ზნეობის ქვაკუთხედი.

ისტორია ესწრაფვის საზოგადოების წევრთა არა მარტო სულ უფრო მეტ თავისუფლებას, არამედ სულ უფრო მეტ თანასწორობასაც. რა თქმა უნდა, საქმე ეხება არა პიროვნულ თანასწორობას — უნარში, პოტენციაში, ინდივიდუალურ თვისებებში, ბედში. ამ მხრივ ადამიანები ბუნებით უთანასწორო არიან და არც შეიძლება იყვნენ თანასწორნი. მონაჩმანი სოციალიზმის დროს ადამიანთა ერთფეროვნებაზე გულუბრყვილოთათვის არის განკუთვნილი. ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ძერწავს თავის პიროვნულ ტიპებს, მათი წყება სოციალიზმის დროს არანაირად არ არის იმაზე უარესი ან იმაზე უფრო ვიწრო, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. ასევე უდიდესია ტიპების: პათოლოგიური, საშუალო, ობიექტული (ყველაზე გავრცელებული თვისებების მატარებელი), ბირთვული (ყველაზე დამახასიათებელი თვისებების მატარებელი), კეთილშობილი, ელიტური (ყველაზე მაღალი თვისებების მატარებელი) ტიპების მრავალფეროვნება.

სოციალური თანასწორობა — ეს ის გახლავთ, როცა არ არის ქონებრივი ხასიათის პრინციპული, თვისებრივი სხვაობა საზოგადოების წევრებს შორის, სხვაობა სასტარტო პირობებში, თვითრეალიზაციის ობიექტურ შესაძლებლობებში. ასეთ თანასწორობას უზრუნველყოფს უმთავრესად ორი რამ: წარმოების ძირითად საშუალებათა საზოგადოებრივი, უწინარეს ყოველისა, სახალხო (მცდარად — „სახელმწიფო“) საკუთრება (მაშასადამე, კერძოკაპიტალისტური საკუთრების გამორიცხვით) და უპირატესად შრომის მიხედვით (და არა კაპიტალისა და შრომის მიხედვით) განაწილება. არც მეტი, მაგრამ არც ნაკლები.

თუ სოციალური თანასწორობის ამ ორ ძირითად მახასიათებელს დავუმატებთ აქტიურ (ეს სრულიადაც არ გულისხმობს მხოლოდ „მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ“) როლს სახელმწიფოსას, რომელიც, როგორც მესაკუთრის — ხალხის წარმომადგენელი, მისი ინტერესებისათვის განკარგავს სახალხო ქონებას, სწორედ ეს იქნება, სოციალიზმის კლასიკური და ამ ნაწილში ჩამორჩენილი უდავო თეორიის თანახმად, მისი სამი ძირითადი ნიშანი, რომლებიც მას გამოარჩევენ ყოველი სხვა საზოგადოებრივი წყობილებისაგან, კერძოდ ახალი კაპიტალიზმისაგანაც. ეს განმასხვავებელი, ფორმაციული ნიშნებია. ხოლო არაგანმასხვავებელი, ზოგადცივილიზაციური ნიშნებია ბაზარი და პოლიტიკური დემოკრატია.

სოციალიზმი, თუნდაც სრულად რომ ასხამდეს ხორცს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპს, ამით გულისხმობს, ადამიანთა შრომის უთანასწორობის გამო, მნიშვნელოვან სოციალურ უთანასწორობას. მაგრამ მაინც სულ უფრო მეტი სოციალური თანასწორობისაკენ კაცობრიო-



ბის შეუნელებელ მოძრაობაში იგი პრინციპულად უსწრებს წინ ნეოკაპიტალიზმს. აზრი არა აქვს იმას, რომ სოციალიზმმა უკან დაიხიოს მიღწეული მიჯნისაგან და მერე კვლავ აიღოს იგი, თუ არის გადაჭვდულები და მასზე დამკვიდრების იმედი. როგორც ჩანს, სოციალიზმი არც დაიხვეს უკან, სანამ ასეთი იმედი არსებობს.

და საქმე მარტოოდენ რაციონალისტური მოსაზრებები როდია. საქმე კიდევ ღრმა მასობრივი გრძნობები და განწყობილებებიცაა. საბჭოთა საზოგადოების ნეოკაპიტალისტური ევოლუციის თავგამოდებულ მომხრეთა სამწუხაროდ, ამ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია დამყარდა და არსებობს საერთოდ კაპიტალიზმისა და, კერძოდ, მისი ნებისმიერი ფორმის შეუპოვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური უარყოფა. ეს ფუნდამენტური სოციალური ფაქტია. სოციალიზმისადმი მიდრეკილება უძლეველია. მტაცებელი კოოპერატორები (და არამც და არამც პატიოსანი მშრომელები, რამდენიც უნდა გამოიმუშაონ მათ) სძულთ არა ყბადალებული შურის გამო, არამედ იმის გამო, რომ ისინი არიან საზოგადოების კაპიტალისტური გადაგვარების სულმდაბალი, უწმინდური, მრავალთა თვალში ტარტაროზული მაუწყებელნი. ხალხის უმრავლესობა ამ გადაგვარებას, ალბათ, უარყოფს, „არ მოითმენს“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმიტომაც, რომ ნეოკაპიტალიზმს სჭირდება ცივილიზებული კაპიტალისტები, ასეთები კი ჩვენში არ არიან და ახლანდელ თაობაში არ იქნებიან.

საზოგადოებრივი წყობილების სიმტკიცეს საფუძვლად უდევს ის თვისებები, რომლებიც აქვს მის ყველაზე მასობრივ სოციალურ ტიპს — ობივატელს ამ სიტყვის არასაწყენი, პოზიტიური მნიშვნელობით. ჩვენი ობივატელი მთლად კარგად ვერ მუშაობს, მაგრამ უმეტესწილად სულიან-ხორციანად ერთგულობს სოციალიზმს. მისი სულისკვეთება და პოლიტიკური ქცევა მის შრომითს ქცევაზე უფრო მაღალია. ძალიან ძნელია შეაჩვიო იგი კარგ მუშაობას მას შემდეგ, რაც დიდხანს ცხოვრობდა საზოგადოებრივი წყობილების დროს, რომელიც ამ ბოლო ხანს არსებობდა იმ მოდელის ფორმით, რომელსაც ლ. ი. აბალკინმა „სხვისი მოიმედებობითი სოციალიზმი“ უწოდა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გადააჩვიო იგი სოციალიზმს. სოციალიზმი, თუნდაც ხარვეზებიანი, დამყარდა და უკანდასახევი გზა არ არის. გაიხსნა წინ — დემოკრატიული სოციალიზმისაკენ სვლის არცთუ იოლი გზა.

თუ არ ჩავთვლით ორ ომს, სამოქალაქოსა და სამამულოს, ესოდენ კრიტიკულ მდგომარეობაში, როგორც ახლანდელი, საბჭოთა სოციალიზმი ჯერ არ ყოფილა. წარმოუდგენელმა უყაირათობამ, უნიჭო ხელმძღვანელობამ იგი გაკოტრების პირას მიიყვანა, ჩამოაცილა მას მრავალი მომხრე, ურწმუნოება დათესა ახალგაზრდა თაობაში. პარტიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტი დაეცა. რეკაპიტალიზაციის მომხრეებს ახლა იშვიათი, უფრო სწორად, უკანასკნელი შანსი აქვთ. რაკ ეს ვსმით, ისინი ავითარებენ მძაფრ აქტიურობას სოციალიზმის კომპრომეტაციისა და ნეოკაპიტალიზმის აბოლოგისათვის. მწიფდება გენერალური პოლიტიკური ბრძოლა — კერძო (არა ინდივიდუალური, არამედ კერძოკაპიტალისტური) საკუთრების ლეგალიზაციის გარშემო. თუ შეეცდებიან ძალით შემოგვაჩიონ იგი, აზრი არა აქვს თავს ვარიდებდეთ მას. მაგრამ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ კერძო საკუთრების დაშვება ჩვეულებრივი გარდაქმნითი ღონისძიება არ არის. საბჭოთა სოციალიზმი მოპოვებული და აშენებულია უმძიმეს, ტიტანურ ბრძოლაში, ხალხის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლის ფასად. ელემენ-



ტარული პოლიტიკური წესიერება მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბებული საფუძვლები, მიიღოს ხალხმა უშუალოდ — რეფერენდუმით, ალბათ, კვალიფიციური უმრავლესობით.

ზოგიერთი მკითხველი შეიძლება გაოცდეს: ხომ არ ვაზვიადებთ სოციალური არჩევანის პრობლემის აქტუალურობას? განა იგი არ მოახდინეს გარდაქმნის ხელმძღვანელებმა, რომლებსაც არაერთხელ განუცხადებიათ, რომ სოციალიზმს ერთგულობენ? დიახ, ასეთი განცხადებანი კეთდებოდა და კეთდება, მაგრამ ისინი, ჯერ-ერთი, უფრო კონკრეტული უნდა იყოს. და მეორეც, ეს განცხადებები ჯერ ხდებიან სახელმწიფო გადაწყვეტილებანი და ხორცს ისხამენ კანონებითა და მათი შესრულების პრაქტიკით და მეორე იქცევიან პოლიტიკად. არის იმედი და რწმენაც კი, რომ არჩევანი სოციალიზმის, ახალი სოციალიზმის სასარგებლოდ მოხდება და დამკვიდრდება კანონებში, მაგრამ იმის თქმა, იგი უკვე მოხდენილიაო, ნაადრევია.

სოციალურ დეკლარაციებს ახლა ფრთხილად, გარჩევით უნდა ვუდგებოდეთ. თუ ნეოკაპიტალიზმი „სოციალიზმიც“ არის, სიტყვებს „მე სოციალიზმს ვემხრობი“ იქვე უნდა სდევდეს დაზუსტება, განმარტება, სახელდობრ რომელ — ნეოკაპიტალისტურ თუ ნეომარქსისტულ (ორთოდოქსალურ, მაგრამ განახლებულ) სოციალიზმს. ეს არის ის, რაც საჭიროა? ზოგადი მტკიცებანი კი სოციალიზმის ერთგულების შესახებ უშინაარსო ვახდა, დაკარგა აზრი.

**2. ოპტიმალური პოლიტიკური კურსი**

შევეცადოთ გარდაქმნის პოლიტიკა დავახსიათოთ მარცხენისა და მარჯვენის საერთოდ მიღებული პოლიტოლოგიური ცნებების მეშვეობით.

ჩვენს ქვეყანაში ჭარბობს მემარცხენეობის თაყვანისცემა — ის საყმაწვილო სენი, რომლის შესახებაც ერთ დროს წერდა ლენინი. ჩვეულებრივ შეგნებაში დამკვიდრდა, რომ „მემარცხენეები“ გაბედული ადამიანები არიან, რომლებიც ბრძოლაში იწვევენ ხელისუფალთ, „მემარჯვენეები“ კი — ყოველგვარი შემგუებლები და კონსერვატორები. რა თქმა უნდა, მემარცხენეობის ასეთი გაგების მასტიმულირებელი გავლენით (და სხვა ფაქტორების ძალით) გაიზარდა თავისებური ფენა — „ლუმპენპოლიტიკოსებისა“. რაც უფრო ოპოზიციურია, მოჩხუბარია, ხმაურიანია, მით უფრო „მემარცხენეა“. თანამედროვე „პიკესილტებიანებისაგან“ მემარცხენეობის ეს გაგება პუბლიცისტიკაში გადავიდა. რაც შეეხება დანარჩენ სამყაროს, იქ მემარცხენეობა, ცენტრიზმი და მემარჯვენეობა პოლიტიკის ფრიად სერიოზული, უფრო მეტიც, ფუნდამენტური მახასიათებლებია. მემარცხენეობა ნიშნავს ორიენტაციას მეტ სოციალურ თანასწორობაზე, მემარჯვენეობა — ნაკლებზე, ხოლო ცენტრიზმის ნაირგვარი ვარიანტები — რაღაც შუალედურ მდგომარეობაშია. რადიკალურობა კი, ისევე როგორც ზომიერება, — ეს მხოლოდ დამატებითი მახასიათებლებია.

ყველაზე გავრცელებული ტიპოლოგიის თანახმად, ობიექტურად შესაძლებელი ალტერნატიული პოლიტიკური კურსი რვაა. სპექტრის მარცხენა ნაწილშია ულტრამემარცხენე პოლიტიკა, მემარცხენერადიკალური, მემარცხენეზომიერი, მემარცხენეცენტრისტული. მარჯვენა ნაწილში — მემარჯვენეცენტრისტული, მემარჯვენეზომიერი, მემარჯვენერადიკალური, ულტრამემარ-

ჯვენე. ცხოვრებაში არც ერთი პოლიტიკური კურსი არ არის „წმინდა“, ჩვე-  
ულებრივ შეიცავს მომიჯნავე კურსების ცალკეულ ელემენტებს, მაგრამ  
სწორედ ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც არ განსაზღვრავენ მის საერთო  
იერსახეს. მოყვანილი სახელწოდებანი იხმარება როგორც სოციალისტურ,  
ისე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკური კურსების აღსანიშნავად,  
მაგრამ მათი შინაარსი სხვადასხვაა. სოციალისტური პოლიტიკური კურსების  
მართო განლაგებულთა მთლიანად კაპიტალისტურ მართოზე უფრო მარცხნივ,  
და ნაწილობრივ ისინი ფარავენ ერთმანეთს.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ისტორია იწყება ულტრამემარ-  
ცხენე პოლიტიკით „სამხედრო კომუნიზმის“ წლებში — პოლიტიკით, რო-  
მელიც თავისი ძირითადი ელემენტებით უტოპიური, მცდარი პოლიტიკა იყო  
(უარის თქმა სასაქონლო წარმოებაზე, „ერთიანი ფაბრიკა“, „საერთო ქვა-  
ბი“ და ა. შ.). ნები მკვეთრი შემობრუნება იყო მარჯვნივ, მემარჯვენეცენტ-  
რისტული პოლიტიკისაკენ, რომელმაც ნგრევიდან გამოიყვანა ქვეყანა, დაუ-  
სახა მას ბუნებრივი, ნორმალური განვითარების პორიზონტები. ნებზე უარის  
თქმა ნიშნავდა უკუ შემობრუნებას მარცხნივ, მაგრამ უკვე არა სრულიად  
ანომალიური, ულტრამემარცხენე, როგორც იგი შეიძლებოდა გამხდარიყო  
ტროცკისტული ვარიანტით მისი შრომითი არმეიბითურთ, არამედ მემარც-  
ხენერადიკალური პოლიტიკისაკენ. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ხორცი-  
ელდებოდა და თავდაპირველად აღინიშნა უდიდესი მიღწევებითაც (აბოთეო-  
ზი — გამარჯვება დიდ სამამულო ომში), და ასეთივე უდიდესი დამახინჯე-  
ბებითა და მსხვერპლობით, შემდეგ კი, ბოლო ათწლეულებში, ცარიელა დოგ-  
მატიზმით, ინერციულობით, დამყაყებულობით, ზერელე რეორგანიზატორო-  
ბით, ბიუროკრატიული გახრწნით. მხოლოდ ახლა მოედო ბოლო ამ უიმე-  
ლო ანაქრონულ პოლიტიკას. როგორც იქნა, მასზე უარი თქვეს ოცდაათ  
წელზე მეტი ხნის დაგვიანებით, რაც ასე ძვირად უჯდება ქვეყანას.

შემდეგ რა? არავინ, საბედნიეროდ, არ გვთავაზობს კიდევ ერთხელ  
ვსინჯოთ ულტრამემარცხენე პოლიტიკა. არიან მემარცხენერადიკალური  
კურსის სანაციის მომხრენი, იმის მოსურნენი, რომ დაეუბრუნდეთ „წეს-  
რიგს“, „სტალინიზმს სტალინიზმის გარეშე“. ეს არ იქნებოდა გარდაქმნა.  
იგი უფრო სერიოზული ცვლილებების გულისათვის დაიწყო. გარდაქმნა  
სრულიად კანონზომიერი ძვრაა მემარცხენერადიკალური პოლიტიკიდან, უფ-  
რო სწორად, მისი დამპალი ნაშთებისაგან, მარჯვნივ. სწორედ რომ მარჯ-  
ვნივ. რა მოდური „მემარცხენული“ სამოსით უნდა იმოსებოდეს და რა რე-  
ვოლუციური ფრაზებით უნდა იყოს გატაცებული იგი. მთელი პრობლემა  
ის არის, თუ რამდენად მოხდება მარჯვნივ ძვრა.

იგი საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, რომ ამოვიძირკვოთ პირობები,  
რომლებსაც მოჰყვა სოციალური თანასწორობის შეცვლა მისი „მემარცხე-  
ნული“ დამახინჯებით — გამთანაბრებლობით. იმ გათანაბრებით, რომელ-  
მაც შეანელა მუშაკის პირადი დაინტერესება კარგი, პროდუქტიული მუშაო-  
ბით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, დამახინჯა მუშაკის მოტივაციური  
სისტემა, ძირი გამოუთხარა შრომითს მორალს და საბოლოო ანგარიშით,  
საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციაში ბიუროკრატიულ უნიჭობასთან და  
უპასუხისმგებლობასთან „კავშირით“, უძრაობამდე მიგვიყვანა. საგანგებო  
პირობებში, ფორსირებული განვითარების დროს მალალ შრომითს მორალს,  
შრომითს მოსაგრეობას ჰქონდა იდეოლოგიური საძირკველი, აღფრთოვანება,  
სოციალისტური მიზნების ერთგულება და ამავე დროს ისინი განმტკიცე-



ბული იყო შრომის ზუსტი ორგანიზაციით და „შიშის სისტემით“ (ამ სპეციფიკატორის სწორედ ასეთი თანამიმდევრობით მათი მნიშვნელობისდა მიხედვით, რასაც უნდა ამტკიცებდეს ზოგიერთი კრიტიკოსი). ახლა მოტივაციური სისტემა ისეთნაირად გარდაიქმნება, რომ წამყვან მნიშვნელობას იძენს მუშაის, შრომითი კოლექტივის, ტერიტორიული ერთობის უშუალო ინტერესი, მათი, თუ გნებავთ, ეგოიზმი. სწორედ მარჯვნივ ძვრა, განაწილებაში უთანასწორობის მასტიმულირებელი ეფექტის გაძლიერება უზრუნველყოფს ასეთ გარდაქმნას. მაგრამ ამასთან ძვრა უნდა იყოს ისეთი, რომ დიფერენციაცია მოხმარების დონეში არ კარგავდეს დაუშვებელი ოდენობით სამართლიან საფუძველს — შრომისას. საწარმოს დონეზე შრომის შედეგების მიხედვით განაწილებას უზრუნველყოფს ბაზარი, კონკურენცია.

მინიმალური მარჯვნივ ძვრა — ზომიერი მემარცხენე კურსისაკენ. ვგონებ, ეს ის არის, რაც უკვე გვაქვს და რაც თვალნათლივ ავლენს თავის ნაკლოვანებას. შემდეგი ნაბიჯია მემარცხენეცენტრისტული კურსი. ვფიქრობ, ეს ოპტიმალური ვარიანტია. მისი არსი ის არის, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ სოციალიზმის შესაძლებლობანი, ზომიერი უთანასწორობით მუშაის სტიმულირების მექანიზმები. თანაც ისე, რომ არ გადავიდეთ სტიმულირების უფრო ძლიერ, კაპიტალისტურ მექანიზმებზე, რადგან ისინი ნაკლებად სამართლიანია, მათ ძნელად ითვისებს საზოგადოება, რომელიც უკვე განებივრებულია არასრულყოფილი სოციალიზმითაც კი, შეეჩვია და შეზრდილია მასთან. შესაძლებელია ძვრა ნების ანალოგიური მემარჯვნივ-ცენტრისტული კურსისაკენ, რომლის დროსაც დაშვებული იქნება გარკვეულ ფარგლებში (არა უმეტეს 30 პროცენტისა) კერძოკაპიტალისტური წარმოება.

და ეს არსებითად ურიგო არ არის, საჭიროების შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება მივიღოთ სერიოზულად და დიდი ხნით. მაგრამ თუკი ვიხელმძღვანელებთ ლენინის მითითებით არა შერჩევით, მხოლოდ იქ, სადაც ეს ხელსაყრელია, არამედ მხედველობაში მივიღებთ მის მთლიან პოზიციას, მაშინ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნების ტიპის პოლიტიკიდან ადვილად შეიძლება დავექანოთ მემარჯვნივზომიერი, მემარჯვნივრადიკალური, შემდეგ კი ულტრამემარჯვნივ პოლიტიკისაკენ, რომლის დროსაც მოხდება საკუთრების სულ უფრო ღრმა „პრივატიზაცია“, წარმოების ძირითად საშუალებათა ერთობ მნიშვნელოვანი (30 პროცენტზე მეტი), ჭარბი (50 პროცენტზე მეტი), შემდეგ კი დიდი (70 პროცენტზე მეტი) ნაწილის გადაცემა კერძო ხელში. ეს უკვე სოციალიზმის ნეოკაპიტალისტური ევოლუციის საერთო კურსი იქნებოდა. ასეთი დაქანების შესაძლებლობის გამო ამ ევოლუციის მომხრენი თავდაპირველად, ალბათ, მხარს დაუჭერენ მემარჯვნივცენტრისტულ კურსს, მიიჩნევენ რა მას ამ ეტაპზე ერთადერთ რეალისტურ პროგრამა-მინიმუმად.

ალტერნატიული პოლიტიკური კურსები, რა თქმა უნდა, მართო საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების მოცულობათა თანაფარდობით როდი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს პოლიტიკის დომინანტური, მაგრამ არა ერთადერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია. კერძო, უფრო ზუსტად კი კერძო-კაპიტალისტური საკუთრება მნიშვნელოვანი მოცულობით ჩნდება პოლიტიკური სპექტრის მარცხენა ნაწილიდან მარჯვენა ნაწილში გადასვლის შემდეგ, მაგრამ სხვაობა პოლიტიკურ კურსებს შორის სპექტრის ყოველ ნაწილში არის. მის მარცხენა ნაწილში ცენტრისაკენ მოძრაობის დროს თანაფარდობა სახალხო და კოოპერაციულ საკუთრებას შორის ამ უკანასკნელის სასარგებ-



ლოდ იცვლება, თუმცა იგი სპექტრის ამ ნაწილში არ ხდება ქარბი. იცვლება აგრეთვე სახალხო საკუთრების რეალიზაციის ფორმები — მის განკარგვაში სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად იღებს უშუალო მონაწილეობას, იზრდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის როლი.

თუ შემოვიფარგლებით მემარცხენეცენტრისტული კურსის დახასიათებით, კურსისა, რომელიც, როგორც ითქვა, ოპტიმალურია გარდაქმნისათვის, მასზე გადასვლა ბიუროკრატიულად დამახინჯებული მემარცხენე რადიკალური პოლიტიკიდან შემდეგნაირად გვესახება.

საკუთრების ფორმებისა და მისი რეალიზაციის ფორმების წყება იმგვარად იცვლება, რომ საკუთრების უფლება და მაქსიმალურად შესაძლებელი ოდენობით მისი სამეურნეო გამოყენება თავს იყრის ერთ ხელში. ამით აღმოიხვეწება ეკონომიკური გაუცხოება, ხორციელდება მოთხოვნა, რომელიც გაუბრალოებული ფორმით გამოიხატება მოწოდებებით „ფაბრიკები მუშებს“, „მიწა გლეხებს“. ხორციელდება ისეთნაირად, რომ ეს არ ნიშნავდეს სახალხო საკუთრების შეცვლას ჯგუფური საკუთრებით. ამავე დროს ეს უნდა აძლიერებდეს სახალხო საკუთრების რეალიზაციის ჯგუფურ, კოლექტიურ ფორმებს. ასეთია ცვლილებათა ზოგადი აზრი. აი ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან.

სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება, რომელსაც დღემდე არ ჰქონია შინაგანი დიფერენციაცია, ტრანსფორმირდება სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებად, რომელიც იყოფა საერთო-სახალხო (საერთო-სახელმწიფო, საკავშირო, ფედერალურ საკუთრებად), რესპუბლიკის ხალხის (რესპუბლიკურ) საკუთრებად და ტერიტორიული ერთობების, კომუნალურ (ადგილობრივი საბჭოების მუნიციპალურ) საკუთრებად. ყველა ამ შემთხვევაში ძირითად განსაზღვრებაში დასახელებულია საკუთრების სუბიექტი, მესაკუთრე, ფრჩხილებში კი — მისი ოფიციალური წარმომადგენელი, მმართველი, „მოურავი“, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს მესაკუთრე.

ამჟამად მოქმედ სსრ კავშირის კონსტიტუციაში ამ განსაზღვრებებს შეცვლილი აქვთ ადგილები. ტერმინი „სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება“ გამოხატავს, არსებითად, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ პრეტენზიას იყოს საკუთრების სუვერენული სუბიექტი და არა მხოლოდ და მხოლოდ მესაკუთრის სრულუფლებიანი, მაგრამ ხელქვეითი წარმომადგენელი. ამ საკუთრების დიფერენციაციის არსებობა კი გამოხატავს ბიუროკრატიული ზედაფენის, ცენტრალური ხელისუფლების მისწრაფებას განუყოფლად განკარგავდეს სახალხო საკუთრებას საზოგადოებრივი იერარქიის ყველა დონეზე. ასე რომ, საკუთრებითი ურთიერთობის გარდაქმნისას აუცილებლად დაგვირდება ტერმინოლოგიური დაზუსტებანი.

სახალხო საკუთრების სუბიექტები სუვერენული არიან. რესპუბლიკების კავშირს არ შეუძლია ცალმხრივი წესით ამოიღოს თავის სასარგებლოდ რესპუბლიკური ქონება, რესპუბლიკას — კომუნალური ქონება, ხოლო ზემდგომ ადგილობრივ საბჭოს — ქვემდგომი ადგილობრივი საბჭოების საკუთრება. სახალხო საკუთრების ობიექტების გადასვლა ერთი მესაკუთრისაგან მეორის ხელში, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ, შესაძლებელია მხოლოდ სახელშეკრულებო საწყისებზე, ესე იგი ამ საკითხში თანასწორუფლებიან მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე.

ფართოვდება საკუთრების ჯგუფური, ანუ კოლექტიური, ფორმების

წყება. მათ, კოლპერაციულ საკუთრებასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაცი-  
ათა საკუთრებასთან ერთად, განეკუთვნება სახალხო („სახელმწიფო“) საწარ-  
მოთა, ესე იგი იმ საწარმოთა შრომითი კოლექტივების საკუთრებაც, რომლებ-  
იც, ფუნქციონირებენ სახალხო (საკავშირო, რესპუბლიკური, მუნიციპალუ-  
რი) საკუთრების ბაზაზე. შრომითი კოლექტივის საკუთრებაა საწარმოს  
მთელი შემოსავალი, ესე იგი მის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირე-  
ბულება წარმოების მატერიალური დანახარჯების გამოკლებით. გადასახადე-  
ბის გადახდის შემდეგ კოლექტივი თავის შემოსავალს დამოუკიდებლად გან-  
კარგავს. ყველა საწარმო ექვემდებარება თავისი მექანიზმებით ზოგადცივი-  
ლიზაციური და მონაწილეთა შემადგენლობით სოციალისტური კონკურენ-  
ტული ბაზრის კანონებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია სახალხო საკუთრების რეჟიმის, მისი რეა-  
ლიზაციის ფორმების ევოლუციის საკითხი. ამ საკუთრების გამოყენების  
ეფექტიანობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად  
არის დაინტერესებული მუშაკი მისი მომჭირნედ გამოყენებით, რამდენად  
დამოკიდებულია ამაზე მისი კეთილდღეობა. ბიუროკრატიული სოციალიზმის  
კრაზი გარდუვალად გადაიქცევა საერთოდ სოციალიზმის კრაზად, თუ არ  
გამოინახა სახალხო საკუთრებასთან მუშაკის ორგანული შეერთების, „შეზ-  
რდის“ ფორმა.

სსრ კავშირში ამაზე დამოკიდებულია წარმოების 80 პროცენტი, ესე  
იგი პრაქტიკულად მთელი სამეურნეო და საერთოდ მთელი ცხოვრება. კო-  
ლპერაციული და ინდივიდუალური სექტორების განვითარება, მთელი მათი  
მნიშვნელობის მიუხედავად, თითქმის ვერაფერს ვერ წყვეტს სახალხო სექ-  
ტორის განვითარების გარეშე. ცდა, დასჯერებოდნენ ნახევარზომებს „სა-  
ხელმწიფო“ სექტორებში და გამოეცოცხლებინათ ეკონომიკა ახალი კოლპე-  
რატივებისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარების გზით,  
იყო ფენომენალური სიბეცის გამოვლინება, უდიდესი სტრატეგიული შეც-  
დომა ეკონომიკურ რეფორმაში, გარდაქმნისათვის დაგებული ბიუროკრატუ-  
ლი ხაფანგი, რომელშიც თავად მისი ინიციატორები გაეზნენ. სახელმწიფო  
კონტროლის შესუსტებისა და საბაზრო კონკურენციის არარსებობის პირო-  
ბებში აიწყვიტა „ჯგუფურმა ეგოიზმმა“ (რომელიც ნორმალურ ეკონომიკურ  
პირობებში არა მარტო ბუნებრივია, არამედ მძლავრი პოზიტიური ფაქტორიც  
კი არის, ხოლო როცა სცილდება საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების  
ჩარჩოებს, დამანგრეველ ხასიათს იძენს).

სახალხო საკუთრების რეალიზაციის ახალი ფორმების ჩამოყალიბება  
იჯარის შემოდებით დაიწყო. იჯარა არის მესაკუთრისაგან არამესაკუთრის  
მიერ ქონების დაქირავება. ფეოდალურ და ნახევრადფეოდალურ საზოგადო-  
ებაში მიწის იჯარით მიცემა იყო და ზოგან ახლაც არის გლეხობის ექს-  
პლოატაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა. იგი გამოიყენება კაპიტალიზ-  
მის დროსაც და შეზღუდული მოცულობით სოციალიზმის დროსაც, მაგრამ  
განა შეიძლება გადაეაქციოს იგი ლამის ძირითად „წარმოებითს ურთიერ-  
ობად“? აქცევს რა „სახელმწიფო“ საწარმოებში დასაქმებულ ათობით მი-  
ლიონ მუშაკს მოიჯარედ, საკუთარ თავს კი მეიჯარედ, სახელმწიფო ამით  
საბოლოოდ ართმევს ხალხს წარმოების ძირითად საშუალებათა საკუთრების  
უფლებებს და მესაკუთრეს ხდის სწორედ იმ ბიუროკრატიულ აპარატს,

რომლის გადაქცევა განსაკუთრებულ კლასად დღემდე გარკვეული საფუძ-  
ვლით შეგვეძლო უარგვეყო.

თეორიულად იჯარა, როგორც ძირითადი წარმოებითი ურთიერთობა,  
სოციალიზმის თვითმკვლელობაა. მესაკუთრის წარმომადგენელი მესაკუთრედ  
ქცევა, მესაკუთრე კი კარგავს თავის სტატუსს. შრომით კოლექტივს სთა-  
ვაზობენ დაივიწყოს, რომ თანამესაკუთრეა, და წარსდგეს „თავისი“ სახელ-  
მწიფოს წინაშე. მიწის იჯარით ალების დროს. პრაქტიკულად კი? ხომ არ  
მძლავრობს როგორც სახელმწიფო ორგანოების უპასუხისმგებლობა (მთელი  
საზრუნავია წაგლიჯონ დიდი საიჯარო საფასური), ისე მოიჯარის მისწრაფე-  
ბაც მტაცებლურად გამოიყენოს ქონება და მიაგდოს იგი, როცა მოისურ-  
ვებს სხვა იჯარაზე გადასვლას? იჯარის იდეა ახალი ბიუროკრატიული  
მახეა.

მ. ს. გორბაჩოვმა ერთხელ შენიშნა, რომ მხედველობაშია „იჯარა ამ  
სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით“. ესე იგი, უნდა გვესმოდეს, იჯარა  
არა იჯარის მნიშვნელობით. ეს უკვე უკეთესია. რაკი ასეა, ამ ფართო  
მნიშვნელობის აღსანიშნავად უნდა ვიპოვოთ სხვა სიტყვა. ეს არის „მფლო-  
ბელობა“. ეს უფრო საფუძვლიანია, ვიდრე შემოთავაზებული „სრული გამ-  
გებლობა“ — ბიუროკრატიული „ოპერატიული მმართველობის“ მოდიფი-  
კაცია.

ტერმინი „მფლობელობა“ იხმარება ორი მნიშვნელობით. ვიწრო მნიშ-  
ვნელობით იგი აღნიშნავს მესაკუთრის სამი უფლებამოსილებიდან ერთს —  
ფაქტობრივად ფლობდეს ქონებას („ხელთ“ ჰქონდეს ნივთები); ორი სხვა  
უფლება-მოსილებაა სარგებლობა და განკარგვა. ფართო მნიშვნელობით  
მფლობელობა — ეს არის საკუთრების არასრული, პირობითი, ზოგიერთი  
ვალდებულებით „დამჩიებელი“ და ამიტომ არც მთლად თავისუფალი  
უფლება, რომელიც „თანაარსებობს“ იმავე ობიექტის მიმართ მეორე სუბი-  
ექტის სუვერენული საკუთრების უფლებასთან. სოციალისტური სასაქონ-  
ლო წარმოების პირობებში „სახელმწიფო“ საწარმოს შრომითი კოლექტივი,  
რომელიც არ არის სრული მესაკუთრე, შეიძლება სარგებლობდეს და კიდე-  
ვაც უნდა სარგებლობდეს სრული თავისუფლებით ქონების სამეურნეო მა-  
ნევირებაში. ეს ქონებაა მისი კეთილდღეობის წყარო, და იგი იყენებს მას  
როგორც სრულუფლებიანი პატრონი კონკრეტული სოციალური ბაზრის  
მშფოთვარე ცვალებად ზღვაში ცურვისას. ჩვენს წინაშე, მაშასადამე, არის  
უფლებამოსილი კოლექტიური სამეურნეო მფლობელობის ინსტიტუტი რო-  
გორც ყველა სახეობის სახალხო საკუთრების რეალიზაციის ძირითადი ფორ-  
მა. საკუთრება კი არა, მფლობელობა.

უფლებამოსილი სამეურნეო მფლობელობის სამართლებრივი რეჟიმი  
თავის ძირითად ელემენტებში უნდა შეიცავდეს შემდეგს. კავშირი, რესპუბ-  
ლიკა, ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან საწარმოო დანიშნულე-  
ბის საერთო-სახალხო, რესპუბლიკურ, კომუნალურ ქონებას გადასცემდნენ  
უფლებამოსილ მფლობელობაში სახალხო საწარმოთა შრომით კოლექტი-  
ვებს და ახორციელებდნენ მისი გამოყენებისადმი კონტროლს, რომელიც  
არ ბოჭავს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობას. ქონების გადაცემა  
ხდება სახელმწიფო შესაბამისი ორგანოს, როგორც მესაკუთრის წარმომად-  
გენლისა, და საწარმოს მართვის ორგანოს გენერალური ხელშეკრულების  
საფუძველზე. ხელშეკრულებაში აღინიშნება ქონების ნატურალური შე-

1956

2. „სახელმწიფო და სამართალი“, № 2.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბ. ხალხო მოთქმა

მადგენლობა და ღირებულება და მისი გამოყენების ზოგადი მიზნები (საწარმო-სამეურნეო საქმიანობის პროფილი), რომლებიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ სახელმწიფოს მოცემული ორგანოს მოწონებით. საწარმო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში ქონების ნატურალური შემადგენლობა იცვლება საწარმოს შეხედულებისამებრ. ქონების (მიწისა და ბუნებრივი რესურსების გამოკლებით) გამოყენების საფასურის გადახდა არ წარმოებს. დგინდება ყველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების მოცულობა, რომელიც განკუთვნილია მოწყობილობის დროული განახლებისათვის (დაახლოებით 6-9 წელი და არა 20-25 წელი, როგორც მრავალ შემთხვევაში უძრავობის წლებში) და შემოსავლის წილი, რომელიც ყოველწლიურად გადაირიცხება სავალდებულო წესით წარმოების განვითარებისათვის (ზომიერი, — როგორც ჩანს, არა უმეტეს 5 პროცენტისა). საამორტიზაციო ანარიცხები და წარმოების განვითარების ფონდისათვის განკუთვნილი გადაირიცხები ერთად შეადგენენ გაფართოებულ საფუძველზე კვლავწარმოებულ, გამრავლებულ სახალხო ქონებას. მათ საწარმო საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს. დგინდება წესი, რომლის მიხედვით იხდის საწარმო საერთო-სახელმწიფო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გადასახადს (როგორც ჩანს, დაახლოებით თანაბარ წილებად, საგადასახადო ანარიცხების ისეთი მოცულობის დროს, რომელიც 30-40 პროცენტს არ აღემატება, ხელისუფლების იმ ორგანოსათვის ადგილობრივი გადასახადის გადახდით, რომელსაც კომუნალური ქონება ეკუთვნის). სახალხო ქონების ნატურალური შემადგენლობისა და ღირებულების ფაქტობრივი ცვლილებანი და შრომითი კოლექტივის საკუთარი წვლილი ძირითად და საბრუნავ ფონდებში ფიქსირდება სახელმწიფოს ორგანოსა და საწარმოს მიერ შედგენილ ყოველწლიურ ოქმებში, რომლებიც თან ერთვის გენერალურ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო პროფილს იცვლის სახელმწიფოს მონაწილეობით, იდება დამატებითი ან ახალი გენერალური ხელშეკრულება. სამეურნეო მფლობელობის ამ ტიპობრივ სამართლებრივ რეჟიმს ექნება, ალბათ, სხვადასხვაგვარი ვარიანტი, რომლებიც წარმოების დარგების სპეციფიკას ასახავენ.

სახალხო ქონების (მიწის ჩათვლით) უფლებამოსილი კოლექტიური სამეურნეო მფლობელობის ინსტიტუტის შემოღება და გამართვა მემარცხენე-ცენტრისტული პოლიტიკური კურსის საკვანძო ელემენტია, ამ კურსის და, მაშასადამე, გარდაქმნის ოპტიმალური ვარიანტის რეალიზაციის თავიდათავია. დენაციონალიზაცია კი არა, დეეტატიზაცია. კიდევ უფრო გაამემარჯვენო პოლიტიკა ისე, რომ ბოლომდე არ ამოწურო მფლობელობის ინსტიტუტის შესაძლებლობანი, ნიშნავს ყოველად გაუმართლებლად და სახიფათოდ გადაუხვიო სოციალიზმს. ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ მეორე ადგილზე დგას კოლმეურნეობების დაბრუნება მათს კანონიერ და ბუნებრივ კოოპერაციულ მდგომარეობაში. როგორც ჩანს, ეს უნდა დავიწყოთ იმით, რომ დავაწვრილერთეულოთ მეტისმეტად დიდი კოლმეურნეობები, სადაც იკარგება ასეთი კოლექტივების ძვირფასი სოციალური თვისებები, რომლებიც თვალმისაწვდომია მათი თითოეული წევრისათვის. მნიშვნელობის მიხედვით მომდევნო ადგილებზეა ახალი კოოპერატივების, უმთავრესად საწარმოო კოოპერატივების ჩამოყალიბება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან დამოუკიდებელი კონკურენტუნარიანი ოჯახური ფერმების შექმნა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გაფართოება. დასაშვებია

ერთობლივი საწარმოები. ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ „ათიღვე პროცენტით“ რეგულირებული თავისუფალი ბაზარი.

ყოველივე ეს შეუქმნის კიდევ ეკონომიკურ საფუძვლებს ახალ სოციალისტურ „სამოქალაქო საზოგადოებას“ — სოციალურ თანასწორობასა და სამართლიან უთანასწორობაზე დაფუძნებულ მოქალაქეების, კოლექტივების, ტერიტორიული ერთობების ასოციაციას. ამ ასოციაციის წევრები იქნებიან სრულუფლებიანი თავიანთ ცხოვრებისეულ გამოვლინებებში, დაექვემდებარებიან შინაგანი თვითრეგულაციის სისტემას, ნაკლებად იქნებიან დამოკიდებული სახელმწიფოზე, ექნებათ ინიციატივის უნარი და თვით ცხოვრების პირობებით იქნებიან იძულებული იჩენდნენ ამ ინიციატივას. ეს „სამოქალაქო საზოგადოება“, და მხოლოდ იგი, თავის ადგილს მიუჩენს სახელმწიფოსა და მთელ პოლიტიკურ ზედნაშენს, მოუსპობს მას ხალისს დიდი წარმოდგენა ჰქონდეს თავის თავზე და არ იჩენდეს უპასუხისმგებლობას, იძულებს ემსახუროს ჯერ საზოგადოებას და მხოლოდ შემდეგ საკუთარ თავს, საშუალებას მოგვცემს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა გაშლილი პოლიტიკური დემოკრატით დავაგვირგვინოთ. აქაც ვერ გამოვალთ იოლად, თუ უძნელესი და ფრიად პასუხისმგებლური არჩევანი არ მოვახდინეთ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



## სამეურნეო კანონმდებლობის თანამედროვე პენდენციები

ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული სიძნელებისათვის თავის გართმევა მხოლოდ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის წარმატებით გადაჭრის გზით შეიძლება, რამაც არსებითად, თვისებრივად უნდა შეცვალოს სამეურნეო მექანიზმი. მომწიფებულ პრობლემათა გადაჭრის გზები და მეთოდები ფართოდ განიხილა ეკონომიკურმა საზოგადოებრიობამ ეკონომიკის რეფორმისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციასზე და სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა მეორე ყრილობამ, სადაც გამოიკვეთა ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებები, ეკონომიკური რეფორმის ეტაპები და მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომის გზები. რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ცხოვრებაში გატარებისას, ბუნებრივია, წარმოიშობა, შეიცვლება ან შეწყდება მთელი რიგი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ, უმეტეს წილად ეს ურთიერთობები მოწესრიგდებიან სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმებით (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საფინანსო, შრომის, მიწის და სხვ.), რომლებიც პირობითად, ფართო გაგებით, შეიძლება სამეურნეო კანონმდებლობის ცნების ქვეშ გავაერთიანოთ. სწორედ სამეურნეო კანონმდებლობის, მისი ფართო გაგებით, ზოგიერთი ასპექტი წარმოადგენს წინამდებარე წერილის საგანს, ამასთან შევეცდები გამოვკვეთო სამეურნეო კანონმდებლობის თანამედროვე ტენდენციები.

ცნობილია, რომ რადიკალური რეფორმის გატარება არ წარმოადგენს რაღაც ახალ, პიონერულ მოვლენას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ეტაპი: სამხედრო კომუნიზმის პერიოდი; ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ხანა; პერიოდი, როდესაც შეიქმნა და შემდგომ რეორგანიზაცია განიცადეს ე. წ. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და 1964 წლის ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც უნდა განვიითარებინა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო ანგარიში, როგორც სოციალისტური მეურნეობის გაძლიერების მეთოდი და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების ნაცვლად უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭებინა მართვის ეკონომიკური მეთოდებისათვის. ყველა ეტაპს შეესაბამებოდა თავისი ნორმატიული ბაზა, მაგრამ საბოლოო შედეგების მიხედვით ვერცერთმა ზემოხსენებულმა ეტაპმა ვერ მოგვცა სასურველი შედეგი.



ამჟამად დღის წესრიგში დგას ახალი რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც ექნება თავისი ნორმატიული ბაზა, როგორია მისი განვითარების ტენდენციები, როგორია მისი დღევანდელი სახე, ამასთან რა უნდა გაკეთდეს ჩემის აზრით, რომ არ განმეორდეს წარსულის შეცდომები; აი, მოკლედ იმ საკითხთა წრე, რაც ჩემი ინტერესების სფეროში შედის.

წერილში შევეცადე აღნიშნული საკითხები შემომეთავაზებინა მკითხველისათვის ვრცელი თეზისების ფორმით და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრილში.

1. სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნის პროცესში პირველადი, წარმართველი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური და არა სხვა სახის (მაგალითად, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვ.) ურთიერთობებს. ამიტომ სწორი ეკონომიკური და შესაბამისი სამართლებრივი კონცეფციის შემუშავებაზე ბევრად არის დამოკიდებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ბედი.

დღეს, როდესაც საკავშირო ბიუჯეტის დეფიციტი აღემატება 120 მილიარდ მანეთს, რეფორმას უნდა გააჩნდეს ქმედითი ეკონომიკური კონცეფცია.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის რადიკალური რეფორმის პროგრამა იმ სახით, რა სახითაც ის იყო წარმოდგენილი და მოწონებული სახალხო დემოკრატთა მეორე ყრილობაზე, სრულებითაც არ არის რადიკალური და გულისხმობს კიდევ ექვსი წლის განმავლობაში გაურკვეველი სიტუაციის არსებობას. ნამდვილი რადიკალური რეფორმა, ჩემის აზრით, გულისხმობს ორი ალტერნატიული შესაძლებლობიდან ერთ-ერთის ცხოვრებაში გატარებას. პირველი, დაგუბრუნდეთ მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდების გამოყენების, ფასწარმოქმნის ადმინისტრაციულ მეთოდებს, დაგეგმარების პრინციპის კიდევ უფრო გამკაცრებას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით უნდა მკვეთრად შემცირდეს ინვესტიციები არა მხოლოდ საწარმოო, არამედ სოციალურ სფეროებშიც. მეორე გზა გულისხმობს სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებას, ღირებულების კანონის შეუზღუდავ მოქმედებას, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების შემოღებას, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს გამოიწვევს ფასების ასტრონომიულ ზრდას და ჩვენი საზოგადოების ფართო, ნაკლებად შეძლებული ფენების აბსოლუტურ სოციალურ დაუცველობას. გარდაქმნის არავითარი მესამე გზა არ არსებობს. ისევე როგორც დღემდე არსებული ყველა ფილოსოფოსი იყოფა მატერიალისტად ან იდეალისტად, იმისდა მიხედვით, თუ როგორ წყვეტს ის ფილოსოფიის ძირითად საკითხს, ასევე ყველა საბჭოთა ეკონომისტი და იურისტი შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაერთიანდებიან ის მეცნიერები და პრაქტიკოსი მუშაკები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს ეკონომიკის მართვაში და მეორე ჯგუფში გავაერთიანებთ მათ, ვინც უპირატესობას ანიჭებს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ფართო დანერგვას. ამით კიდევ ერთხელ მსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ყოველი ე. წ. „მესამე“ გზის, კომპრომისული გზის ძიება უაზრობაა, და წარმოადგენს ხელოვნურად შეკოწიწებულ „კონცეფციას“. ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობები ვითარ-

დება ობიექტური კანონზომიერებების შესაბამისად და მათი უარყოფა (ეს ხორციელდება ამ ობიექტური კანონების დამამუხრუჭებელი ნორმატიული აქტების მიღებით) საბოლოო ჯამში იწვევს მთელი იმ საზოგადოების მსხვრევას, რომელიც უგულვებელყოფს ამ კანონებს. არასტაბილური, კრიზისული ვითარების თავიდან აცილების მიზნით ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნა და მათ შორის რადიკალური ეკონომიკური რეფორმაც დაიწყო ზემოდან. პარტიული აპარატის მიერ და შემდგომ ამ პროცესმა თავისი განვითარება პოვა პარტიული აპარატის ქვედა რგოლებში და სხვა ორგანოთა სისტემაში.

ყველა ადრე გატარებული ეკონომიკური რეფორმა ფიასკოს განიცდიდა იმიტომ, რომ პარტიული აპარატი და ქვეყნის მთავრობა უგულვებელყოფდა ობიექტურ ეკონომიკურ კანონზომიერებებს და არასოდეს რადიკალურ გარდაქმნას ბოლომდე ცხოვრებაში არ ატარებდა. დღეს ჩვენ ვლგევართ იგივე პრობლემის წინაშე. საჭიროა კარდინალური ღონისძიებების რეალიზაცია, ამასთან უნდა განვთავისუფლდეთ იდეოლოგიის პრიმატის ყალბი კომპლექსისაგან. საჭიროა ადამიანის, მატერიალური დოვლათის შემქმნელის სრული ემანსიპაცია. პოლიტიკურად თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც ეკონომიკურადაც თავისუფალია. ჩემის აზრით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იყოს გამოყენებული ე. წ. ქირურგიული ჩარევის პრინციპი, ქირურგი ოპერაციის დროს ტკივილს აყენებს პაციენტს, რათა განკურნოს იგი. ღონისძიებათა ეფექტიანობისათვის საჭიროა ისეთი რადიკალური პირველადი ღონისძიებების გატარება, როგორცაა მანეთის კურსის განმტკიცება. ამისათვის საჭიროა ფულადი რეფორმის გატარება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება დაფინანსების შემცირების გზით (მათ შორის მკვეთრად უნდა შეიკვეცოს სოციალური პროგრამაც) და აღნიშნულის შემდეგ უნდა განვითარდეს საბაზრო ურთიერთობები. ე. ი. დღის წესრიგში დგას სამეურნეო ურთიერთობათა სუბიექტების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხი. დამოუკიდებლობის გაფართოება შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ა) ავტორიტარული გარდაქმნის საფუძველზე და ბ) დემოკრატიულ საწყისებზე. მე მხარს ვუჭერ სუბიექტის სწორედ დემოკრატიულ საწყისებზე უფლებამოსილების გაფართოების იდეას. ანუ ისეთ ვითარებას, როდესაც საწარმოს (ორგანიზაციის) შრომითი კოლექტივები „პატარა“, „მცირე“ პარლამენტის როლს ასრულებენ და თვითონ არიან ამ უფლებამოსილების მატარებლები.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამართლის დანიშნულებაა მოაწესრიგოს არსებული ეკონომიკური ურთიერთობები, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ დღეს გვესაჭიროება ისეთი სამეურნეო კანონმდებლობა, რომელიც არ ზღუდავს წარმოების ძირეული რგოლების (საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების) ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამასთან სამეურნეო კანონმდებლობა უნდა ზღუდავდეს ყველა ზემდგომი ორგანოს კომპეტენციას, რათა მინიმუმამდე დავიდეს მათი უსაფუძვლო ჩარევა ქვემდგომ ორგანოთა საქმიანობაში. სამწუხაროდ, ჩემის აზრით, პრაქტიკა წავა სხვა გზით. მომავალში, როდესაც მიღებული იქნება ახალი კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ, კვლავ აღდგება ძველი წესი საწარმოს ზემდგომი დანიშნისა, რომელიც იქნება უწყების, სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი საწარმოებში. შეიძლება კიდევ სხვა მაგალითების მოყვანა, როდესაც ახლად

მიღებული კანონები ზღუდავენ საწარმოს, კოოპერაციული ორგანიზაციის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია არასწორი პრაქტიკა, როცა საჯარო გამოსვლებში, მიმართვებში აღინიშნება ეკონომიკური ბერკეტების ფართო გამოყენების შესახებ და როცა მსჯელობაა კონკრეტული ნორმატიული აქტის მიღებაზე, აქ პრიმატი ენიჭება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების სამართლებრივ განმტკიცებას და სამეურნეო ურთიერთობების სუბიექტთა დამოუკიდებლობის შეზღუდვას.

2. სამეურნეო კანონმდებლობის მნიშვნელობის შეფასებისას აუცილებელია, წინასწარ, მკაფიოდ გვექონდეს წარმოდგენილი იურიდიულ ნორმათა მოქმედების შესაძლებლობები, მათი საზღვრები. ეს გამორიცხავს მომავალში სამართლის პოტენციალის როგორც შეუფასებლობას, ასევე მისი გადაჭარბებით შეფასების შესაძლებლობას. სამეურნეო ურთიერთობის მოწესრიგებისას ადგილი აქვს სამართლის როლის გადაჭარბებით შეფასებას. აღნიშნულის დასტურია სამეურნეო საკანონმდებლო აქტების გაუმართლებლად ჭარბი რიცხობრივი ოდენობა. ამასთან არცთუ იშვიათად ეს ნორმები მოწყვეტილი არიან ობიექტურ, ეკონომიკურ ურთიერთობებს, შეიცავენ მრავალრიცხოვან დეკლარაციული ხასიათის ნორმებს, რაც საბოლოო ანგარიშში განაპირობებს მათ ფორმალურ არსებობას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება მაგალითად სსრ კავშირის კანონი ურომითი კოლექტივების შესახებ, სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და სხვ.

სამეურნეო საკანონმდებლო ნორმატიული აქტების აბსოლუტური უმრავლესობის პროექტებს შეიმუშავებენ და იღებენ არაპროფესიონალები. სამწუხაროდ ეს ეხება როგორც საკავშირო კანონებს (თუ არ გავითვალისწინებთ აქტიურ იურისტთა მცირე ჯგუფს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში), ასევე საუწყებო და ლოკალური ხასიათის ნორმატიულ აქტებს. ასეთი აქტების შეუსრულებლობა თავის მხრივ ზიანს აყენებს სამართლის შეფასების სოციალურ კრიტერიუმს.

ამჟამად სამეურნეო საკანონმდებლო აქტების მიღება ძირითადად საკავშირო ორგანოთა პრეროგატივაა. აღნიშნული აიხსნებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-16 მუხლით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას თვლის ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსად, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს. დღეს ამ დებულებამ ნაწილობრივი ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს. როგორც ცნობილია ბალტიისპირეთის სამივე მოკავშირე რესპუბლიკა სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს თავიანთი რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე. ცოტა ხანში სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების საწყისებზე თავის საქმიანობას განაპირობებენ საქართველოს რესპუბლიკაც, რომელმაც შემდგომში სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას უნდა მიაღწიოს. ამიტომ სამეურნეო კანონმდებლობის მეშვეობით უნდა დაზუსტდეს, ამასთან არა ორაზროვნად, სამეურნეო ურთიერთობათა თითოეული სუბიექტის სამეურნეო კომპეტენცია (მათი ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა), მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ადგილობრივი რეგიონების სამართლებრივი სტატუსი. რესპუბლიკის ეკონომიკურ

დამოუკიდებლობაზე გადასვლასთან ერთად უნდა გადაისინჯოს და გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეო კომპეტენციაც სამეურნეო საკანონმდებლო აქტების მიღების სფეროში. მომავალში მიზანშეწონილად მიმაჩნია სსრ კავშირის შესახებ ხელშეკრულების ახალი რედაქციით დადება, მოკავშირე რესპუბლიკა თავისი შეხედულებებისამებრ გადასცემს თავისი უფლებებისა და მოვალეობების ნაწილს საკავშირო-ფედერაციულ სახელმწიფოს. ამასთან საქართველოს რესპუბლიკამ უნდა შეინარჩუნოს თავის ტერიტორიაზე სამეურნეო საკანონმდებლო აქტების მიღების პრეროგატივა. მხოლოდ ამის შემდეგ მიზანშეწონილია სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი რედაქციით მიღება. შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

8. საბჭოთა სამეურნეო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი იყო ნორმატიული აქტების მიღება კანონქვემდებარე აქტების ფორმით (მინისტრთა საბჭოს დადგენილება, დებულება, წესდება და სხვ.) და არა კანონის ფორმით. ამჟამად შეინიშნება კანონისათვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია, რაც ყოველთვის გამართლებულად არ უნდა იყოს მიჩნეული.

სამართლის თეორიიდან ცნობილია, რომ არსებობს ნორმატიული აქტების კლასიფიკაცია, რაც გულისხმობს მათ დაყოფას კანონებად და კანონქვემდებარე აქტებად. სამეურნეო კანონმდებლობისათვის ტრადიციულად იყო დამახასიათებელი ნორმატიული აქტების კანონქვემდებარე აქტების ფორმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, დებულება, წესდება და სხვ.). და როგორც გამოჩალისი კანონის ფორმა (მაგ.: სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, სსრ კავშირის საპაერო კოდექსი და ა. შ.). აღნიშნული აიხსნებოდა იმით, რომ სამეურნეო ურთიერთობები ჩვენს ქვეყანაში არ იყო სტაბილური და მათი მოწესრიგება უნდა განხორციელებულიყო უფრო მოქნილი ნორმატიული აქტით, რომელშიც ცვლილებებისა და დამატებების შეტანა იქნებოდა იოლი და რაც არ შელახავდა ნორმატიული აქტის პრესტიჟს. რაც შეეხება კანონს, რომელიც სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, მასში ცვლილებებისა და დამატებების ხშირი შეტანა უდაოდ ზიანს მოუტანდა მის ავტორიტეტს, როგორც სტაბილურ ნორმატიულ აქტს. ამჟამად აშკარად შეინიშნება სხვა ტენდენცია. პრაქტიკაში არის ლტოლვა სამეურნეო ურთიერთობები მოწესრიგდეს ნორმატიული აქტებით კანონის ფორმით. შესაბამისად სამეურნეო კანონმდებლობა შეივსო კანონებით და მომავალში მიღებული იქნება მთელი რიგი სამეურნეო კანონები. მათგან მნიშვნელოვანია: სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, (1987), კანონი სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ (1988), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები (1989). დღის წესრიგში დგას ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, როგორებიცაა სსრ კავშირის კანონი საკუთრების შესახებ, კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ, კანონი მიწის შესახებ, კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ, კანონი გადასახადების შესახებ და სხვ. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მართალია შეინიშნება ნორმატიული აქტების კანონის ფორმით მიღების ტენდენცია, მაგრამ შეინიშნება კანონების არასტაბილურობაც. შეტანილია არსებითი ხასიათის ცვლილებები მაგალითად კანონში სახელმწიფო საწარ-

მოს (გაერთიანების) შესახებ, კანონში სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ, რომლებითაც სხვათაშორის მოხდა საწარმოს და კოოპერაციული ორგანიზაციის სამეურნეო დამოუკიდებლობის შექვეცა.

ახალი სამეურნეო ხასიათის ნორმატიული აქტების მიღება კანონის ფორმით გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ აქტი არ არის კონიუნქტურული შინაარსის მატარებელი და რომელშიც პრიმატის როლი მინიჭებული ექნება ობიექტურ-ეკონომიკური კანონზომიერებების ცხოვრებაში გატარებას და არა ნორმატიული აქტის მხოლოდ იდეოლოგიურ მხარეს.

ახალი სამეურნეო საკანონმდებლო აქტების შემუშავებისას (იგულისხმება როგორც კანონები, ასევე კანონქვემდებარე აქტები) გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები: ნორმატიული აქტის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოთხოვნა (აუცილებლობა); სოციალური და სამეურნეო-ანგარიშებრივი (საწარმოს, გაერთიანების) შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფის (დარგობრივი, ტერიტორიალური, დარგათაშორისი, საერთო-სახელმწიფოებრივი) ინტერესი; სამართლის სხვადასხვა დარგებმა (სამოქალაქო, შრომის, საფინანსო და სხვ.) უნდა გაითვალისწინონ და განსაზღვრონ შრომითი კოლექტივისა და ცალკეული მუშაკის (ინდივიდის) სამეურნეო ანგარიშებრივი ინტერესები, ინტერესების კოლიზიის შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ე. ი. ყოველი სამეურნეო ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ე. წ. „ინტერესების პირამიდა“ რომლის სათავეში, მის უმაღლეს წერტილში უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი, ხოლო მის ქვაკუთხედად ცალკეული მუშაკის — ინდივიდის სამეურნეო ანგარიშებრივი ინტერესები. ინტერესებს შორის წინააღმდეგობისას პრიორიტეტი მიენიჭებათ საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესს, სხვა შემთხვევაში კი ეკონომიკური მიზანშეწონილების პრინციპს.

სამეურნეო ურთიერთობების პრაქტიკულ საქმიანობაში ფართო გამოყენება უნდა პოვოს პრინციპმა „დასაშვებია ყოველგვარი მოქმედების შესრულება, რაც პირდაპირ არ იზღუდება მოქმედი კანონმდებლობით“ (ბუნებრივია მორალური ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით). ამ პრინციპის რეალიზაცია ადასტურებს იმას, რომ სამეურნეო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა არა მარტო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებისაგან, არამედ აგრეთვე სამეურნეო ორგანოთა და ცალკეულ ინდივიდთა (მოქალაქეთა) მოქმედებისაგან, რომლებიც თუმცა არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ სამეურნეო კანონმდებლობის საწყისებისა და აზრის გამო სამეურნეო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობენ.

სამეურნეო კანონმდებლობას მხოლოდ მაშინ ექნება სათანადო ეფექტი ურთიერთობათა მოწესრიგებისას, როდესაც სამოქმედოდ ძალაში შედის ნორმატიული აქტების მთელი პაკეტი ერთდროულად (მაგ.: კანონები იჯარის შესახებ, საკუთრების შესახებ, გადასახადების შესახებ, მიწის შესახებ და სხვ.) და არა ერთ-ერთი ცალკეული აქტის სამოქმედოდ შემოღების შედეგად. სამწუხაროდ, ეს პრინციპიც დღეს არ მოქმედებს საკავშირო პარლამენტის მიერ.

4. ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ წარმოების ძირეულ რგოლებს — საწარმოებს, გაერთიანებებს. უმრავლეს შემთხვევაში დროში უნდა იყოს მიღებული ნორმატიული აქტების პაკეტი, რომლებიც მოაწესრიგებენ მათ სამეურნეო საქმიანობას და უზრუნველყოფენ მათი უმრავლესობის რენტაბელობას.

შეინიშნება ტენდენცია, როდესაც კანონმდებელი დეკლარაციულად ცდილობს გააფართოვოს მათი უფლებამოსილება (მაგ.: კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, კანონი სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ და სხვ.) ამასთან თითქმის არ შეცვლილა მათი ზემდგომი ორგანოების კომპეტენცია. ძველებურად რეალურ მუხრუქს წარმოადგენს ვიწრო უწყებრივი ინტერესი, რაც აბათილებს ძირეული რგოლების ნომინალურ დამოუკიდებლობას, ე. ი. კვლავინდებურად აქტუალურია საკითხი ყველა სუბიექტის სამეურნეო კომპეტენციის დაზუსტების შესახებ.

თუ ჩვენ გვინდა რეალურად დავწეროთ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპები საწარმოს (გაერთიანების) საქმიანობაში, ნამდვილად განვავითაროთ ეკონომიკაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, მაშინ უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ არარენტაბელური საწარმოები, გაერთიანებები, უნდა იყვნენ გამოცხადებული გაკოტრებულებად აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. არარენტაბელური, წამგებიანი საწარმოთა ზვედრითი წილი მთელი კავშირის მასშტაბით გაიზრდება ხუთი პროცენტიდან ოც პროცენტამდე — თქვა ამის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე ნელა მცირდება ზარალიანი საწარმოების ოდენობა. 1988 სამეურნეო წელი ზარალით დაასრულა 440 საწარმომ და ორგანიზაციამ და ეს მაშინ, როცა გეგმით ზარალიანი უნდა ყოფილიყო 155 სამეურნეო ორგანიზაცია. ზარალის თანხამ 300 მლნ. მანეთს გადააჭარბა. 1989 წლის პირველი ექვსი თვის რესპუბლიკის მოგების გეგმა კვლავ ვერ შესრულდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ (მოგების გეგმა შესრულდა 64,1%-ით), კალინინის სახელობის საჩამომხმელო მოწყობილობათა ქარხანაში (36,6%), სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანაში“ (43,1%), ცხინვალის ქარხანა „ელსადენში“ (58,7%) და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ თუ ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრულად იქნება გატარებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმა მთელი რიგი საწარმოები უნდა იყოს გაკოტრებულად გამოცხადებული. ამისათვის კი აუცილებელია როგორც იქ დასაქმებული მუშაკების ფსიქოლოგიური მომზადება, ასევე ნორმატიული აქტების პაკეტის მომზადება, რომელიც მოაწესრიგებს ამ ურთიერთობებს. მათ შორის მნიშვნელოვანი იქნება სსრ კავშირის კანონი სოციალისტური საწარმოს გაკოტრებულად (ბანკროტად) გამოცხადების შესახებ, რომლის პროექტიც მზადების პროცესშია.

სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო კანონმდებლობა დღეისათვის ნაკლებად არის მომზადებული სასაქონლო ფულადი ურთიერთობების და კერძოდ საბაზრო ურთიერთობების რეგლამენტაციისათვის. ჩვენი კანონმდებლობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს სუბიექტის მიერ თავისი საკუთარი ქონების (ან იჯარით აღებული ქონების) თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობას, არადა სწორედ ამ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგლამენტაციას ენიჭება

დღეს საზღვარგარეთის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება მთავარია დღეს არა საკუთრების ფორმა და მათი სამართლებრივი განმტკიცება (თუმცა მკითხველმა არ წარმოიდგინოს ეს მეორეხარისხოვან სათუთ საკითხად), არამედ მთავარია მიღებული მოგების მითვისების ფორმა და წესი (მუშაკისათვის, როგორც წესი, სულ ერთია ვის საკუთრებაშია საწარმო, მისთვის მთავარია ვინ ითვისებს მის მიერ შექმნილ პროდუქციას). წარმოუდგენელია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების და შესაბამისად სამეურნეო კანონმდებლობის განვითარება სამოქალაქო სამართლის ისეთი კლასიკური ინსტიტუტების გარეშეც, როგორებიცაა გირაო, თამასუქი (ანუ ვექსილი), იპოტეკა (ანუ ვალდებულების უზრუნველყოფის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც არა აქვს ადგილი ნივთის რეალურ გადაცემას) და ა. შ. ამ ინსტიტუტების განვითარება დროის მოთხოვნით და ეკონომიკური კანონზომიერებებით არის ნაკარნახევი.

5. რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ცხოვრებაში გატარებაზე გავლენას მოახდენენ ცალკეული საწარმოების (გაერთიანებების) საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სწორი სამართლებრივი რეგულირება, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაცია. ამ სფეროში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ფორმას და მათ სამართლებრივ რეგლამენტაციას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ეკონომიკაში ამჟამად გარკვეულ ბუმს განიცდის ერთობლივი საწარმოების შექმნა, ცალკეული სოციალისტური საწარმოების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რამაც საბოლოო ჯამში უნდა გადაიყვანოს საწარმოები (გაერთიანებები) სავალუტო თვითანზღაურებაზე. დღევანდელი შექმნილია და მოქმედებს ათასზე მეტი ერთობლივი საწარმო, მზადდება სსრ კავშირის კანონის პროექტი ერთობლივი საწარმოს შესახებ. ანალოგიური, მაგრამ სპეციფიკის გათვალისწინებით კანონები, ჩემის აზრით, უნდა მიიღონ ცალკეულმა მოკავშირე რესპუბლიკებმაც, დღეს ეს საკითხიც ნაკლებად რეგლამენტირებულია. შეიძლება არსებობდეს თანამშრომლობის სხვა ფორმებიც, მაგალითად, კოოპერაცია, რაც გულისხმობს საზღვარგარეთიდან დეტალების, კვანძების, ტექნოლოგიის მიღებას, სპეციალისტების მოწვევას, ან პირიქით გაგზავნას, წარდგენას საქართველოდან, აგრეთვე სხვა ურთიერთობების ფორმები, რაც რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, ნორმატიული ხელშეკრულებებით, ან ცალკეული ხელშეკრულებებით (მაგ.: სალიცენზიო ხელშეკრულება, „ნოუ ჰაუს“ ხელშეკრულება და სხვ.). ნორმის შემფარდებლისათვის უკიდურესად გართულებულია მისთვის საჭირო წყაროს მოძებნა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოახდინოს სათანადო აქტების სისტემატიზაცია ინკორპორაციის ფორმით და არსებული აქტები გამოსცეს კრებულის სახით.

ცხოვრება ბუნებრივია თავის კორექტივებს შეიტანს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციისას. ამ ცვლილებების დროული სამართლებრივი რეგლამენტაცია სამეურნეო კანონმდებლობის მოვალეობაა.

ზოთა ზაფიაზვილი

## კრიმინალისტური პერსონაჟის პართიკული გაგებისათვის

დანაშაულის გახსნის საქმეში კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ვერსიების როლი ადრე არაჯეროვნად იყო შეფასებული საბჭოთა კრიმინალისტების მიერ. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთის აზროვნებაში იმ დროისათვის ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ბურჟუაზიული თეორიების ზეგავლენა. მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი გ. შნეიკერტი ყოველმხრივ აკნინებდა რა ვერსიების როლს დანაშაულის გახსნის საქმეში, თავის ნაშრომში — „დამნაშავის საიდუმლოება და მისი გახსნის გზები“, საგამოძიებო ვერსიებს უწოდებდა ფანტაზიის უვარგის ნაყოფს.

ფიქრობთ, სწორედ ასეთმა მოსაზრებებმა შეუწყო ხელი აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის შეხედულების განვითარებას, რომელმაც 1937 წელს ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტის“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა წერილი „გამომძიებელთა ამოცანების შესახებ“, სადაც საგამოძიებლებს მოუწოდა ნაკლები ეფიქრათ საგამოძიებო ვერსიებსა და პრეზუმფციასზე. მისმა ამგვარმა შეგონებამ უარყოფითად იმოქმედა საგამოძიებო ვერსიების შემდგომ მეცნიერთულ დამუშავებაზე და სპეციალურ ლიტერატურაშიც იგი განიხილებოდა მხოლოდ ზოგადად. სწორედ ამიტომ იყო, რომ პროფ. ს. პ. მიტრიჩევი 1956 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში — „საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერული საფუძვლების საკითხის შესახებ“, სრულიად მართებულად წერდა: „დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკისა და მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, საგამოძიებო ვერსია, დავიწყებული იქნა ჯერ პროცესუალისტების, შემდეგ კი კრიმინალისტების მიერ“<sup>1</sup>.

1959 წელს ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, — „ვერსია“, პროფესორი გ. ნ. ალექსანდროვი წერდა, რომ ვერსია ესაა თავისებური „საგამოძიებო კომპლასი, რომელსაც აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს საგამოძიებო ყველა მიმართულებას“ და მათ შორის, საგამოძიებო ტაქტიკას. ამიტომ იგი გვთავაზობდა აუცილებლად შეგვექმნა კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი სპეციალური განყოფილება — მოძღვრება ვერსიების შესახებ. საგამოძიებო ვერსიებზე სწავლებამ დღეს მართებულად დაიკავა თავისი

<sup>1</sup> Советская криминалистика на службе следствия, М., 1956. вып. 7. стр. 18.

კანონიერი ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სახელმძღვანელოს სისტემის პირველ განყოფილებაში.

საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების, დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

დანაშაულის გამოძიების პროცესში გამოძიებლის მთელი საქმიანობა მიმართულია წარსულში მომხდარი ფაქტების ყოველმხრივ გამოკვლევისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისაკენ. გამოძიებლის მიერ წარმოებული ეს უაღრესად შრომატევადი შემეცნების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული წინააღმდეგობრივი საფეხურების სახით, რომელთა დაძლევაში მას ხელს უწყობს და ეხმარება აზროვნების ლოგიკური კანონების სწორი გამოყენება.

გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და საკითხების ახსნა-გამოკვლევის ამ შემეცნების პროცესში გამოძიებელი შემოქმედებითად იყენებს რა ლოგიკის კანონებს, საქმეზე შეკრებილი ფაქტიური მონაცემების საფუძველზე აგებს მათი ახსნის სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრებებს ეგრეთწოდებული საგამოძიებო ვერსიების სახით.

ზოგიერთი კრიმინალისტიკის (ა. ნ. ვასილევი, პ. ნ. მუდიუგინი, ნ. ა. იაკუბოვიჩი, ა. რ. შლიახოვი, თ. ვ. ნიკრენცი, ა. ა. სტარჩენკო, ი. მ. ლუზგინი, გ. ვ. არციშევსკი, და სხვ) აზრით, საგამოძიებო ვერსიები, თავიანთი ლოგიკური ბუნებით, არაფრით არ განსხვავდებიან ჰიპოთეზებისაგან, ამიტომ ისინი საგამოძიებო ვერსიებს ჰიპოთეზებთან აიგივებენ.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილ ლოგიკის სახელმძღვანელოში პროფ. მ. სტროგოვიჩი წერს, რომ სასამართლო გამოკვლევისას ცალკეული ფაქტების ან გარემოებათა ერთიანობის ახსნის დროს ხშირად იყენებენ ამ ფაქტების სხვადასხვანაირად ამხსნელ მთელ რიგ ჰიპოთეზებს. ასეთ ჰიპოთეზებს ვერსიებს უწოდებენ და რომ „ჰიპოთეზა არის მოვლენის სავარაუდო ახსნა“<sup>2</sup>.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიპოთეზა არის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის სავარაუდო ახსნის რთული მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომლის წამოყენება და შემოწმება ხდება ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვებისა და მიღებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე, ხოლო საგამოძიებო ვერსიების აგება წარმოებს პირველადი მონაცემების საფუძველზე, რომლის შემოწმება წარმოებს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და საშუალებებით, მაშინ ნათელი გახდება, რომ შეუძლებელია ამ ცნებების ერთნაირი გაგება და მათი გაიგივება. მაგალითად, არ შეიძლება ერთნაირ ასპექტში განვიხილოთ ჰიპოთეზა მარსზე სიცოცხლის არსებობის ან არ არსებობის შესახებ და მკვლელობის ან გაუბატიურების ფაქტის ახსნის მიზნით წამოყენებული საგამოძიებო ვერსიები — მკვლელობას ჰქონდა ადგილი თუ თვითმკვლელობას ან გაუბატიურებას თუ გაუბატიურების ინსცენირებას და სხვ. საგამოძიებო ვერსიას არ შეიძლება მიენიჭოს იმაზე მეტი მნიშვნელობა, რასაც იგი ემსახურება და წარმოად-

<sup>2</sup> М. С. Строгович, Логика. М., 1949, стр. 304.

გენს. საგამოძიებო ვერსია სხვა არა არის რა, თუ არა ჰიპოთეზის ნაირსახეობა.

მართებულად აღნიშნავს პროფესორი კ. ბაქრაძე, რომ ფაქტების, მოვლენების ან ამა თუ იმ გარემოებების „ახსნის მომენტი ვარაუდის სახით წინ უსწრებს მეცნიერული ინტუქციით მეთოდების გამოყენებას“. ასეთ წინასწარ ვარაუდს, რომლითაც ჩვენ ვცდილობთ ავსხნათ მოვლენები, ჰიპოთეზა ეწოდება. ჰიპოთეზა კი ნიშნავს გარკვეულ აზრს მოვლენის მიზეზის შესახებ და იგი „გვაძლევს მოვლენის მიზეზის სააღბათო ცოდნას და ამით ამ მოვლენის ახსნის სააღბათო პრინციპს“<sup>3</sup>.

მაშასადამე, ჰიპოთეზის აგება და შემოწმება მოითხოვს სულ სხვა მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებას, ვიდრე საგამოძიებო ვერსიები. არ შეიძლება ერთნაირად მივუდგეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მარსზე სიცოცხლის არსებობის ან არ არსებობის ახსნის ჰიპოთეზას და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ახსნის შესახებ ისეთი საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებას, როგორცაა: ადგილი ჰქონდა მატერიალურ ფასეულობათა საწყობიდან სახელმწიფო ქონების გატაცებას ქურდობით, თუ ქურდობის ინსცენირებას, ან ადგილი ჰქონდა მკვლელობას, უბედურ შემთხვევას თუ უბედური შემთხვევის ინსცენირებას, გაუპატიურებას თუ გაუპატიურების ინსცენირებას. ამიტომ საგამოძიებო ვერსიები არ შეიძლება გაიგივებული იყოს ჰიპოთეზასთან და ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზის აგებისა და შემოწმების წესი ეხება აგრეთვე საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასაც, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი კრიმინალისტი.

ვ. ვასილევმა ვერსიას განიხილავს როგორც იდეალურ ინფორმაციულ-ლოგიკურ მოდელს. ასეთივე შეხედულებისაა ა. ლარინი, რომელიც მას განიხილავს როგორც ვერსიების არსისადმი ახლებურ მიდგომას. უფრო მეტიც, მისი აზრით, საგამოძიებო ვერსია არის „ინტეგრალური იდეა“. ვერსიების ცნებაში ამ ახალი ტერმინოლოგიის შეტანა ვერ ცვლის მის არსსა და მნიშვნელობას. პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ ცნების არასწორ ინტერპრეტაციას. ასეთი განმარტებით გამოდის, რომ ჯერ ერთი, ერთნაირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ვერსია და იდეა, რომ თითქმის ვერსიის არსი ინტეგრალური იდეის აგებაში მდგომარეობს, მაშინ როცა ვერსია არ შეიძლება იყოს „ინტეგრალური იდეა“. მეორე, სიტყვა „მოდელი“ ვერ ასახავს ვერსიების არსსა და მნიშვნელობას. მესამე, ვერსიების აგების წამოყენებისათვის საკმარისი არაა შიშველი მოსაზრება და ფანტაზია, საჭიროა იყოს აგრეთვე ფაქტიური მონაცემები. იდეის აგებისათვის კი ეს აუცილებელი არაა.

დანაშაულებრივი შემთხვევის პროცესში წამოყენებული ვერსიები უნდა ემყარებოდეს საქმეზე შეკრებილ ფაქტიურ მონაცემებს, გამომდინარეობდეს მათგან და აგებული იყოს ლოგიკური კანონების აზროვნების ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა კვლევის დედუქციური მეთოდები და ლოგიკური ხერხები: ანალოგია და სინთეზი.

გამომდინარე აქედან, უნდა დავასკვნათ, რომ საგამოძიებო ვერსია, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი, ესაა გამომძიებლის მიერ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ან ფაქტის სავარაუდო ახსნა, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეზე არსებულ ფაქტიურ მონაცემებს და აგე-

<sup>3</sup> კ. ბაქრაძე, „ლოგია“, თბ., 1956 წ., გვ. 412.

ბული იყოს ლოგიკური კანონების აზროვნების კვლევის დედუქციური მე-  
თოდებისა და ლოგიკური ხერხების — ანალოგიისა და სინთეზის გამოყენე-  
ბით, რაც უნდა შემოწმდეს და დაზუსტდეს საქმეზე გამოძიების პროცესში  
მიღებული მტკიცებულებებით.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, ზოგჯერ საგამოძიებო ვერსიებს იხ-  
სენიებენ, როგორც ტაქტიკურ ხერხებს, რაც არასწორია. თუ ვაღიარებთ,  
რომ ჰიპოთეზა არის მეცნიერული კვლევის რთული მეთოდი, ვერსია კი ჰი-  
პოთეზის ნაირსახეობაა მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საგამოძიებო ვერსია  
არის დანაშაულის გახსნის სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძ-  
ლევს სწორად შევიცნოთ და დავადგინოთ ობიექტური ჭეშმარიტება.

ამრიგად, საგამოძიებო ვერსია არის წარსულში მომხდარი დანაშაულებ-  
რივი ფაქტის შემგენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციალური მეთოდი,  
რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად შევიცნოთ და დავადგინოთ გამო-  
საძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. სწორედ ამიტომაც, რომ მოძლ-  
ვრება საგამოძიებო ვერსიების შესახებ, უკანასკნელ წლებში გამოცემულ  
კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებსა და უმაღლესი იურიდიული ფაკულ-  
ტეტის კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამებში, გადმოტანილი და გან-  
ხილულია კრიმინალისტიკის საგნის პირველ განყოფილებაში — „საბჭოთა  
კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია“.

კრიმინალისტიკური ვერსიები, წარმოქმნის წყაროების, კვლევის ობიექტე-  
ბის მოცულობისა და დანიშნულების მიხედვით, პირობითად შეიძლება დავ-  
ყოთ ორ დიდ ჯგუფად. პირველს უნდა მიეკუთვნოს დანაშაულის გახსნის პრო-  
ცესში მონაწილე პირთა მიერ საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ გა-  
რემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით წამოყენებული ყველა ვერსია. ასე-  
თი ვერსია შეიძლება წამოაყენოს არა მარტო საგამოძიებელმა, არამედ აგრე-  
თვე სასამართლომ, სამძებრო-ოპერატიულმა მუშაკმა, ექსპერტმა, ბრალდებუ-  
ლმა და თვით დაზარალებულმაც. სწორედ ამის მიხედვით განასხვავებენ: სა-  
გამოძიებო-სასამართლო, ოპერატიულ-სამძებრო და საექსპერტო ვერსიებს,  
აგრეთვე დაზარალებულისა და ბრალდებულის ვერსიებს.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში წამოყენებულ ვერ-  
სიებს, რომლის ავტორიც საგამოძიებელია მიღებულია ვუწოდოთ საგამოძი-  
ებო ვერსიები; სასამართლოში საქმის განხილვის დროს ამა თუ იმ გარემოების  
ახსნა-გამოკვლევის მიზნით წამოყენებულ ვერსიებს, რომლებიც სპეციფიურ  
შემოწმებას საჭიროებენ, მიღებულია ვუწოდოთ სასამართლო ვერსიები. ოპ-  
ერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს კონკრეტულ გარე-  
მოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით წამოყენებული ვერსიების —  
ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები ჰქვია, თუ საექსპერტო კვლევის პრო-  
ცესში ამა თუ იმ სახის გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით  
ექსპერტი დააყენებს თავის ვერსიებს, მას საექსპერტო ვერსიები უნდა ვუ-  
წოდოთ; წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო საქმის განხილვის დროს  
ზოგჯერ ადგილი ჰქვს დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ  
მათთვის ბრალად შერაცხული ქმედობის ან საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა  
ცალკეულ გარემოებათა ახსნა-გამოკვლევისა და შემოწმების მიზნით სხვა-  
დასხვა ვერსიების წამოყენებას, რომლებიც მათი ავტორების მიხედვით უნდა  
მოვიხსენიოთ დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის ვერსიებად.  
დანაშაულის შემადგენლობის ან მისი ცალკეული ელემენტების, გარე-



მოებებისა და ფაქტების კვლევის ობიექტთა მოცულობისა და დანიშნულების შესაბამისად განასხვავებენ შემდეგი სახის საგამოძიებო ვერსიებს: ზოგადს, კერძოსა და დეტალურს.

ზოგადი სახის საგამოძიებო ვერსია ეხება მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის საერთო ახსნას. მაგალითად, ადამიანის გვამის აღმოჩენის დროს საგამოძიებო ვერსია იმის შესახებ, თუ რა გარემოებას ჰქონდა ადგილი — მკვლელობას, თვითმკვლელობას, თვითმკვლელობის ინსცენირებას თუ უბედურ შემთხვევას; კერძო საგამოძიებო ვერსიას კი გამოძიებლები მიმართავენ დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების — ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტის და სუბიექტური მხარის ასახსნელად. მაგალითად, იმავე საქმეზე, მკვლელობასთან დაკავშირებით, კერძო ვერსია შეიძლება წამოყენებული იყოს იმისათვის, რომ გაირკვეს თუ სად, როგორ და რა გარემოებაში მოხდა დანაშაული ე. ი. საგამოძიებო ვერსია ობიექტური მხარის ახსნის შესახებ; ვის შეეძლო ჩადენა ეს დანაშაული, ე. ი. ვერსია დანაშაულის ჩადენის სუბიექტის შესახებ; როგორ, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი მკვლელობა, ე. ი. ვერსია სუბიექტური მხარის ახსნის შესახებ. რაც შეეხება დეტალურ ვერსიას, იგი ისეთი გარემოებებისა და ფაქტების ახსნას გულისხმობს, რომლებსაც მართალია არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ, მაგრამ დანაშაულის გახსნის და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობა ჩადენილია „ტეტეს“ სისტემის თუ „ნაგანის“ ან „ბრაუნინგის“ სისტემის იარაღით. იმის დადგენას კი, რომ გვამში აღმოჩენილი ტყვია გასროლილია ექვმიტანილისათვის ჩამორთმეული იარაღიდან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აგრეთვე ეგრეთწოდებულ სამუშაო ვერსიებს, რაც ჩვენის აზრით, არასწორია, რადგან თავისთავად ყველა ვერსია სამუშაოა და მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის მოკვლევისას ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოყენებული ყველა ვერსია სრულყოფილად უნდა შემოწმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ან გაუხსნელი დარჩება ან გამოტანილი განაჩენი გაუქმდება საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლით.

გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით წამოყენებული ვერსიები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ წმინდა ლოგიკური აზროვნების ნაყოფი, როგორც გამოძიებლის მოსაზრება და ფანტაზია. იგი უნდა ემყარებოდეს იმ ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც გამოძიებელს გააჩნია ვერსიების აგების მომენტისათვის. ამისათვის იგი იყენებს კვლევის დელუქციურ მეთოდსა და ლოგიკურ ხერხებს — ანალოგიასა და სინთეზს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებაში ანალოგია არ ასრულებს მთავარ გადამწყვეტ როლს. მსგავსების ნიშნები ზოგჯერ შეიძლება შემთხვევითი იყოს და ერთი და იგივე სახის დანაშაულის ჩადენისა და კვალის დაფარვისათვის გამოყენებული ერთნაირი ხერხები და საშუალებები გარკვეულწილად განსხვავდებოდნენ კიდევ ერთიმეორისაგან. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გამოძიებელმა ანალოგიით ვერსიების აგება-შემოწმების დროს.

ვერსიების მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასა-



ლებით მოხდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და რა ფაქტიური მონაცემები აქვს გამოძიებელს წარმოებაში. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება უნდა მოხდეს პარალელურად და არ შეიძლება რომელიმე მათგანს მიენიჭოს რაიმე უპირატესობა. გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიების შემოწმების დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს რაიმე შეცდომა, თორემ შეიძლება გამოძიება ისეთ ჩიხში მოექცეს, საიდანაც ძალიან გაჭირდება გამოსვლა. სწორედ ამიტომ საჭიროა მტკიცედ იყოს დაცული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმების წესი, კერძოდ: 1. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება მოხდეს პარალელურად. 2. ვერსიების შემოწმების შედეგების მიხედვით გაკეთდეს დასკვნა მათი დადასტურების ან უარყოფის შესახებ. 3. ვერსიების შემოწმება დამთავრებულად ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ჩამოსცილდა ყველა სხვა ვერსია და ბოლოს დარჩა ერთადერთი სწორი ვერსია.

საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის სწორ, თანმიმდევრულ შემოწმებას მივეყვართ დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისაკენ. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ეს მეთოდი ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

## პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ბიკა ლილუაშვილი

# პირადი საქუთრების ნაკომოშობის ნანამკვრები საქართველოს განსაჯობის პირველ ნაბიჯში

გარდაქმნისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება, მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათით არის განპირობებული. ეს აზრი უცილობლად დადასტურა ოციან წლებში გატარებულმა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ (ნეპი), რომლის უპირველესი მიზანიც სწორედ ქვეყნის ეკონომიკისა და ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობის გამოცხადება იყო. ამიტომ, ცხადია, რომ თანამედროვე პირობებშიც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა შედეგები გამოიწვია ჯერ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ, ხოლო შემდგომ მისმა შეზღუდვამ და გაქრობამ.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებას დიდად შეუწყობ ხელი გარკვეულ ფარგლებში კერძო საკუთრების შენარჩუნებამ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კერძო ინიციატივის წახალისება, იჯარა, ნარდობა, უცხოეთის ფირმებთან კავშირი და ა. შ. ე. ი. ეკონომიკური კავშირის ისეთი სამართლებრივი ფორმები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ დღეს, გარდაქმნის პირობებში.

3. „სახელმწიფო და სამართალი“, № 2.

წინამდებარე წერილში ჩვენ მოკლედ გვინდა შევეხოთ იმ საკითხს, როგორ მოხდა თანდათანობით გადასვლა კერძო საკუთრებიდან პირად საკუთრებაზე, როგორ შეიზღუდა პირადი საკუთრების ობიექტის წრე და მისი დაცვის გარანტიები, როგორ ჩაკლა ყველაფერმა ამან ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა.

საქართველოს ანექსია, ოკუპაცია და პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, რასაც მისი გასაბჭოება მოჰყვა, დაემთხვა რუსეთში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და ამიტომ ჩვენთან სამხედრო კომუნისმის დამლუპველი პერიოდი არ ყოფილა. იგი პირდაპირ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის რელსებზე გადავიდა.

საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებში დაიწყო სამრეწველო საწარმოებისა და წარმოების საშუალებების ნაციონალიზაცია, გასახელმწიფოება. მაგალითად, 1921 წლის 8 მარტს საქართველოს სსრ რევკომმა მიიღო დეკრეტი № 3 — „კახეთის რკინიგზის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საწარმოს ნაციონალიზაცია არ ხდებოდა. იგი ეხებოდათ მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ პირობებს შეესაბამებოდნენ. ეს პირობები კი ასეთი იყო: თუ წარმოებაში მუშაობდა ოცზე მეტი მუშა, ჰქონდა ძრავიანი მანქანა-იარაღები და ჰყავდა 10 მუშახელი, ჰქონდა 25 ცხენისძალიანი ძრავი და ა. შ. თუ ასე არ იყო, მაშინ საწარმო რჩებოდა მისი მესაკუთრის ხელში. უფრო მეტიც, ამ მონაცემების დაცვით. მესაკუთრეებს უფლება ეძლეოდათ აეშენებიათ ახალი კერძო საწარმოები.

სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მათი გაძლოლის საკითხი. რკ (ბ) X კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ხელი შეეწყოს წვრილ და საშუალო (კერძო და კოოპერატიული) საწარმოებს, უმთავრესად ისეთებს, რომლებიც არ მოითხოვენ სახელმწიფო მარაგიდან ნედლეულზე სათბობითა და სურსათით მომარაგებას. დაშვებულ იქნეს კერძო პირებისა, კოოპერატივებისა, არტელებისა და ამხანაგობებისათვის სახელმწიფო საწარმოთა იჯარით მიცემა“<sup>1</sup>.

სწორედ ლენინის ამ მითითებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში არ მოახდინეს ისეთი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია, რომელთა გაძლოლა ძვირი ჯდებოდა და არ იყო მომგებიანი. ასე მაგალითად: სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთ პირველ ყრილობაზე 1921 წლის ოქტომბერში აღინიშნა, რომ საქართველოს 30 თამბაქოს ფაბრიკიდან მიზანშეწონილია მოხდეს მხოლოდ 12 მსხვილი ფაბრიკის ნაციონალიზაცია<sup>2</sup>.

ამრიგად, მიუხედავად სისტემატური შეზღუდვებისა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით კერძო საკუთრების ინსტიტუტი თავდაპირველად მაინც შენარჩუნებული იყო. სწორედ ამ პერიოდში იქნა მიღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის პირველი კოდექსი, რომელმაც მოახდინა კიდევ პირადი საკუთრების წანამძღვრების სამოქალაქო-სამართლებრივი განმტკიცება. მართალია ეს კოდექსი ყურადღებას უთმობდა წარმოების ძირითად საშუალებებზე სოცსაკუთრების განმტკიცებას, მაგრამ ამავე დროს მისი 52-ე მუხლი სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების გვერდით ითვალის-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 55.

<sup>2</sup> ვაზ. „კომუნისტ“. 1921 წ. 21 ოქტომბერი.



წინებდა კერძო საკუთრებასაც, რომლის ობიექტთა წრე განისაზღვრებოდა კოდექსის 51-ე მუხლით: „კერძო საკუთრების საგანი შეიძლება იქნეს: არა მუნიციპალიზაციამწინი შენობა, სავაჭრო საწარმო, სამრეწველო საწარმო დაჭირავებულ მუშათა იმ რიცხვით, რაც არ აღემატება უკვე კანონით განსაზღვრულ რაოდენობას, წარმოების იარაღი და საშუალება, ფული, ფასიანი ქაღალდი და სხვა ფასეულობა. მათ შორის ოქროს და ვერცხლის ფული და უცხოეთის ვალიუტა, საოჯახო, სამეურნეო და პირადი მოხმარების საგნები, საქონელი, რომლის გაყიდვაც კანონით არ არის აკრძალული და ყოველნაირი ქონება, რაც გამორიცხული არ არის კერძო ბრუნვიდან“. როგორც ვხედავთ, კერძო საკუთრების ობიექტების წრე საკმაოდ ფართოა, თუმცა, მათი ჩამონათვალი მაინც არ არის ამომწურავი. კერძო საკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს არამართი ამ მუხლში ჩამოთვლილი საგნები, არამედ ისეთი საგნებიც, რომლებიც არ არის ამოღებული კერძო ბრუნვიდან. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კერძო მესაკუთრე არაფრით იყოს შეზღუდული. შეზღუდვები დაწესებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ კერძო პირის საკუთრებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთზე მეტი წვრილი სამრეწველო საწარმო.

შეზღუდვები არსებობდა აგრეთვე კერძო საკუთრების დაცვაშიც. ეს ნათლად ჩანს რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიის 1924 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაშიც, სადაც სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის საკუთრების თაობაზე დავის გადაწყვეტისას შემოღებულია პრეზუმფცია სახელმწიფოს სასარგებლოდ. ფაქტიური მფლობელობის პრეზუმფცია კერძო პირის სასარგებლოდ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდავე კერძო პირები ერთი კლასის წარმომადგენლები არიან. სახელმწიფო ორგანოს წინაშე კი კერძო პირი მოვალეა დაამტკიცოს თავისი საკუთრების უფლება<sup>3</sup>.

საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსიც ითვალისწინებდა დაცვის უპირატესობას სახელმწიფო საკუთრების მიმართ. კერძოდ, ამ კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, „მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მოთხოვოს თავისი ქონება იმ პირს, რომელმაც კეთილსინდისიერად შეიძინა ეს ქონება არა მისგან (მესაკუთრისაგან) უშუალოდ, როდესაც ქონება მესაკუთრეს დაეკარგა, ან წაერთვა. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს შეუძლია მოსთხოვოს ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა, ყველას, ვინც ეს ქონება შეიძინა, უკეთუ ქონება განსხვავებული იყო რაიმე უკანონო წესით“.

ამ მუხლშიც აშკარადაა გამოკვეთილი სახელმწიფო საკუთრების დაცვისადმი განსაკუთრებული მიდგომა.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სამართლის კოდექსმა მაინც იცოდა საკუთრების დაცვის ერთიანი სისტემა. მაგალითად, ნეგატიური სარჩელი ვინდიკაცია და საკუთრების უფლების ვალდებულებით-სამართლებრივი დაცვა აქვე მინდა შევეხო საკითხს იმის შესახებ, იცავდა თუ არა საქართველოს პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსი საკუთრების გვერდით მფლობელებსაც? ამასთან დაკავშირებით მოვიყვან 20-იანი წლების ორი გამოჩენილი ქართველი იურისტის გ. რცხილაძის და კ. მიქელაძის დისკუსიას, რომელიც მფლობელობის დაცვას შეეხება. დისკუსია დაიწყო გ. რცხილაძის წერილით,

<sup>3</sup> Комаров Б. К. — Об ограничении права собственности по ГК. Иркутск. 1929 г. с. 39.



რომელიც ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1928 წლის პირველ ნომერში ბეჭდა. მისი სათაური იყო: „მფლობელობის დაცვა“.

„მფლობელობის დაცვას — წერს გ. რცხილაძე, — როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალურ ინსტიტუტს, სრულიად გარკვეული და დასრულებული შინაარსი აქვს. მფლობელობის დაცვა ნივთზე არის ფაქტიური პატრონობის დაცვა იმის განუყოფლობად, თუ რა უფლება უდევს საფუძვლად ამ ფაქტიურ ბატონობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მფლობელობის დაცვა, რომელიც ეძლევა პირს განსაზღვრული ფაქტიურ მდგომარეობის საფუძველზე უფლებრივი საკითხებისათვის შეგნებულად და განზრახ გვერდის აქცევით. აი ამგვარი მფლობელობის დაცვას, რომის სამართლის ტერმინოლოგიით საინტერდიქტო დაცვად წოდებულს, არა სცნობს საბჭოთა სამოქალაქო სამართალი. მაგრამ მფლობელობის დაცვა თუ გნებავთ ამ თავისი რომაული მნიშვნელობით არ ამოწურავს მფლობელობის მთელ შინაარსს და ამიტომ მფლობელობის დაცვის გამოტოვება საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სისტემიდან მფლობელობის ინსტიტუტის უარყოფად არ უნდა ჩაითვალოს“. მისი აზრით, საბჭოთა სამართალს მიღებული აქვს ორი ურყევი დებულება: 1) ნივთის ფაქტიური მფლობელობა არის საფუძველი იმ პირის სანივთო უფლების პრეზუმფციისათვის, ვისაც ნივთი თავის მფლობელობაში აქვს და 2) ნივთის მფლობელობა ანიჭებს მფლობელს ლეგიტიმაციას სანივთო უფლების განსხვავებისათვის, თუნდაც თვითონ მას სანივთო უფლება არ ეკუთვნოდეს და ამიტომ შესაძლებელია სანივთო უფლების შექმნა არამესაკუთრესაგანაც, თუ კი ნამდვილ მესაკუთრეს ნივთის მფლობელობა უნებურად, ე. ი. წართმევის ან დაკარგვის მიზეზით არ გამოეცალა ხელიდან. „ვინაიდან მფლობელობა არის საკუთრების პრეზუმფცია, ამიტომ ნივთის ყოფილ მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება მის ახალ მფლობელს და ამასთან თავის მოთხოვნა დაასაბუთოს არა საკუთრების უფლების დამტკიცებით, არამედ საკუთრების პრეზუმფციის დამტკიცებით. საკუთრების პრეზუმფციის დასამტკიცებლად, როგორც ზევით დავინახეთ, სრულიად საკმარისია მფლობელობის ფაქტი იქნეს დამტკიცებული. ამიტომ გარეშე პირის ხელიდან ნივთის გამოთხოვა შესაძლებლად უნდა იქნეს ცნობილი, როცა დამტკიცდება, რომ უფრო უწინ, ვიდრე ნივთი ეხლანდელი მფლობელის ხელში ჩავარდებოდა, ეს ნივთი ნივთის მომთხოვნის ხელში იმყოფებოდა. უწინ მფლობელი პრეზუმფციის ძალით განიხილება როგორც მესაკუთრე იმ დროს, როცა ის ფლობდა, ხოლო ვისაც ნივთი ეხლა აქვს თავის მფლობელობაში, მას შეუძლია ეს პრეზუმფცია დაარღვიოს, რისთვისაც მას მოეთხოვება წარადგინოს დამტკიცება ამ ნივთზე საკუთრების კანონიერად შექმნის შესახებ“<sup>4</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. რცხილაძის მიერ საქართველოს პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე და მე-60 მუხლების ანალიზი უაღრესად ზუსტი და დახვეწილია. მისი დასკვნები იმის შესახებ, რომ ნივთის ფაქტიური მფლობელობა წარმოშობს ამ ნივთის მფლობელის საკუთრების უფლების პრეზუმფციას, ხოლო მფლობელობა უფლებას ანიჭებს მფლობელს გაასხვისოს თავისი ნივთი, მეტად დამაჯერებელია. დასაბუთების თვალსაზრისით უნაკლოა აგრეთვე ავტორის დასკვნა საბჭოთა სამართალში უწინარესი მფლობელობის დაცვის შესახებ: ვინც გამოითხოვს ნივთს ფაქტიური მფლობელისაგან, შეუძლია მან დამტკიცოს არა მარტო ის, რომ იგი ამ სადაო

<sup>4</sup> „საბჭოთა სამართალი“, № 1. 1928, გვ. 9.

ნივთის მესაკუთრეა, არამედ ისიც, რომ უფრო ადრე ფლობდა ამ ნივთს (პეტიტორული სარჩელი). შეიძლება ბევრმა გ. რცხილადის ეს მოსაზრება არც გაიზიაროს, მაგრამ ვიმეორებთ. დასაბუთების თვალსაზრისით იგი სამაგალითოა.

ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ იმავე წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა კ. მიქელაძის გამოხმაურება გ. რცხილადის წერილზე ასეთი სათაურით: „სცნობს თუ არა საბჭოთა სამართალი მფლობელობის სარჩელს?“ ავტორი აქ დაწვრილებით მიმოიხილავს ყურნალის წინა ნომერში დაბეჭდილ წერილში დასაბუთებულ დებულებებს, მაგრამ უარყოფს იმას (ჩვენის აზრით სავსებით სამართლიანად), თითქოს საბჭოთა სამართალი იცნობდეს მფლობელობით სარჩელს. კ. მიქელაძის აზრით, ნივთის ფაქტიურ მფლობელს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მესაკუთრე და არა ის, რომ ნივთის მომთხოვნი წინათ ფლობდა ამ სადაო ნივთს. „იმისათვის, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე და მე-60 მუხლების ძალით ვისმეს პქონდეს უფლება მეორისაგან მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, საჭიროა, რომ ის იყოს მესაკუთრე. ამაზე მიუთითებს ორივე მუხლში განმარტებული სიტყვები: „მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს“... აქედან ცხადია, რომ იმ პირმა, რომელიც მოითხოვს ნივთის დაბრუნებას ფაქტიური ფლობელისაგან, უნდა დაამტკიცოს, რომ ის მესაკუთრეა... საბჭოთა სამართლის რომელ ნორმას უნდა დავეყრდნოთ, რომ პეტიტორულ სარჩელს მოვუწინაოთ დასაყრდნობი ფუძე? უდავოდ უნდა ვქნათ, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონში არ მოიპოვება არავითარი საფუძველი, ნორმა, რომელიც ამართლებდეს პეტიტორული სარჩელის შესაძლებლობას, როდესაც არ არის დაპირისპირება უწინარეს მფლობელისა ფაქტიურ მფლობელთან, პირიქით, როდესაც ჩვენ გვაქვს კანონში დაპირისპირება მესაკუთრისა და ფაქტიური მფლობელის და იმაზე ლაპარაკი, რომ მესაკუთრეს და არა უწინარეს მფლობელს აქვს უფლება მოსთხოვოს ფაქტიურ მფლობელს მისი ნივთის დაბრუნება, თავი უნდა დავანებოთ პეტიტორული სარჩელის დასაბუთებას“<sup>5</sup>.

საქართველოს სსრ პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა მფლობელობის დაცვა, მაგრამ იგი მხოლოდ ტიტულიან მფლობელობას შეეხნო. კერძოდ, ამ კოდექსის 152-ე მუხლში, რომელსაც „არამესაკუთრე მფლობელის უფლებების დაცვა“ ეწოდება, წერია: ყველა ის უფლება, რაც მინიჭებული აქვს მესაკუთრეს „ეკუთვნის აგრეთვე იმ პირს, რომელიც თუმცა, მესაკუთრე არ არის, მაგრამ ფლობს ქონებას კანონის ან ხელშეკრულების ძალით“.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გ. რცხილადის და კ. მიქელაძის საინტერესო სადისკუსიო წერილები ფაქტიური და არა ტიტულიანი მფლობელობის დაცვას ეხებოდა.

როგორც ვხედავთ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში მართალია დამკვიდრებული იყო კერძო საკუთრება, მაგრამ იმდენად შეზღუდული, რომ არ შეიძლებოდა საკუთრების ამ ფორმას ასეთ პირობებში დიდხანს ეარსებნა.

მართლაც, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ლიკვიდაციას თან მოჰყვა, ჯერ ერთი, მეურნეობის მართვის ცენტრალიზაცია და მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების გაბატონება და მეორეც, მოქალაქეთა ინდი-

<sup>5</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1928, № 7, გვ. 178.

ვიღუალური საკუთრების მკვეთრად შეზღუდვა, კერძო საკუთრების მთლიანად გაუქმება, იმ საგნების, თუ ნივთების წრის შევიწროება, რომლებიც შეიძლება ბოდა ყოფილიყო მოქალაქეთა პირად საკუთრებაში. ყველაფერი ეს აისახა კიდევ 1936 წლის სსრ კავშირისა და 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციებში, სადაც მითითებული იყო, რომ პირადი საკუთრების საგანი შეიძლება ყოფილიყო შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი, საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების საგნები. ეს კი განსხვავდებოდა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 54-ე მუხლისაგან, რომლის თანახმადაც, კერძო საკუთრების საგანი შეიძლება ყოფილიყო სავაჭროები, სამრეწველო საწარმოები, წარმოების იარაღები და ა. შ.

ტერმინი „პირადი საკუთრება“ პირველად 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციამ დააკანონა. შემდეგ იგი ასევე იხმარა 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც. მანამდე კი პირად საკუთრებას ყველგან მოიხსენიებდნენ, როგორც კერძო საკუთრებას.

სსრ კავშირის 1936 წლის და საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციებით მკვეთრად შეიზღუდა იმ საგნების წრე, რომლებიც შეიძლება მოქალაქის საკუთრებაში ყოფილიყო. ამ კონსტიტუციებით მოქალაქის საკუთრებაში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებსაც მოხმარებითი დანიშნულება ჰქონდათ, ის საგნები კი, რომელთაც საწარმოო დანიშნულება გააჩნდათ მოქალაქის საკუთრებაში არ შეიძლება ყოფილიყო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთმა და სხვა ამგვარმა შეზღუდვებმა გამოიწვია სერიოზული უარყოფითი შედეგები საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკაში ქვეყნის სოციალური განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენი ქვეყნის ბოლო პერიოდში, კერძოდ კი 80-იანი წლებიდან, კვლავაც დაიწყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ეკონომიკისა და პოლიტიკის ძირულ შეცვლა-განახლებას. აქ უპირველესად იმას ვგულისხმობთ, რომ მკვეთრად გაფართოვდა პირადი საკუთრების ობიექტთა წრე. ამასთან, ახალი კანონმდებლობით პირადი საკუთრების განმსაზღვრელი ნიშანი გახდა არა მხოლოდ მოხმარებითი (როგორც ეს ადრე იყო), არამედ წარმოებითი დანიშნულებაც.

ამ საკითხებს ალბათ, სხვა წერილში შევეხებით და სიახლეებიც ბევრი იქნება, რადგან უკვე მზადაა მისაღებად შესაბამისი კანონები.

# სსრ კავშირის კანონი სასამართლოს უპატივცემლობისათვის კასუსისგაუპატივცემლობის შესახებ

## მუხლი 1. სასამართლო საქმეების გარჩევაში ჩარევა

მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებზე, რა ფორმითაც უნდა იყოს შემოქმედება კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის ხელის შეშლის ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით ან სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე ჯარიმით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან ერთი წლიდან ორ წლამდე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით.

## მუხლი 2. მუქარა მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ

მკვლელობის, ძალმომრეობის ან ქონების მოსპობის მუქარა მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ, ისევე როგორც მათი ახლო ნათესავების მიმართ, მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან იმავე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით.

## მუხლი 3. მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის შეურაცხყოფა

მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის შეურაცხყოფა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მათს საქმიანობასთან დაკავშირებით —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით ან სამას მანეთამდე ჯარიმით.

## მუხლი 4. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების განზრახ შეუსრულებლობა ანდა მათი შესრულებისათვის ხელის შეშლა —

ისჯება სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე ჯარიმით.

## მუხლი 5. სასამართლოს უპატივცემლობის გამოვლინება

სასამართლოს უპატივცემლობა, რომელიც გამოიხატა სასამართლოში მოწმის, დაზარალებულის, მოსარჩლის, მოპასუხის გამოცხადებაზე ავზრახულად თავის არიდებით ანდა თავმჯდომარის განკარგულებისადმი აღნიშნული პირებისა და სხვა მოქალაქეების დაუმორჩილებლობით ან სასამართლო



სხდომის დროს წესრიგის დარღვევით, ისევე როგორც ვინმეს მიერ ჩადენილი მოქმედება, რომელიც მოწმობს სასამართლოს ან სასამართლოში დადგენილი წესების აშკარა უგულვებელყოფას, იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის დადებას თხუთმეტ დღემდე ვადით ადმინისტრაციული დაპატიმრების ან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

**მუხლი 6. სახალხო მსაჯულის სასამართლოში გამოცხადებისათვის ხელის შეშლა**

თანამდებობის პირის მიერ ხელის შეშლა, რა საბაბითაც უნდა იყოს, სასამართლოში სახალხო მსაჯულის გამოცხადებისათვის, რათა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობანი, იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის დადებას ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

**მუხლი 7. სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების გამო დონისძიებათა მიუღებლობა**

თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვება, ანდა მათში აღნიშნული კანონის დარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა მიუღებლობა, ისევე როგორც კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხი იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის დადებას ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

**მუხლი 8. სასამართლოს უპატივცემლობისათვის პასუხისგებაში მიცემის წესი**

ამ კანონის 1-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ხდება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ კანონის 5-7 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციულ სასჯელს ადებს მოსამართლე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა სხვა მოქმედებისათვისაც, რომელიც მოწმობს სასამართლოს უპატივცემლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.  
 მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 2 ნოემბერი.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ საზოგადოებრივად საშიშ კმედობათა დასჯალობა სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით. კერძოდ, ასეთ დანაშაულებს ეთმობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მერვე თავი. მისი ნორმების უმრავლესობა შეეხება თვით კანონიერების განმარტაციული ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობას ან მართლმსაჯულების საწინააღმდეგო აშკარად გამოკვეთილ კმედობებს (ცრუ დახმენა, ცრუ ჩვენება, პატიმრობიდან გაქცევა და სხვა). სასამართლოსადმი უპატივცემლობის გამოხატვლი მრავალი სხვა კმედობა წინათ არც სისხლის სა-



მართლის, არც ადმინისტრაციული წესით არ ისჯებოდა, რაც ერთგვარ გავლენას ახდენდა მართლმსაჯულების ხარისხზე და სასამართლოს ავტორიტეტზე.

ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად კანონი „სასამართლოს უპატივცემლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა გასული წლის დეკემბრიდან. ახალი კანონის რვა მუხლიდან ოთხი ეთმობა ისეთ ქმედობებს, რომლებიც დანაშაულადაა მიჩნეული და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

პირმპლი მუხლი აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სასამართლო საქმეების გარეგანაში ჩარევისათვის ანუ სასამართლოებზე, მოსამართლესა და სახალხო მსაჯულებზე ისეთი შემოქმედებისათვის, რომელიც მათ ხელს უშლის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ან აიძულებს უკანონო გადაწყვეტილება მიიღონ. იმას, თუ ვინ ერევა საქმის განხილვაში მნიშვნელობა არ აქვს. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ისე სხვა პიროვნება; როგორც ის, ვის საქმესაც სასამართლო იხილავს, ისე მისი ახლობელი ან გარეშე პირი. ასევე არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფორმით ხდება საქმის განხილვაში ჩარევა. მთავარია, ჩარევის შედეგად მიღწეული იქნეს არაობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს — საქმის განხილვაში ისეთ ჩარევას, რაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან არის დაკავშირებული; ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი კონკრეტულად განსაზღვრული თანამდებობის პირია, ვისაც სამსახურებრივად ხელეწიფება შეგავლენა მოახდინოს სასამართლოზე. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩარევა მიმართულია არაობიექტური გადაწყვეტილების მიღებისაკენ, სხვანაირად სასამართლოსადმი ყოველგვარი თხოვნის დანაშაულად ჩათვლა გაუმართლებელი იქნებოდა.

დანაშაულის ეს კვალიფიციური სახე უფრო მკაცრ სასჯელსაც ითვალისწინებს — სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ერთიდან ორ წლამდე გამასწორებელ მუშაობას.

ცალკე დანაშაულად არის გამოყოფილი მუქარა მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ. კანონის მეორე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მოსამართლის, სახალხო მსაჯულის ან მათი ახლო ნათესავების მიმართ მკვლელობის, ძალმომრეობის ან ქონების მოსპობის მუქარისათვის, რაც დაკავშირებულია მოსამართლის ან მსაჯულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებასთან. აქ კონკრეტიზირებულია დანაშაულის ზასიათი, მუქარის სახე და შემოფარგლულია იმ ობიექტების წრე, ვის მიმართაც შეიძლება ამ დანაშაულის ჩადენა. ამასთან ყველა შემთხვევაში მუქარა დაკავშირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელებასთან. ასეთი მუქარა სასჯელის სახით ითვალისწინებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან იმავე ვადით გამასწორებელ მუშაობას. მაშინ, როცა ჩვეულებრივი მუქარა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი) მხოლოდ ერთ წლამდე ვადით გამასწორებელ მუშაობას ან 100 მანეთამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

**დღიუხ.ზ.უსუფოზ**

კანონის მესამე მუხლი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის შეურაცხყოფისათვის. სასჯელის სახით აქ გათვალისწინებულია გამასწორებელი მუშაობა ერთ წლამდე ან ჯარიმა 800 მანეთამდე. ასეთი შეურაცხყოფაც დაკავშირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების საქმიანობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება ჩვეულებრივი შეურაცხყოფა (საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლი), რაც შედარებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს. ხაზი უნდა გავსვას მხოლოდ იმას, რომ მოსამართლის (მსაჯულის) შეურაცხყოფისას კანონი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს მის მართვით და კვალიფიციურ სახეებს (შეურაცხყოფა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ან ჩადენილი ამავე დანაშაულისათვის ნასამართლები პირის მიერ), როგორც ეს არის გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით. ეს, ჩვენი აზრით, ახალი კანონის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რაც ალბათ მომავალში გასწორდება.

კანონის მეოთხე მუხლი აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს 144-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის, მათ შორის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის. გარდა ამისა, ამავე კოდექსის 203<sup>მ</sup> მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ მსჯავრდებულისათვის, ვინც არ შეახრულებს სასამართლოს განაჩენს, რომლითაც მას ჩამორთმეული აქვს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი

აწესებს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არ ასრულებენ სასამართლოს ასეთივე განაჩენს, თუმცა, ისინი სარგებლობენ სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის უფლებით. ეს ორივე ნორმა კონკრეტული ხასიათისაა და ეხება ერთეულ შემთხვევებს. სასჯელად ამ შემთხვევაში დადგენილია ჯარიმა 300 მანეთამდე. ახალმა კანონმა დააწესა პასუხისმგებლობა საერთოდ სასამართლოს განაჩენის, განჩინების, გადაწყვეტილების თუ დადგენილების განზრახი შეუსრულებლობისათვის ან მათ შესრულებაში ხელის შეშლისათვის, რასაც ჩადის ეხა თუ ის თანამდებობის პირი. ასეთი ქმედობა ითვლისწინებს ჯარიმას სამასიდან ათას მანეთამდე, ეს, ცხადია, ხელს შეუწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონით დადგენილ ვადებში შესრულებას.

კანონის მეშუთე, შექვევს და მეშვიდე მუხლებით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოვლენის, სახალხო მსაჯულების სასამართლოში გამოცხადებისათვის ხელის შეშლის და სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინებაზე ღონისძიებათა მიუღებლობისათვის.

**მეხუთე** მუხლის შესაბამისად სასამართლოში მოწმის, დაზარალებულის, მოსარჩელის, მოპასუხის გამოცხადებაზე ავი განზრახვით თავის არიდება, სასამართლოს განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ან წესრიგის დარღვევა სასამართლო სხდომის დროს, ასევე ვინმეს მიერ ჩადენილი ისეთი მოქმედება, რომელიც ცხადყოფს სასამართლოს ან სასამართლოში დადგენილი წესების აშკარა უგულვებელყოფას, იწვევს ადმინისტრაციულ დაპატიმრებას 15 დღემდე ვადით ან ჯარიმას ას მანეთამდე. აღნიშნულ ნორმას უარესად დიდი პრაქტიკული შედეგი უნდა მოყვებ, რამდენადაც საკმაოდ ხშირია დასახელებული მიზეზების გამო საქმეთა განხილვის გაჭიანურება, უწყსირგობანი სასამართლო პროცესებზე, რომლის აღკვეთის ეფექტური ნორმა შეიძლება ითქვას, დღემდე არ გვქონდა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირების მხოლოდ დარბაზიდან გაძევებას. ჯარიმა, ისიც მცირე ოდენობით (10-დან 30 მანეთამდე), გამოიყენებოდა მაშინ, როცა წესრიგის დამრღვევი პირები პროცესში არ მონაწილეობდნენ, ახალი ნორმა უშუალოდ სასამართლოს უპატივცემლობის გამოვლენის წინააღმდეგ არის მიმართული, უფრო ნათლადა ჩამოყალიბებული და შედარებით უფრო მკაცრ სანქციებსაც ითვალისწინებს, ამიტომ ცხადია, მას მეთი ეფექტი ექნება.


კანონის მეექვსე მუხლი აწესებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის მიერ სახალხო მსაჯულის სასამართლოში გამოცხადებაში ხელის შეშლისათვის, რა საბაბითაც უნდა მოხდეს ეს. ასეთი ქმედობა იწვევს ადმინისტრაციულ ჯარიმას 100 მანეთამდე.

სრულიად ახალი სახის პასუხისმგებლობა დაადგინა კანონმა მეშვიდე მუხლით. აქ ლაპარაკია იმ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე, რომლებიც უგულვისყუროთ მოკიდებიან სასამართლოს კერძო განჩინებას (დადგენილებას) ან მოსამართლის წარდგინებას. ეს შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ არ განიხილონ სასამართლოს კერძო განჩინება თუ წარდგინება, არ მიიღონ ზომები მათში აღნიშნული კანონის დარღვევების თავიდან ასაცილებლად, ანდა დაავიანონ პასუხის გაცემა ამ განჩინებაზე (დადგენილებაზე) და წარდგინებაზე. ასეთი ქმედობა იწვევს ას მანეთამდე ჯარიმას.

კანონის მძიმე მუხლი განსაზღვრავს მისი გამოყენების საპროცესუალურ წესს. აქ მითითებულია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა (1—4 მუხლები) უნდა მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემა (მე-5, მე-6, მე-7 მუხლები) — მოსამართლის ერთპიროვნული დადგენილებით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, როგორც ვიცით, სხვადასხვა დანაშაულისათვის ითვალისწინებს საქმეთა წარმოების განსხვავებულ წესს (მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა, მოკვლევა, წინასწარი გამოძიება). სასამართლოს უპატივცემლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება. ამას მიგვანიშნებს თვით კანონის მე-8 მუხლი, სადაც ლაპარაკია ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. არც მოკვლევისა და არც მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმის დროს პირთა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემა კი არ ხდება, არამედ მხოლოდ მასალები იგზავნება სასამართლოში — პირველ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნით, ხოლო მეორე შემთხვევაში — ოქმით. შესაძლოა პრაქტიკულად უფრო გამართლებული იყოს ამ საქმეების საოქმო ფორმით წარმოება ანდა მოკვლევა.

და ბოლოს, კანონში მითითებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით



შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა სხვა მოქმედებისათვისაც, რომელიც ადასტურებს სასამართლოს მიმართ უპატივცემლობას. ე. ი. კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა და აღმნიშნული გადაცდომათა სფერო შეიძლება გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო იურისდიქციით. ასეთ შესაძლებელ ქმედებად შეიძლება მივუთითოთ, მაგალითად, სასამართლოს საქმეებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩარევაზე (ბეჭდვითი სიტყვა, ტელევიზია და სხვ), რაც საკმაოდ ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ჩვენი აზრით, სწორი იქნება ცალკე გამოიყოს დანაშაულის ეს სახე და დაწესდეს ამისათვის პასუხისმგებლობა.

აღნიშნული კანონის ამოქმედება, მისი ცხოვრებაში გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასამართლოებში საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვას, სასამართლო ორგანოთა და მოსამართლეთა ავტორიტეტის გაზრდას და საერთოდ, მართლმსაჯულების დონის ამაღლებას.

ავთანდილ კობახიძე,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

**სასამართლო ექსპერტიზა: სიანჯენი და პრაქტიკა**

გიორგი ლალიაშვილი

**შემნახველ განკუთვნილ დანაშაულის  
საქმეთა ექსპერტიზა**

ჩვენი ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზეა. არ არის ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელსაც გარდაქმნა არ შეხებოდეს. წარმატებით მიმდინარეობს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. გარდაქმნის ნათელი გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისისა და 6 ოქტომბრის დადგენილებები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ბანკების ახალი სისტემა: 1. სსრკ სახელმწიფო ბანკი, 2. სსრკ საგარეოეკონომიკური ბანკი, 3. სსრკ მრეწველმშენებელი ბანკი, 4. სსრკ აგრომრეწველ ბანკი, 5. სსრკ ბინსტობანკი, 6. სსრკ შემნახველი ბანკი. რეფორმამდე ბანკების ოთხი სახეობა არსებობდა: სსრკ სახბანკი, სსრკ საგარეო ბანკი, სსრკ მშენებელი ბანკი და სსრკ რკინიგზის ბანკი. მანამდე საშემნახველო საქმიანობას აწარმოებდა სსრკ სახელმწიფო შრომითი შემნახველი საღაროების გამგეობა, რომელიც უზრუნველყოფდა მთელ ქვეყანაში საშემნახველო საქმის ორგანიზაციას, უნაღდო ანგარიშსწორებებს, საღაროს მომსახურებას, ხოლო საჭირო შემთხვევაში ორგანიზაციებში და დაწესებულებებში ავრცელებს და ანაღდებს სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს. რეფორმის შემდეგ მას დაერქვა

შემნახველი ბანკი და დაეკისრა დამატებითი მოვალეობა, მოქალაქეთა ოპერაციული საქმიანობის მოთხოვნების დაკრედიტება, რამაც შემნახველ ბანკებს დიდი პოპულარობა მოუპოვა.

საქართველოს სსრ შემნახველ ბანკებში და მის ფილიალებში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიებით გამოვლენილია სახელმწიფო სახსრების სხვადასხვა ხერხებით მითვისების ფაქტები. განზოგადებით დადგენილი იქნა, რომ 123 შემთხვევაში სახელმწიფო სახსრები მითვისებულია მეანაბრეთა პირადი ანგარიშებიდან, ანაბრის თანხის შემოსავალში აუღებლობის ხერხით, 33 შემთხვევაში სალაროში ნაღდი ფულის დანაკლისის სახით, 10 შემთხვევაში სამ პროცენტისანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების დანაკლისის სახით, 6 შემთხვევაში კომუნალური გადასახადების ანგარიშზე შემოსული თანხების დანაკლისის სახით და სხვ.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული მასალების განზოგადებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მთლიანად შემნახველ ბანკებსა და მის ფილიალებში სახელმწიფო სახსრების მითვისების ყველაზე გავრცელებული ხერხია მეანაბრეთა მიერ შემოტანილი ანაბრების შემოსავალში აუღებლობის ხერხი, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფო სახსრების მითვისების ფაქტების რაოდენობა შეადგენს 60 პროცენტს. გარდა ამისა, 1975 წლიდან 1986 წლამდე სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების შემნახველ ბანკებში მითვისების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზების დასკვნების განზოგადებით დადგინდა, რომ საგამომძიებო ორგანოების მიერ საექსპერტოდ წარმოდგენილი საქმეებიდან 20 საქმე წარმოდგენილი იქნა მეანაბრის პირადი ანგარიშის ბარათის გარეშე, 15 — საოპერაციო დღიურის გარეშე, 10 — შემოსავალ-გასავლის ორდერების გარეშე, 8 — ნატურის აქტის გარეშე და ა. შ., რის გამოც საჭირო გახდა დამატებითი საბუთების გამოთხოვნა. ამან კი შესამჩნევად გააჭიანურა საქმეების დროულად დამთავრება.

ამ საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ გამომძიებლები ექსპერტის გადასაწყვეტად ძირითადად შემდეგ კითხვებს აყენებენ:

1. „სწორად არის თუ არა განსაზღვრული ვ. გ-ს მიერ მითვისებული თანხა დოკუმენტალური რევიზიის მიერ და რამდენ მანეთს შეადგენს მითვისებული თანხა?“
  2. „რამდენად სწორად არის განსაზღვრული დოკუმენტალური რევიზიის მიერ მახარაძის რაიონის სოფ. შრომის შემნახველ სალაროში 1980 წლის სექტემბრიდან 1984 წლის 27 ივნისამდე პერიოდში გამოვლენილი დანაკლისი?“
  3. „რამდენად სწორად არის 1986 წლის 26 მაისის თარიღით შედგენილი დოკუმენტალური რევიზიის აქტით გამოვლენილი გეგეჭკორის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში 1982-85 წლებში უკანონო გასავლის ოპერაციებით გაცემული თანხები და ვის ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა?“
  4. „სწორია თუ არა სახშრომშემსალაროების რესპუბლიკური სარევიზიო სამმართველოს მიერ სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის შემნახველ სალაროში გამოვლენილი მითვისებული სახელმწიფო ქონების ოდენობა?“
- და სხვა.



უნდა ითქვას, რომ გამოძიებებში მიერ დასმული ყველა კითხვა სცილდება ექსპერტ-ბუღალტრის კომპეტენციის ფარგლებს და ამიტომ იგი არასწორია.

სრულყოფილი რომ იყოს ექსპერტიზის დანიშვნა და არ დაირღვეს საქმის დამთავრებისათვის დაწესებული ვადები, საჭიროა შემნახველ ბანკებში სახელმწიფო სახსრების მითვისების ფაქტებზე აღძრული საქმეების საექსპერტოდ მომზადების დროს არსებითი ყურადღება მიექცეს ყველა პირველად საბუღალტრო საბუთს, რომლებიც კი გამოყენებულია საანაბრო ოპერაციების გაფორმებისას.

ანაბრების მიღებისა და გაცემის დროს უნდა შეივსოს ორდერი (ფორმა № 51), რომელიც მეანაბრის მიერაა ხელმოწერილი და ადასტურებს თანხის შეტანას ან გამოტანას. თუ ანაბრის თანხა უნდა ჩაირიცხოს ანგარიშზე ან ჩამოიწეროს ანგარიშიდან ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე, კონტროლიორი ადგენს ორდერებს (ფორმები № 52, № 63), რომელთა საფუძველზეც გაიხსნება მეანაბრის პირადი ანგარიშის ბარათი (ფ. № 1), სადაც ხდება თითოეული ოპერაციის გატარება და ნაშთის გამოყვანა. პირადი ანგარიშის გახსნისას მეანაბრის სახელზე გაიცემა წიგნაკი, რომელიც წარმოადგენს საბუთს ანაბრის მისაღებად.


შემნახველი ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციები (ანაბრების მიღება, გაცემა, ჩაირიცხვა, ჩამოწერა) ჩაიწერება სპეციალურ ყურნალში (ფ. № 24 ან ფ. № 24-ა), მკაცრი ქრონოლოგიური წესის დაცვით და წარმოადგენს შემნახველი ბანკის ანგარიშგებას, რაც დღის ბოლოს ყველა ორდერთან ერთად იგზავნება ცენტრალურ შემნახველ ბანკში.

შემნახველი ბანკის საანაბრო ოპერაციებსა და მეანაბრეთა პირადი ანგარიშების მდგომარეობაზე კონტროლის დაწესების თვალსაზრისით შემოღებულია ანალიზური აღრიცხვის ბარათები (ფ. № 68), ნაღდი ფულის, სახელმწიფო სესხების, ობლიგაციების, ფასიანი ბლანკების და სხვა ფასეულობების ნაშთების აღწერა ხდება მოულოდნელად. აღწერა ტარდება შემნახველ ბანკებში ფულისა და ფასეულობების დაცვაზე პასუხისმგებელ პირთა თანდასწრებით და გამოვლენილ შედეგებზე დგება ნატურის აქტი (ფ. № 18, ან 18-ა).

ამ მასალათა განზოგადოებით ნათელი ხდება, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ შემნახველ ბანკებში სახელმწიფო თანხების ანაბრის ანგარიშიდან მითვისების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების საექსპერტოდ მომზადებისა და დანიშვნის დროს წარმოდგენილი უნდა იყოს: მეანაბრის პირადი ანგარიშის ბარათი (ფ. № 1), საშემნახველო წიგნაკი, შემოსავალ-გასავლის ორდერები (ფ. № 51, № 52, № 63), საოპერაციო დღიურების (ფ. № 24, № 24-ა), ნატურის აქტი (ფ. № 18, № 18-ა) და ა. შ. ექსპერტის გადასაწყვეტად კი უნდა დაისვას მოკლე და ნათელი კითხვა. მაგალითად:

„დასტურდება თუ არა პირველადი საბუღალტრო საბუთებით, მეანაბრის პირად ანგარიშზე გარკვეული თანხის შემოსავალში გაუტარებლობა და თუ დასტურდება, რომელ პერიოდს შეეხება იგი, ვინ მუშაობდა ამ პერიოდში კონტროლიორად?“

თუ ყველაფერი ამ წესითა და რიგით მომზადდება, საექსპერტო დაწესებულებები, ცხადია, შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარებენ ექსპერტიზას და კატეგორიულ დასკვნებსაც გასცემენ.



გიორგი ბაქრაძე

## თინათინ წერეთელი

1892 წლის ბოლოს ვ. წერეთელს განათლების მინისტრის განკარგულებით ნება დაერთო შესულიყო უნივერსიტეტში (გარდა მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებისა). როგორც შემდეგში გაირკვა, ეს საქმე პროფ. ვ. პეტრიაშვილს გაუყვებია, რომელსაც ვ. წერეთელი ძალიან უყვარდა. მას უთხოვია განათლების მინისტრისათვის ვ. წერეთლის დაბრუნება უნივერსიტეტში.

1893 წელს ვ. წერეთელი შევიდა კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, რომელიც 1899 წელს დაასრულა. ამავე დროს განაგრძობდა მუშაობას სტუდენტთა არალეგარულ ორგანიზაციებში.

1899 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვ. წერეთელი მიიწვია გიორგი ზდანევიჩმა ექიმად ჭიათურის სამკურნალოში. ამ სამკურნალოს გამგედ ითვლებოდა შორაპნის მაზრის ექიმი ტერელეცი. ჭიათურის საავადმყოფოში ჯოჯოხეთური პირობები შეექმნათ საგუბერნიო მმართველობასა და ექიმ ტერელეცის. ვ. წერეთელი ამ პირობებს ვერ შეურიგდა და ჭიათურის სამკურნალოსა და საერთოდ იქაურ მუშათა მდგომარეობა მთელ ქვეყანას ამცნო.

1903 წლის 8 იანვრის „ივერიაში“ (№ 5) ვ. წერეთელი აქვეყნებს წერილს სათაურით „ცოტა რამ მარგანეცის მრეწველთა კრების შესახებ“.

ვ. წერეთელი წერდა: „მიკვირს, „შავი-ქვის“ მრეწველთა კრება რატომ არ შუამდგომლობს, რომ შემცირებული იქმნას მაღაროებში სამუშაო დღე და აკრძალული იქნას ღამით მადნის ზიდვა?! რატომ არავენ აღძრავს ამ საკითხს?! მეორე აუცილებელი საჭიროებაა მაღაროების განათება ღამით მაინც, თუ ელექტრონით არა, ძნელი წარმოსადგენია, მკითხველო, როგორი ყარტლი ტრიალებს მაღაროებში, რომელიც სწორედ საშინელებას წარმოადგენს. მესამე: აუცილებლად უნდა გაკეთდეს სახალხო სახლები ჭიათურაში, ჭიქოურში მადნებთან, ერთის სიტყვით, სადაც კი მუშაობენ. „კრებაში“ (сезон) რომ ამგვარი სახლები გააკეთოს და იაფად მიაქიროს მუშებს, დანახარჯ ფულსაც მალე დაიბრუნებს და მუშებსაც დიდ სამსახურს გაუწევს. და ვიდრე მუშებს ბინა არ ექნებათ, შესანიშნავი ჭიათურის აბანო, რომელიც მიაჩნიათ „საბჭოს“ მხნეობის ნიშნად, მხოლოდ მავნებელი იქნება. მართლაც, სად უნდა გაათიოს ღამე მუშამ, რომელმაც აბანოში იბანა ტანი? საჯინიბოში? იცი, მკითხველო, რა არის ჭიათურის საჯინიბო? წარმოიდგინეთ უზარმაზარი ბოსელი, რომელსაც არსად სარკმელი არა აქვს, სადაც სიბნელე მკვიდრობს, რომელიც სავსეა ცხენებით, იატაკის მაგიერ ტალახი, ცხენის შარდი და წყალი, ერთად არეული. ადამიანსაც იქვე აქვს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. 1990 წ., № 1.

ბინა სადმე კუნჭულში. აბანო დგას რომ კაცი ასეთ სადგომში შევიდეს და გაათიოს ღამე, შენს მტერს, რომ იმას საქმე დაემართოს!“

დიდი გულისტკივილით წერს ვ. წერეთელი სასწავლებელთა არარსებობაზე; „გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების მხრივ არაფერი მზრუნველობა არ გამოუჩენია მრეწველთა კრებას. იგი მხოლოდ „ტარიფების“ დაკლებას და სხვა ამგვარ შედეგების მოპოებას ცდილობს. სირცხვილია, რომ „კრებას“, რომელსაც 100.000-200.000 (მანეთი) შემოსავალი აქვს წელიწადში, არცერთი სასწავლებელი არ დაუარსებია“.

ქიათურის მუშათა ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ ვ. წერეთელს მრავალ სხვა წერილშიც გაულაშქრია. „ამ საქმეში — წერდა იგი „ივერიაში“ 1903 წლის 20 მარტს გამოქვეყნებულ წერილში „ქიათურის საქმეების გამო“ — დაძნედა არიან როგორც მრეწველნი საერთოდ, აგრეთვე მათი საბჭო; განსაკუთრებით საბჭოს ედება ბრალი, რადგან მოთავე, მრჩეველი, მაჩვენებელი საერთო საჭიროებათა საბჭო უნდა იყოს“ და შემდეგ: „ავადმყოფები იხოცებიან ქსენონის საშინელ ანტიჰიგიენურ მიზეზთა გამო“.

ვ. წერეთელს ხსენებულ საკითხზე მანამდეც ქონდა გამოქვეყნებული წერილები „მეურნეში“ (1897 წ., № 6), „კვალში“ (1900 წ., № 8, 1901 წ. № 22, 29, 34 და ა. შ.). ეს ამბავი სამინისტრომდე მივიდა. ამ ნიადაგზე ვ. წერეთელს მოუხდა კონფლიქტი გუბერნიის ექიმ სერგეენკოსა და ქუთაისის გუბერნატორ გერშელმანთან. გუბერნატორმა მრეწველთა საბჭოს ვ. წერეთლის გაძევება მოსთხოვა.

1900 წელს ვ. წერეთელი კერძო პრაქტიკას ეწეოდა ზესტაფონ-ხარაგოულში. 1901 წელს ცოტა ხანს მსახურობდა თბილისში ყოფილ მიხაილოვის საავადმყოფოში თერაპევტიუ-

ლი განყოფილების შტატგარეშე ორგანიზატორად, 1902 წელს — მაზრის ექიმად გიოგჩაიში (აზერბაიჯანში), 1903 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. ქოდელოს საავადმყოფოს გამგედ, 1904 წელს მაზრის ექიმია ჯერ თიანეთში, ხოლო 1905 წელს რაჭაში. ამ პერიოდში ვ. წერეთელი მრავალ წერილს აქვეყნებს „ივერიაში“ აღმოსავლეთ საქართველოს გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრების შესახებ.

1903 წლის 18 აპრილს ვ. წერეთელი „ივერიაში“ (№ 84) ათავსებს წერილს: „რა ეჭირვება ქიზიყს“. ამ წერილში იგი გვიჩვენებს, თუ რით არის შეპირობებული კახელი გლეხის დაუძლურება. პირველ მიზეზად მას მიაჩნია მალარია. „კოლოს ლაშქარი — აი, ჩვენი მტერი, ჩვენი დამასნეულებელი, სიცოცხლისა და ენერჯის წამრთმევი, — მტერი, რომელთანაც ბრძოლაა აუცილებელი, თუ გვსურს ჩვენი არსებობა დავიცვათ“. მეორე მიზეზად ვ. წერეთელი თვის ლოთობას. „ღვინო ერთსა და იმავე დროს ძალაც არის, როგორც ფულის შესაძენი საშუალება და სისუსტის გამჩენიც, როგორც ქრონიკულად მომწამლავი სხეულისა: კახელმა ზომიერება არ იცის სმაში. თუ წვეულება აქვს გამართული, უსათუოდ უნდა დათვრეს. წყალ-გარეულ ღვინოს თავის დღეში არ დალევს. ღვინით დათრობა გვირგვინია მისი ესტეტიურის კმაყოფილებისა. არავინ იფიქროს, მე ამას ვამბობდე, როგორც კახელთა მტერი. პირიქით, ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ გული მტკივა, როგორც მათს მოძმეს, მოყვარეს. მოყვარეს პირში უძრახე და მტერს ზურგს უკანაო, ნათქვამია. მართლის თქმისათვის არავინ არ უნდა დამემდუროს. არ გამოკვირდება — კი, რომ გულნატკენი დარჩეს ვინმე, რადგან ბევრია ისეთი, რომელსაც სიმართლე თვალებს უყენებს. ქართულ ლოთობის მიზეზი ორგანიული, ბუნებრივი როდია, იგი ჩვე-

ულეება მხოლოდ, საფუძვლად ამ მავ-  
ნებელ ჩვეულებას უძევს სულიერი  
უშინაარსობა, ერთად შეკრებილ ქარ-  
თველთ სალაპარაკო მასალა მალე  
შემოელევით ზოლმე და, რომ თავი შე-  
იყოლიონ, მეტი საშუალება... არა  
აქვთ, სმას უნდა მიჰყონ ხელი, საერ-  
თო ლაპარაკი, ბაასი, ბჭობა, შედეგია  
განვითარებული ცხოვრებისა. ამისათ-  
ვის საჭიროა, რომ ერთად შეკრებილთ  
საზოგადო საჭირ-ბოროტო საქმე აინ-  
ტერესებდეთ. ჩვენი სოფლები კი  
საზოგადო საქმეების გარეშე ცხოვრო-  
ბენ, თვითელს მხოლოდ თავისი საქ-  
მე აქვს მოხვეული კისერზე და საკუ-  
თარის წონით ეწვევა უღელს რის ვაი-  
ვავლანით და ჭაპან-წყვეტით თავის  
პატარა ვიწრო, პირადსა მოედანზე. მო-  
თხოვნილება ერთობისა კი ძლიერია  
ქართველთა შორის. ეს სოციალური  
ინსტიტუტი აიძულებს ქართველთ ხში-  
რად შეიკრიბონ ერთად და, როგორც  
ზემოთ ვთქვი, გაატაროს დრო ღვინის  
სმით, რადგან ჯერ მოკლებული არიან  
სხვა თავის-გასართობ საშუალებას“.   
აქვე ვ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ქი-  
ზიყში ცუდი სახლკარი აქვთ, ზოგი-  
ერთს კი სახლი საერთოდ არა აქვსო.  
„ამგვარ გარემოებაში კულტურული  
ზრდაწარმატება, ცხადია, შეუძლებელ-  
ია“.

ფშაველთა ყოფა-ცხოვრების ანა-  
ლიზს შეიცავს ვ. წერეთლის მეორე  
წერილი, რომელიც მან იმავე წელს გა-  
ზეთ „ივერიაში“ (№ 237) გამოაქვეყ-  
ნა სათაურით „ფშავეთი“. თავდაპირ-  
ველად ვ. წერეთელი აღწერს მთის  
უბადლო სილაამაზეს, სადაც ტანაშლი-  
ლი ტყეები, დახლართული ჭიუხები,  
დახვეული ბილიკებია, რასაც კლდე-  
ნაპარალები, ვიწრო ორწოხებში მოქცე-  
ული მშფოთვარე და აულაგმავი არაგ-  
ვი ავვირგვინებს. ამის შემდეგ იგი  
იხსენებს ფშავის ისტორიულ წარ-  
სულს, რომლის სიმბოლო ოლიმპიუ-  
რი სიდარბაისლით მდუმარე ციხე-გა-

ლაენები, ნასოფლარ-ნასახლარებია...  
სადაც „ას კაცს შეუძლია გაუმზარდეს  
ათი ათასს“. ურდოთა მღელვარება მო-  
აწყდებოდა ფშავეთის მთებს და ქარ-  
წყოდებოდა კლდეთა შეხეთქებით,  
როგორ არ შეიყვაროს მამ ფშავეთი  
ქართველმა. „მიყვარს მგზავრობა ფშა-  
ვეთში, მართალია, საშიში გზებია,  
ცხენიც მალე დაგედლება, თითონაც  
მიიქანცები, ასე გასინჯე, ხშირად თმაც  
ყალყზე დაგიდგება შიშით, მაგრამ,  
სადაც განსაცდელია, იქ სიამოვნებაც  
არის და ამ განსაცდელს ათას წილად  
ფარავს განუზომელი სიამოვნება დი-  
დი ბუნების ხილვით გამოწვეული. მიკ-  
ვირს, რატომ მეტი პოეტი არ მოგვე-  
ვლინა ამ ხელშეუხებელ ბუნების  
წიაღთაგან“. ვ. წერეთელი აღწერს  
ფშავ-ხევსურეთის ყოფას, იქაურთა  
ღუხჭირ ცხოვრებას. „შავ წყვიდად  
დაუბუდებია, ფშაველს სცივა და  
ჰშია“. იგი მოითხოვს ფშაველთა სა-  
ხელმწიფო გადასახადისაგან გათავი-  
სუფლებას, წერა-კითხვის გავრცე-  
ლებას, სკოლების გახსნას, გზების გაყვა-  
ნას, ფშაველთათვის სახელმწიფო მი-  
წების მიცემას, მოსახლეობის მჭიდ-  
როდ დასახლებას, ეროზიისა და ნგრე-  
ვისაგან მიწების დაცვას, შვეიცარიის  
მსგავსად ფერდობების შეკვრას ლობე-  
ებით, ფშავში მატყლის დამზადების  
ამხანაგობების ჩამოყალიბებას.

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუ-  
ზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილ-  
მა, რომელმაც შეისწავლა ვ. წერეთ-  
ლის საექიმო მოღვაწეობა თიანეთის  
მაზრაში, გაზეთ „სახალხო ჯანმრთე-  
ლობაში“ (1969 წლის 13 თებერვალი)  
მისდამი მიძღვნილი წერილი გამოაქ-  
ვეყნა. ი. ბეჟანიშვილმა ვ. წერეთელს  
ფშავ-ხევსურთა ჭირ-ვარამის მოზი-  
არეს უწოდებს: „ვასილ წერეთლის  
საქმიანობა, როგორც მკურნალისა,  
დღესაც ტკბილ მოგონებადაა დარჩენი-  
ლი ხალხში. მან მთიელთა სიყვარული  
მათთან სიახლოვეთ დაიმსახურა. ვა-

სილს კარგად ესმოდა მთის ბინადართა გულის ტკივილი და ვარამი. მაზრის ერთადერთი ექიმი 40 ათასამდე მცხოვრებს ემსახურებოდა, რომლებიც 4875 კვადრატულ მეტრზე იყვნენ გაფანტულნი. სწორედ ამ მიუვალსა და ძნელად სავალ ადგილებში, თუკი ვინმეს გაუჭირდებოდა, ვასილ წერეთელიც იქ გაჩნდებოდა და გაჭირვების ტალკვესად დაინთებოდა. მისი სულგრძელობა, გულისხმიერება, წამლებთან ერთად მოქმედებდა და შვებად ევლინებოდა სენშეყრილ მთიელს. მებრძოლ ექიმ-პატრიოტს ცხენით ჰქონდა შემოვლილი არაგვისა და ივრის ხეობები, ოცნებობდა სამშობლოს ბრწყინვალე მომავალზე, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიცოცხლე იზემებდა სიკვდილზე, სიბნელეს სინათლე შეცვლიდა, ჭირს ღზინი შეენაცვლებოდა გულიდან მოსული ფრთავაშლილი სიმღერით“.

ვ. წერეთელი ცდილობდა სწავლავანათლების გაუმჯობესებას იმდროინდელ საქართველოში. ამ საკითხზე მას ყურადღასღები მოსაზრებები აქვს გამოთქმული „ივერიაში“. მაგალითად, ამ გაზეთში გამოქვეყნებული მისი წერილი „როგორი სწავლაა ჩვენთვის საჭირო“ (1902 წ., 25 ნომბერი, № 19) საინტერესო წინადადებას შეიცავს ხსენებულ საკითხზე. იგი უპირველეს ყოვლისა სწავლის მეთოდის შეცვლას მოითხოვს. „მილიონებიც რომ დავხარჯოთ, თუ სწავლის მეთოდი არ გვივარგა, ნაყოფიც ფუჭი იქნება; პირიქით ათასჯერ ნაკლები ღონისძიებაც—კი, როდესაც მეთოდი კარგია, მშვენიერ ნაყოფს გამოიღებს“. ვ. წერეთელი სინანულით აღნიშნავს, რომ გიმნაზიადამთავრებულს არავითარი წარმოდგენა არა აქვს ბუნებისა და ადამიანის აგებულების შესახებ. „გიმნაზიელს აკლია ის, რითაც მეცხრამეტე საუკუნეს თავი მოსწონს და რითაც განირჩევა წინანდელ საუკუნეებისაგან, ე. ი. ყველაზე უფრო სასარგებლო და

განმანათლებელი ცოდნა, ცოდნა ბუნების-მეტყველებისა და ამბობენ — კი, საზოგადო განათლება აქვსო. გიმნაზიელს არა გაეგება—რა აგრეთვე არც საზოგადო მეცნიერებისა. საპოლიტიკო ეკონომიას და იურისპრუდენციას არ ასწავლიან, ისტორიიდან ასწავლიან უმთავრესად ომების ამბებს“. რაკი გიმნაზიელს ცნობისმოყვარეობა არ ამოძრავებს, მას ამიტომ სიზანტე და სიზარმაცე ეუფლება. „და თუ ბავშვი ვერ სწავლობს კარგად, მხოლოდ იმიტომ, რომ მისის სულისათვის შესაფერი მასალა ვერ მიგვიწოდებია მასალად. სულიერ სიზანტეს მოჰყვება შედეგად ჯანის სიზანტეც. ნერვებსა და მუსკულებს მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. თუ ნერვები დასუსტდენ, დასუსტდებიან ის მუსკულებიც, რომელთაც პირველნი ამოძრავებენ და მთელი ჯანი დაუძლურდება, დასნეულდება. ნერვების დასუსტებასა და დაუძლურებას მოჰყვება აგრეთვე ზნეობრივი დაუძლურებაც. ზნეობრივის ძლიერებისათვის საჭიროა ჰქონდეს კაცს ძალა ნებისა, სურვილისა (сила воли), რომელიც დამოკიდებულია ნერვებისაგან. მაშასადამე, იმგვარ აღზრდას, რომელშიც წილი არ უდევს ხალისს, ცნობის მოყვარეობას, როდესაც მოსწავლეს ძალით ასწავლიან, მოჰყვება გონებრივი, ზნეობრივი და ხორციელი სიზანტე და სიღუბჭირე“. ასეთი გიმნაზიელი ველარც უნივერსიტეტში სწავლობს რიგიანად. აქ იგი მეცნიერებას ოდნავ ითვისებს, ხოლო შემდეგ სრულიად ანებებს მას თავს. „მართალია, ჩვენთვის საჭიროა, რომ ქართველს ყველგან ექიროს ადგილი, მაგრამ ბევრად უფრო საჭირო ის არის, რომ საზოგადოდ, სატეხნიკო და მეტადრე განსაკუთრებით, სამეურნეო კულტურა აღვიყვავდეს. მრეწველობა და განვითარებული მეურნეობა ბევრად მეტს განათლებულ კაცს შეინახავს და უფრო მოჰფენს ხალხში განათლებას, ვიდრე ჩინოვნიკობა“. ამის გამო

ვ. წერეთელი წინააღმდეგია სათავა-  
დაზნაურო სასწავლებლის არსებობისა.  
მას მიაჩნია, რომ უპირატესობა უნდა  
მიეცეს რეალური ტიპის სასწავლე-  
ბელს. ასეთი ტიპის სასწავლებლის  
დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას  
„სხვაგანაც რომ არ წავიდეს სწავ-  
ლის განსაგრძობად, რაკი ერთხელვე  
მეცნიერების კარი გაღებული ექნება  
და ცნობის-მოყვარეობა აღძრული, სა-  
დაც უნდა იყოს, სახლშიც რომ დარ-  
ჩეს, თავის-თავად განაგრძობს სწავლას,  
თვით-განვითარებას; მაშინ როდესაც  
გამოდიან თუ არა უნივერსიტეტიდან,  
უმეტეს წილად მეცნიერებას აღარ  
მისდევნენ“. ასეთი სასწავლებელი განა-  
ვითარებს ახალგაზრდის სულს, შეინა-  
ხავს სიახლეს, სიყმაწვილეს, ენერგი-  
ას, თავიდან აგვაცდენს სიზარმაცეს.

ბევრად ეხმაურება დღევანდელი-  
ბას საკითხი, რომელიც აღძრულია  
ვ. წერეთლის წერილში „სალიტერა-  
ტურო შენიშვნები“ („ივერია“, 1903 წ.  
4 დეკემბერი, № 259). აქ ქართველი  
ხალხის გამრავლების საკითხია განხი-  
ლული.

ფ. გოგიჩაიშვილმა „ცნობის ფურ-  
ცელში“ (1903 წ., № 2317) გამოაქვეყ-  
ნა წერილი „მეოჯახეობა“. ფ. გოგიჩა-  
იშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს  
ქორწინებათა გამრავლებას, რასაც შე-  
დეგად მოყვება ერის განახლება, გამ-  
რავლება და გაძლიერება. იგი სტატის-  
ტიკური მასალების მომარჯვებით ასა-  
ბუთებს, რომ უცხოეთის მსგავსად  
ჩვენს ქალაქებში ბევრად ნაკლებია  
ქორწინებათა რიცხვი, ვიდრე სოფლებ-  
ში. ამ აზრის წინააღმდეგ გაილაშქრა  
„ყვირილელმა“ (ირაკლი წერეთელმა).

ვ. წერეთელი უსაფუძვლოდ თვლის  
„ყვირილელის“ გამოხდომას. „ბ. ყვი-  
რილელი“ ძალიან გაუწიწმამტებია  
ბ. ფ. გოგიჩაიშვილის აზრს, რომ ოჯა-  
ხის მამა, რომელიც წლებზე ფეხს იდ-  
გამს და დიდის შრომითა და მეცადი-  
ნობით ინახავს და ზრდის თავის ოჯახს

და მატებს ამ გვარად საზოგადოებას  
ახალ წევრებს, საზოგადო მოღვაწეებს.

ვ. წერეთელი ნაბიჯ-ნაბიჯ აბათი-  
ლებს ამ მოსაზრებას. „მაგრამ რით  
ამტკიცებს ჩვენი კრიტიკოსი ამ აზ-  
რის სიცრუეს?! აი რით: 1. არიან  
ისეთი მოღვაწეები, რომელნიც ოჯახს  
უარ-ჰყოფენ, რომ მთელი თავისი ძალ-  
ღონე „ხალხის ჭირ-ვარამს“ შესწირო-  
ნო. მერე რა! ნუ თუ ცოლშვილიანი  
საზოგადო მოღვაწე კი ცოტაა? ნუ თუ  
ცოლი და შვილი უარს ათქმევინებს  
გულ-წრფელ საზოგადო მოღვაწეს თავის  
იდელზე? ნუთუ მარქსმა, რომელ-  
საც ცოლ-შვილი ჰყავდა, მთელი თავი-  
სი არსება საზოგადო მოღვაწეობას არ  
შეაღია?! 2. პირუტყვისაცა ჰყავს შვი-  
ლი, რომელსაც იგი ზრდის, ბრძანებს  
ბ-ნი „ყვირილელი“. რა ვუყოთ მერე,  
თუ ბევრი რამ გვაქვს საერთო პირუტ-  
ყვებთან, ვიტყვით ჩვენის მხრივ. ბევ-  
რი რამ კარგი ღირსება, რითაც ადამი-  
ანებს თავი მოაქვთ, პირუტყვებსა  
სჭირთ. 3. „ვაი თუ ყველა ფილისტე-  
რი, რომელიც დედა-მიწის ზურგზე  
არსებობს, დაეტიოს „ფართო ფარგალ-  
ში“, რომელსაც თქვენ (ბ-ნი გოგიჩა-  
იშვილი) საზოგადო მოღვაწეობას ავა-  
ლებთ“. მთავარი შეცდომა ბ-ნ „ყვი-  
რილელისა“ აქ არის. იგი სრულიად  
უარ-ჰყოფს ფილისტერების ყოველ-  
გვარ მნიშვნელობას. მისთვის მთელი  
ერი ორ ნაწილად არის გაყოფილი.  
ერთი ნაწილი, რომელიც მისი თანამგ-  
რძნობია, სასარგებლოა და მეორე ნა-  
წილი, რომელიც ჯერ ფილისტერულ  
მდგომარეობაში ჰყვინთავს, მავნებე-  
ლია. ჩვენი ერის უმეტესი ნაწილი,  
გლუხკაცობა გულუბრყვილო ფილის-  
ტერებისაგან შედგება. ნუთუ ამიტომ  
უნდა უარყოთ მისი მნიშვნელობა?  
თუმცა აზრით იგი ჩამორჩენილია კა-  
ცობრიობას, მაგრამ ჩამორჩენილია  
დღეს, ხვალ — კი მისი გონებაც ამაღ-  
ლდება. ამას გარდა, მისი გუთანი, მი-  
სი მუშაობა, ვაჭრობა დღესაც სიცოცხ-  
ლეს ანიჭებს ჩვენს ქვეყანას. იგივე



შეიძლება ითქვას ყველა ფილისტერის შესახებაც, ვაჭარია იგი თუ ხელოსანი, მოსპეთ ყველა ჩვენი ფილისტერი და მოსიპობა ჩვენი ერი. ...ხალხის სიმრავლე არის ქვაკუთხედი საერთო წარმატებისა. ამიტომ ოჯახის ყოველ მამას, რომელიც პატიოსანი შრომით ზრდის თავის შვილებს, არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ საზოგადო მოღვაწე“. ვ. წერეთელი ამასთან ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია მხოლოდ შვილების აღზრდით შემოფარგვლა. „საჭიროა ადამიანთა ყოველივე თავისი მოვალეობა ღირსეულად აღისრულოს, რომ ნება ქონდეს სთქვას: „feci quod potui faciant meliora“.

ვ. წერეთელის აზრით, ქალაქში, სოფლისაგან განსხვავებით, სადაც ქალი შინაა, ნაკლები შობადობა იმით არის გამოწვეული, ჩანს „ქალაქის დედაკაცი აგრე რიგად საჭირო არ არის, პირიქით, მეტი ბარგიც არის, რადგან უდგადაკაცოთ უფრო იოლად წავა. მან ყველაფერს ფულით უნდა გაუწიოს ანგარიში. ბინა, სასმელი, საკმელი, ტანსაცმელი — ყველაფერში ფული უნდა გაილოს. ერთი კაცი, როგორც არი, თავს გამოიტანს და ცოლშვილის შენახვა-კი ამ გარემოებაში უბრალო მუშისათვის — კი არა, უფრო შეძლებული კაცისათვისაც ძნელია. აი მთავარი მიზეზი, ჩვენის ფიქრით, რომ არ მრავლობს ქალაქელთა რიცხვი... ფუჭია ყოველგვარი ქადაგება, არაფერს არ ძალუძს შესცვალოს მუშათა ზნეობა, ვიდრე მათი ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვლება“. მას არც სტუდენტობა გამორჩენია მხედველობიდან.

ვ. წერეთელი ასაბუთებს იმის აუცილებლობას, რომ სტუდენტიც ოჯახს უნდა მოეკიდოს; უცოლ-შვილო სტუდენტი მეტ დროსაც ჰკარგავს ტყუილუბრალოდ. „შეუძლებელია ბრძოლა ფიზიოლოგიურ მოთხოვნებთან.

უარ-ყოფა ამ მოთხოვნებისა სასტიკად სჯის ადამიანს. როგორც ზემოაღვთივით, ამ უარყოფას შედეგად მოჰყვება ტვინის აღზნება და სისხლქარბობა, ე. ი. გარყვნა, გაბრწნა ადამიანის სულისა და ხორცისა. ეს დამტკიცებულია მეცნიერულად, ჩემი საკუთარი აზრი არავის ეგონოს. ყოველად შეუძლებელია, ნორმალური, ბუნების შესაფერი ცხოვრება ხელს უშლიდეს და ბუნების შეუფერებელი კი — ხელს უწყობდეს კაცს ან სწავლაში იმ რამე სხვა საქმეში“.

1904-1905 წლებში ვ. წერეთელი სახალხო მოძრაობის მონაწილეა თიანეთსა და რაჭაში. ამიტომ იძულებული იყო თავი დაენებებია სახელმწიფო სამსახურისათვის. 1906 წელს ალიხანოვის დამსჯელი რაზმის შემოსვლამდე რაჭიდან თბილისში ჩამოვიდა და აქ არალეგალურად ცხოვრობდა. ქუთაისში ალიხანოვის წასვლის შემდეგ ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში ცხოვრობდა. ბათუმში მუშაობდა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“, ხოლო შემდეგ „ჩერნომორსკი გოლოსის“ რედაქტორად. 1908 წლიდან ვ. წერეთელი ისევ ქუთაისშია. აქ ვ. წერეთელი მუშაობას იწყებს ქალაქის პირველი კომუნალური ამბულატორიის გამგედ და თერაპევტად. იმავდროულად იგი იყო სასკოლო-სანიტარული ექიმი და ჰიგიენის მასწავლებელი ვაჟთა ქართულ გიმნაზიასა და მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზიაში.

1926 წელს ოჯახითურთ თბილისში გადმოსახლდა. აქ ერთხანს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორად მუშაობდა. დაენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსია. გარდაიცვალა 1937 წელს.

სავსებით სწორად შენიშნავს თამარ ღვალაძე, რომ „ქართველი საზოგადოებრიობისათვის ნაკლებად არის ცნო-

ბილი ვასილ წერეთლის სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწეობა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში. ერთ-ხანს იყო კიდევ ორგანიზაციის, — „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი. შემდეგ 1890-იანი წლების დამლევებიდან გატაცებული იყო სოციალ-ფედერალისტური მიმდინარეობით, 1907 წლიდან გახდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მოგვიანებით კი, — მისი ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი: 1919-1921 წლებში ბატონი ვასილი გახლდათ საქართველოს პარლამენტის, — დამფუძნებელი კრების წევრი. სწორედ დამფუძნებელი კრების სხდომებზე ვიხილე იგი პირველად (1918-1920 წლებში თბილისში ე. წ. შ. ნუცუბიძის კურსებზე ვსწავლობდი. ბატონი შალვას წყალობით მსმენელები ვესწრებოდით ხსენებულ სხდომებს)“<sup>1</sup>. სრულიად მისაღებია მისი წინადადება გამოიყოს ვ. წერეთლის თხზულებანი. მას ხომ მრავალი წერილი აქვს გამოქვეყნებული სოციალურ, ფილოსოფიურ, პოლიტიკის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის, კრიტიკის, ხელოვნების, პოლიტიკის, აღზრდა-განათლების და სხვ. საკითხებზე. მართლაც შესაშური ერთდროებით გამოირჩევა მის მიერ გამოცემული „სამეცნიერო-საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმნის მიხედვით“<sup>2</sup>. ვ. წერეთელი დედანში კითხულობდა ნიცშეს, შოპენჰაუერს, გოეთეს, შილერს, კანტს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია პროფ. ვ. გაგოიძის მოსაზრება: „მარქსის ნამდვილ მიმდევრად და მარქსიზმის წარმომადგენლად თვლიდა თავის თავს ვ. წერეთელიც, თუმცა, ცხადია, ნამდვილად არც რ. ფანცხაეა და არც

ვ. წერეთელი მარქსისტები არცაა“<sup>3</sup>.  
ლან. მიუხედავად ამისა, ვ. წერეთელი მარქსიზმის გავლენას განიცდიდა. ისევე, როგორც წინა პერიოდის ხალხოსნური იდეოლოგიის მრავალი წარმომადგენლის, ვ. წერეთლის მსოფლმხედველობაც უხვად იყო ნასაზრდოები სპენსერის ორგანული თეორიის იდეებით, ევოლუციონიზმითა და სოციალური დარვინიზმით. მართალია, იგი სწორად სვამდა საკითხს ისტორიის, როგორც კანონზომიერი პროცესის შესახებ, მაგრამ ამ პროცესს იგი განიხილავდა როგორც იდეალისტი და არა მატერიალისტი“<sup>2</sup>.

...წერეთლების ოჯახი კეთილშობილური ზნეობითა და მაღალი ინტელექტით გამოირჩეოდა. ეს უპირველეს ყოვლისა, ვასილ წერეთლისა და მისი მეუღლის — ქეთევან ჩიქოვანის პიროვნული თვისებებით იყო პირობადებული.

ვ. წერეთელი ძველი ფორმაციის დარბაისელი ინტელიგენტი იყო. იგი დღენიდავ მუშაობდა და შვილებსაც შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა. მის თანამედროვეთა გადმოცემით, მასში შერწყმული იყო გონიერება, ეფექტური გარეგნობა და მიმზიდველი ხასიათი. მაღალი, თეთრყირმიზი, ცისფერთვალე და შავი თმები, სიკეთისა და გულწრფელობის გამოხატულება — ასე დაამახსოვრდათ იგი მეგობრებსა და პაციენტებს.

ვ. წერეთელს ქონდა უნარი ღრმად ჩაკვირვებოდა ამა თუ იმ მოვლენას. ასეთ შემთხვევაში მთლიანად გამოეთიშებოდა გარემოს. ეს პირდაპირ გასაოცარ დაბნეულობას იწვევდა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი იურისკონსულტი მიხეილ ქორქაშვილი, რომელიც ოდესაში

1 დვალაძე თ. ვასილ წერეთელი, „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 9 სექტემბერი.

2 გაგოიძე ვ. ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში. თბ., 1964, გვ. 317-318.

ვ. წერეთელთან ერთად ცხოვრობდა, ერთ ზამთრს დღეს ასეთ სურათს წააწყდა: ვასილი მაგიდას უჯდა და გატაცებით კითხულობდა, ღია სარკმლიდან კი თოვლი და სუსხი შემოდის, მაგრამ ვასილი ამას სრულიად ვერ ამჩნევდა. მისი შვილები ღრმად ჩაფიქრებულ მამას ქუჩაში რომ შეხვდებოდნენ, განზრახ, როგორც უცხო, ისე მიესალმებოდნენ. ვასილი ზრდილობიანი საღმთო უბასუხებდა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ისინი სიცილს დაიწყებდნენ, ვასილი გამოერკვეოდა და მიხვდებოდა, რომ მის წინ საკუთარი შვილები იყვნენ. იგი ოდნავ შეცბუნებული იღიმებოდა და ბავშვებს თითქოსდა დატუქსავდა (სხვა თვისებებთან ერთად თინათინ წერეთელს მამის ეს თვისებაც ახასიათებდა. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე წერეთელი ასე იგონებდა მამას: „მამაჩემი ვასილ გიორგის ძე წერეთელი იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი ექიმთაგანი, რომელსაც მიღებული ქონდა უმაღლესი სამედიცინო განათლება. ვასილ წერეთელი იყო პიროვნება, აღკუთვლილი უაღრესად კეთილშობილური თვისებებით, საოცრად კაცთმოყვარე, კეთილი, არაჩვეულებრივად თავდადებული თავისი საქმისადმი და უანგარო. სწორედ ამიტომ აირჩია მან თავის პროფესიად ექიმობა. მას უნდოდა თავისი საქმით როგორმე შეემსუბუქებინა თავისი ხალხისათვის მძიმე ცხოვრება, ეწარმოებინა ბრძოლა მძიმე ეპიდემიებთან და დაავადებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. წერეთელი თავისი დროისათვის გამორჩეულად განათლებული ადამიანი იყო. მას შესწავლილი ქონდა ფილოსოფია, პოლიტიკოზომია, ანტიერესებდა სოციოლოგიის, ისტორიის საკითხები. ფართოდ იცნობდა მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიას. ვასილი ფართო საზოგადო-

ებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ მისი ძირითადი საქმე მაინც ყოველთვის ექიმობა იყო. მისი ერთნაირი გულსისყურით ეკიდებოდა ყველას. მისთვის არ არსებობდა უმცირესი და დარბი ავადმყოფი (ცნობილია, რომ იგი საერთოდ არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა ავადმყოფებისაგან). მისთვის არავითარ დაბეჭულებას არ წარმოადგენდა არც ამინდობა, არც შორი მანძილები და არც ფარა (ზშირად თავსხმაში, სოფლის ორღობებში, ღამის წყვილიაში მიემართებოდა იგი ავადმყოფებთან). მახსენდება რამდენიმე ეპიზოდი მამის ცხოვრებიდან. ერთხელ, როდესაც მამა რუკაში (ონის რაიონში) მუშაობდა, იქ ორი პატარა ბავშვი გამხდარა მძიმე ავად. მამას დიფტერიის დიაგნოზი დაუესვამს (უფროსებისაგან მშენია, რომ მამა საერთოდ შესანიშნავი დიაგნოსტიკოსი იყო, ყოველგვარი ანალიზების გარეშე, ავადმყოფზე გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ყოველთვის სწორ დიაგნოზს სვამდა). იმ დროს დიფტერიის შრავი ახალი შემოღებული იყო და ძნელად იწოვებოდა. მამას სულ ცოტა დოზა შრავი ჰქონია. რასაკვირველია, ორივე ბავშვს გაუკეთა შრავი, ერთისათვის ტრაქეატიამიაც გაუკეთებია, რადგან მდგომარეობა ძალიან რთული იყო. ორივე ბავშვი გაჯოკეთდა, მაგრამ თავად მამას შეეყურა დაავადება, რაც საკმაოდ მძიმე ფორმით მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც არ იკეთებდა შრავს, ზოგავდა, იქნებ ამ ბავშვებთან კონტაქტში მყოფ რომელიმე სხვა ბავშვს აღმოაჩნდეს დაავადება. მართლაც, მალე კიდევ ერთ ბავშვს გამოაჩნდა დიფტერია და ის დარჩენილი შრავი მას გაუკეთა. თვითონ კი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძლივს მომჯობინდა. ცნობილი იყო ხალხში ასეთი აზრი ვასილ წერეთელზე, რომ იგი გასამრჯელოს

არასდროს არ იღებდა, ბირიქით, თუკი ღარიბ ოჯახში მოხვდებოდა, თუმცა თვითონ ხელმოკლედ ცხოვრობდა, ავადმყოფს რეცეპტის ქვეშ ფულს უღებდა წამლის გამოსასყიდათ. მახსოვს დედაჩემის ნაამბობი: როდესაც ისინი აჭარის საზღვარზე ცხოვრობდნენ, შუალამისას ერთ ავადმყოფთან გამოუძახიათ. საშინელი ქარბუქი და წვიმა იყო თურმე. ავადმყოფი ახალგაზრდა ყმაწვილი აღმოჩნდა. ოჯახში საშინელი სიღარიბე იგრძნობოდა. ყმაწვილს მწვავე აპენდიციტის შეტევა ჰქონია. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაციული ჩარევა. იქ საავადმყოფო ახლო-მახლო არ ყოფილა, დრო კი მიდიოდა. მამას იმ საშინელ პირობებში გაუქვთებია ოპერაცია გამოუცდელ ფერშალთან ერთად. სამი დღე თავზე ადგა მამა ავადმყოფს. ყმაწვილი გადარჩა. ბავშვის მამას საჩუქრად შესანიშნავი სპარსული ხალიჩა მიუერთებია, მაგრამ მამას ნოხი უქანვე გაუტანებია და თანაც უთქვამს, თუ ასეთი ძვირფასი ნოხი გაქვს, გაყიდე და შვილებს მოახმარეო.

ერთხელ, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტი ახლად დამთავრებული მქონდა, მე და მამა ჩვენს სოფელში ცხრუქვეთში წავედით დასასვენებლად. ჩვენი სოფელი მთაგორიანი ადგილია, კიათურამდე ცუდი საურმე გზა იყო გაყვანილი. იმ ზაფხულს (1934 წ.) კიათურაში წყლით გამოწვეული მუცლის ტიფის ეპიდემიის აფეთქება მოხდა. მუცლის ტიფმა ჩვენს სოფელსაც მოაღწია და სერზე მდებარე ერთ უბანში თითქმის მთლიანად გახდა ხალხი ავად. კიათურის საავადმყოფო გადატვირთული იყო, უგზოობის გამო ავადმყოფების ტრანსპორტირებაც ჯირდა. ახლო-მახლო სოფლებში ექიმი კი არა, ფერშალიც არ იყო. ამიტომ მე და მამას მოგვიხდა ამ ავადმყოფების მოვლა. საქმე ის იყო, რომ მამას იმ დროს გული ძლიერ აწუხებდა და აღმართში

სიარული უჭირდა (იგი მაშინ პენსიონერი იყო), ე. ი. მხოლოდ შინაგანი მოვალეობის გრძნობა და კაცთმოყვარეობა ამოძრავებდა მას. მისმა ერთ თვეზე მეტმა დაუზარავმა შრომამ, თავდადებულმა ბრძოლამ ამ საშიშ გადამდებ სნეულებასთან (მაშინ ანტიბიოტიკები არ არსებობდა) შედეგი გამოიღო. არცერთი ავადმყოფი არ დაღუპულა და ეპიდემიაც ჩაქრა. მისმა ასეთმა უანგარო თავდადებას აღაფრთოვანა კიათურის საექიმო საზოგადოება — ხალხიც დიდად მაღლიერი იყო. როდესაც მამა გარდაიცვალა, საკუთარ მამასავით დაიტირეს“.

ვ. წერეთლის მეუღლე ქეთევან ჩიქოვანი (1874-1935) ნოქალაქევიდან იყო. დედა-მამა ადრე გარდაეცვალა. ქეთევანის აღზრდა მისმა ნათესავმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ითავა. ქ. ჩიქოვანმა დაამთავრა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი, შემდეგ მასწავლებლად გაამწესეს ქუთაისში. სულ ერთი წელი იმასწავლებლა, რადგან ოჯახის დიასახლისობას შეაღია მთელი სიცოცხლე. იგი სათნო და კეთილი ადამიანი, სათნოებისა და სიკეთის მაღალ იდეალებს უნერგავდა შვილებს, ქ. ჩიქოვანი გახლდათ მწერალ სიმონ ჩიქოვანის ნათესავი. ამიტომ წერეთლების ოჯახი ნათესაურად იყო განწყობილი ბატონ სიმონისადმი.

თინათინ წერეთლის გადმოცემით, დედა არ იყო მკაცრი, თუმცა ზოგჯერ შვილების დატუქსვაც იცოდა. იყო მხიარული, სიცოცხლის მოყვარული, კაცთმოყვარე, მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ (საქველმოქმედო) საქმეებში, საინტერესო გარეგნობა ჰქონდა და თანაც ძალიან მოხდენილად იცავდა.

შვილების აღზრდაში ვ. წერეთლის ოჯახს დიდად ეხმარებოდა ვასილის და — ევდოკია წერეთელი (1882-1919). ზომიერ და კეთილ დამოკიდებულებას ბავშვებთან, ზრუნვას მათი

ინტელექტუალური განვითარებისათვის დიდი სიყვარულით იგონებდნენ ისინი მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე.

...მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისი პატარა საგუბერნიო ქალაქი იყო. დასავლეთ საქართველოს მთავარ ცენტრში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ინტელიგენტები. მათ სულიერ ინტერესებს კვებავდა საუკეთესო ეროვნული ტრადიციები. აქაურ ოჯახებში უყვარდათ სტუმრის მოსვლა, მუსიკის ლიტერატურის, განსაკუთრებით პოეზიის, ხელოვნების, კულტურის, მუსიკის, ისტორიის საკითხებზე. ამ მხრივ ვ. წერეთლის ოჯახი ერთ-ერთი სამაგალითო იყო. აქ სტუმრის მიღებისას ყოველთვის მზაობასა და პატივისცემას იჩენდნენ. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, გალაქტიონ ტაბიძე, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი უზნაძე და სხვ.

ასეთ გარემოში აღზრდილი, თუ ბუნებისაგან ნიჭიერებითაა დაჯილდოებული და ამასთან შრომის დიდი უნარიც მოსდგამს, მაშინ იგი სასახელო წარმატებებს მიაღწევს. აქაც ასე მოხდა. უფროსი შვილი ბაბილინა (ბაბო) ვასილის ასული (1902-1970) განათლებით ისტორიკოსი, სახელი გაითქვა პედაგოგიური მოღვაწეობით. მუშაობდა ივანე ჯავახიშვილთან, არის რამდენიმე

ნაშრომის ავტორი, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას. ბაბოს მომდევნო იყო თინათინი, რომელმაც სამართლის მეცნიერებას მიუძღვნა თავისი ცხოვრება. გიორგი წერეთელი (1904-1973) მსოფლიოში აღიარებულ გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნედ ითვლებოდა. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელმა პრეზიდენტმა მ. კელდიშმა თქვა: „...საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია გახდა დიდი სამეცნიერო დაწესებულება. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ აქ არსებობს რიგი სკოლები, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი არიან და მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ, ესენია: მათემატიკური სკოლა, რომელიც თავის საწყისს აკადემიკოს მუსხელიშვილისაგან იღებს, ფიზიოლოგიური სკოლა, რომელიც აკადემიკოს ბერიტაშვილიდან მოდის, აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა, რომელსაც აკადემიის წევრი წერეთელი მეთაურობს“.

ვასილ წერეთლის უმცროსი შვილი ელენე წერეთელი (1910-1988) ექიმის მიკრობიოლოგი იყო, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობდა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ.

ასე რომ, ვასილ წერეთლის შემოქმედებითი და პროფესიული ინტერესების სფერო თითქოსდა დაინაწილეს მისმა შვილებმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# საქართველოს იურისტთა კავშირი

## საქართველოს იურისტთა კავშირიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურად დასახელებული არიან:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების კონსულტანტი, სსრკ იურისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვაჟა ბორიას ძე აბაკელია.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ალბერტ მიხეილის ძე აბესაძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ლევან ანდრიას ძე აღუაძიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი შოთა ოთარის ძე ახათიანი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანი ელდარ აღუაძიანიძე ძე ახვლედიანი.

ქ. ქუთაისის პროკურორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ჩამლით გედეჯანის ძე ბაბილაშვილი.

თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე ნანა ვლადიმერის ასული ბიჭიაშვილი.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების უფროსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ანზორ აღუაძიანიძე ძე გაბიანი.

დომიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის

იურიდიული განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი აღუაძიანიძე ძე გაბუნიანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თეიმურაზ ვახტანგის ძე გამყემლიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ კალინიძე ძე გამყემლიძე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ჩემალ ვლადიმერის ძე გაბოკიძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული, პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი ნოდარ ქუჩუკის ძე გიორგაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლევან ლევანის ძე გიორგაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი კახა აკაკის ძე გობრონიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული ორგანოების ჯგუფის გამგე თენგიზ ნიკოლოზის ძე გუგუშვილი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამაჭოლქბრივი განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ოთარ კონსტანტინეს ძე გონაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ევა გრიგოლის ასული გოციანიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდი-

ულ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრი ავთანდილ ვლადიმერის ძე დემეტრაშვილი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურისდიკულ მეცნიერებათა კანდიდატი ტარიელ ვიქტორის ძე ზამბაჩიძე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული იურისტი ალექსანდრე ხაჩიტონის ძე ზაქარაია.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრკ იურისტთა კავშირის აღმასკომის წევრი გიორგი ზაქარაიას ძე ინწკირველი.

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ავთანდილ ივანეს ძე კალმახელიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის კთიკის კომისიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ შიხელიძის ძე კეკელიძე.

ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ამირან შამაიას ძე კოშახიძე.

საქართველოს კპ სენაკის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ შიხელიძის ძე კოლუა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი დურმიშხან ანთიმოზის ძე ლორია.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვალერი ამბერჯიხის ძე ლორია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი ბადრი ოთარის ძე შალვაძე.

თბილისის ლენინის რაიონის პროკურორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი სიმონ ვანტანავის ძე შაჰვარიაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი დავით იურის ძე შელიტიშვილი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი გიორგი დავითის ძე მეფარიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ზაზა თენგიზის ძე ნამორაძე.

გაერთიანება „საკოპაგრომარეწვის“ იურიდიული განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ნოდარ იულონის ძე ნეზიგრიძე.

ეურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ მთავარი რედაქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი თევდორე გიორგის ძე ნინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი ლია შიხელიძის ასული ორკოდაშვილი.

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაციის წევრი მურმან მელიტონის ძე ოშანიძე.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ლექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი შალვა ლევანის ძე პაპიძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სსრკ იურისტთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ალექსი ვალერიანის ძე პაპუაშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების დაცვების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი გენრი თეოდორის ძე პატარია.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანიზაციების და მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს სსრ იურისტთა კავში-

რის გამგეობის პრეზიდენტის წევრი სარქის მარკოზის ძე პეტროსიანის.

საქართველოს სსრ პროკურორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი ვახტანგ ამოლონის ძე რაჭმაძე.

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ზურაბ მელქისედეგის ძე რატაიანი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი გრიგოლ ვახილის ძე რიონიშვილი. თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსი ვახტანგ ვახტანგის ძე სალარიძე.

ქ. თბილისის საქარბნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე სიმონის ძე საყვარელიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლამარა იროდიონის ასული სურგულაძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მცხეთის რაიონის განყოფილების უფროსი ფეოდორ კონსტანტინეს ძე სხვიტარიძე.

ქ. თბილისის პროკურორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი თამაზ ხერგის ძე ტულუაშვილი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ტერენტის ძე ტაყაშვილიაძე.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სსრკ იურისტთა კავშირის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი შინდია გურამის ძე უგრეხელიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი დავით ჭოველის ძე უსტუვაშვილი.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი შენჯელი ალექსის ძე ფიცხელაური.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის წევრი ნოდარ ხერგის ძე ფეიჭრიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი იაკობ ვალერიანის ძე ფუტკარაძე.

ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შიხიელ ზაქარაის ძე ქურდაძე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო პროკურორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი რევაზ ვიქტორის ძე ყიფიანი.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი ვიქტორ აბიბოის ძე შარაშენიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი თამაზ გრიგოლის ძე შავჯულიძე.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრი რუსუდან აგაბოს ასული შველიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი რომან ვარლამის ძე შენჯელია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების უფროსი რამზეს შაღვახ ძე ჩაღაური.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შაღვა დანიელის ძე ჩიკვაშვილი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის იურიდიული განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ირაკლი პორფირეს ძე ჩიქოვანი.

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეო-

ბის პრეზიდენტის წევრი პეტრე პეტრეს ძე ჩხეიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხერგო გიორგის ძე ძაგნიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზაურ გიორგის ძე წულაია.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლადო ლუდოვიკოს ძე ჭანტურია.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზაურ ვაფერიანის ძე ჭინკოლაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების და საზღვრებულო მოღვაწე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ხერგო მანასეს ძე ჭორბენაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის წევრი ჯონი დავითის ძე ხეცურიანი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვალერიან დუდარის ძე შებრეველი.

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს და იუსტიციის ორგანოს შესასრულებლად დაუზღავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 648 დადგენილებაში „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილება კანონიერ ძალაშია მიღების დღიდან, რის გამოც სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება უნდა წარმოებდეს 1989 წლის 25 ოქტომბრიდან. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები დიფერენცირებულია. ჩასატარებელი მოქმედების სირთულის, სარჩელის ფასის, სამკვიდროს ან სხვა ქონების ოდენობისა და აგრეთვე ნათესაური ურთიერთობის მიხედვით, შემცირებულია სახბაჟის თანხა. ისეთი გავრცელებული სანოტარო მოქმედებისათვის, როგორცაა სამკვიდროზე უფლების მოწმობის გაცემა, პირველი რიგის მემკვიდრეობისათვის (მეუღლე, მშობლები), ბაჟი შემცირდა 10 პროცენტადან 3 პროცენტამდე, ხოლო სრულწლოვანი შვილებისათვის — 5 პროცენტამდე. უცვლელად არის დატოვებული სასამართლოების და საფინანსო ორგანოების უფლება — გაათავისუფლონ მოქალაქე სახბაჟის გადახდისაგან მისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამავე დროს, გაზრდილია სახბაჟის ოდენობა ზოგიერთი სანოტარო მოქმედებისა და დოკუმენტების გაფორმებისათვის.

სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო სასა-

მართლოს და იუსტიციის ორგანოს დაავალა სათანადო ღონისძიებები გაეწეა და ატარონ აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად, სახელმწიფო ბაჟის ახალი განაკვეთების შესახებ აუცილებლად აცნობონ მოსახლეობას. ამ მიზნით გამოიყენონ სასამართლოებში და იუსტიციის დაწესებულებებში არსებული ისტენდები, აგრეთვე ბექდვითი სიტყვის და ინფორმაციის საშუალებანი.

ვაქვეყნებთ მთავრობის ამ დადგენილების სრულ ტექსტს.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1989 წლის 25 ოქტომბერი, № 894, მოსკოვი, კრემლი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 29 ივნისის № 648 დადგენილებაში „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილი იქნეს ცვლილებები 1979 წ. 29 ივნისის № 648 დადგენილებაში „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ“ (სსრკ მთ. დადგ. კრებული 1979 წ. № 20, მუხ. 122; 1984 წ. № 6, მუხ. 82). პუნქტები 1, 3 და 4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასამართლოში განცხადებისა და ხაჩივრის შეტანის და სასამართლოს შიგნით უმეტესობის ახლობის გადამიხას:

ა) სასარჩელო განცხადებაზე, თუ სარჩელის ფასია:

100 მანეთამდე — 5 მანეთი, 100-დან 500 მანეთამდე — 8 პროცენტი სარჩელის ფასის ოდენობისა, 500-დან 1000 მანეთამდე — 8 პროცენტი სარჩელის ფასის ოდენობისა, 1000 მანეთის შემთხვევაში — 10 პროცენტი სარჩელის ფასის ოდენობისა.

ბ) სასარჩელო განცხადებაზე კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციების დავების შესახებ, სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, ასევე ერთმანეთს შორის — ბაჟი განისაზღვრება სარჩელის ფასის ოდენობის მიხედვით ქვეპუნქტ „ა“-ს შესაბამისად.

გ) სასარჩელო განცხადებაზე განქორწინების შესახებ — 80 მანეთი, სასარჩელო განცხადებაზე მეორედ ქორწინებაში მყოფი პირის განქორწინებისას — 50 მანეთი, განქორწინებისას ქონების გაყოფის შემთხვევაში — ბაჟი განისაზღვრება სარჩელის შეფასების ოდენობის მიხედვით ქვეპუნქტ „ა“-ს შესაბამისად.

დ) სასარჩელო განცხადებაზე იმ პირებთან განქორწინების შესახებ, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან უგზოუკვლოდ დაკარგულად, ან პირებთან, რომლებიც არაქმედუნარიანებად არიან აღიარებულნი სულით დაავადების ან ქუჩასუსტობის გამო ან იბდიან სასქელთა თვისუფლების აღკვეთით ვადით 8 წლამდე — 5 მანეთი.

ე) სასარჩელო განცხადებაზე საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, მემკვიდრეობის მიღების ვადის გაგრძელების, ქონებისათვის ყადაღის მოხსნის და სხვა ისეთი ქონებრივი ხასიათის სასარჩელო განცხადებები (ან რომლებიც შეფასებას არ ექვემდებარებიან) — 10 მანეთი.

ვ) განცხადებაზე ან ხაჩივარზე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე — 10 მანეთი.

ზ) სასარჩელო განცხადებაზე წინასახელშეკრულებო დავების შესახებ, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციებსა და სახელმწიფო კოოპერატივებსა და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ასევე ერთმანეთს შორის — 25 მანეთი.

თ) სასამართლო გადაწყვეტილებების საკასაციო ხაჩივრებზე — სასარჩელო განცხადებებს შეტანისას იმ თანხის 50 პროცენტი, რომელიც გადახდის ექვემდებარება (განცხადება განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე, ხოლო ქონებრივი დავისას სადავო თანხის 50 პროცენტი).

ი) სასამართლო გადაწყვეტილების, განჩინის, განჩინების და სასამართლოს სხვა დად-

გენილებების ასლების მეორედ გაცემაზე — 3 მანეთი და თითოეული გამწალებული ფურცლისათვის დამატებით.

3. სანოტარო კანტორებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის:

ა) საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის უფადო სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების დამოწმებისათვის — 50 მანეთი.

ბ) საცხოვრებელი სახლის ვასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის:

შვილებს, მეუღლეს, მშობლებს — ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 8 პროცენტი, მაგრამ არა უმცირეს 80 მანეთისა;

სხვა მოქალაქეებს — ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10 პროცენტი, მაგრამ არა უმცირეს 100 მანეთისა.

გ) ავტომანქანისა და მოტოციკლის ნაჩუქრობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის:

შვილებს, მეუღლეს, მშობლებს — ავტომანქანისა და მოტოციკლის ნამდვილი ღირებულების 8 პროცენტი;

სხვა მოქალაქეებზე — ავტომანქანის და მოტოციკეტის ნამდვილი ღირებულების 7 პროცენტი.

დ) სხვა ისეთი ხელშეკრულების დამოწმებისათვის, რომლებიც შეფასებას ექვემდებარებიან — ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 5 პროცენტი, მაგრამ არა უმცირეს 10 მანეთისა.

ე) ქონების გაყოფის ხელშეკრულების, მინდობილობის და სხვა ისეთი სახის გარიგების დამოწმებისათვის, რომელიც შეფასებას არ ექვემდებარება — 10 მანეთი.

ვ) ანდერძის დამოწმებისათვის — 10 მანეთი.

ზ) *მემკვიდრეობის უფლებებზე მოწმობის გაცემისათვის:*

100 მანეთამდე — 2 მანეთი, 100-დან 800 მანეთამდე — 5 მანეთი, 800-დან 500 მანეთამდე — 10 მანეთი, 500-დან 1000 მანეთამდე — სამემკვიდრო თანხის 3 პროცენტი.

1000 მანეთის ზევით:

პირველი რიგის მემკვიდრეებზე:

მეუღლესს, მშობლებს — სამემკვიდრო თანხის 3 პროცენტი, სრულწლოვან შვილებზე — სამემკვიდრო თანხის 5 პროცენტი, მეორე რიგის მემკვიდრეებზე — სამემკვიდრო თანხის 10 პროცენტი, დანარჩენ მემკვიდრეებზე — სამემკვიდრო თანხის 20 პროცენტი.

თ) მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემისათვის — 5 მანეთი.

ი) ქონების სარგებლობისა და განკარგვის უფლებათა საკრედიტო-ოპერაციითა ჩატარების მინდობილობათა დამოწმებისათვის:

შვილებს, მეუღლეს, მშობლებს — 5 მანეთი, სხვა მოქალაქეებს — 15 მანეთი.

კ) ავტომოტორანსპორტის საშუალებებით სარგებლობისა და განკარგვის უფლების მინდობილობათა დამოწმებისათვის:

შვილებს, მეუღლეს, მშობლებს — 15 მანეთი, სხვა მოქალაქეებს — 50 მანეთი.

ლ) სხვა სახის მინდობილობის დამოწმებისათვის — 2 მანეთი.

მ) სამემკვიდრო ქონების დაცვის მიზნით მიღებული ზომებისათვის — 25 მანეთი.

ნ) საზღვაო პროტესტის შესრულებისათვის — 50 მანეთი.

ო) სააღსრულებო წარწერების შესრულებისათვის — ამოსაღები თანხის 2 პროცენტი არა უმცირეს 50 კაპიკისა.

პ) დოკუმენტების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის დამოწმებისათვის (თითოეული გვერდისათვის) — 5 მანეთი.

ჟ) დოკუმენტების ასლებისა და ამონაწერების სისწორის (ერთ გვერდზე) დოკუმენტებზე ხელმოწერების ნამდვილობის, მათ შორის, თარგმნის ხელმოწერის დამოწმებისათვის (თითოეული დოკუმენტისათვის) — 1 მანეთი.

რ) მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლხურწარმოების, კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებების გადაცემისათვის სხვა მოქალაქეებზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე, საწარმოებზე, კოოპერატივულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, აგრეთვე სხვა სანოტარო მოქმედების ჩატარებისათვის, გარდა ამ პუნქტის ა)–პ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი შემთხვევებისა — 5 მანეთი.

ს) დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული დუბლიკატების გაცემისათვის  
8 მანეთი.

შენიშვნა: იმ სანოტარო მოქმედებისათვის, რომელიც ჩატარდება სანოტარო კანტორის  
შენობის გარეთ, ბაჟი გადახდება ორმაგი ოდენობით, ამას გარდა ანაზღაურებული უნდა  
იქნეს ამ მოქმედების ჩასატარებლად მგზავრობის ფაქტიური ხარჯები.

4. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩატარებისათვის:

ა) ქორწინების რეგისტრაციისათვის — 15 მანეთი.

ბ) განქორწინების რეგისტრაციისათვის:

იმ მეულღეთა ურთიერთთანხმობისას, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვი-  
ლები — 100 მანეთი;

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ მეულღეები პირველ ქორწინებაში  
იმყოფებიან — 100-დან 200 მანეთამდე (ორივე ან ერთ-ერთი მეულღიდან);

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ მეულღეები მეორად ქორწინებაში  
იმყოფებიან — 200-დან 300 მანეთამდე (ორივე ან ერთ-ერთი მეულღიდან);

იმ პირებთან, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან უგზოუკვლოდ დაკარგუ-  
ლებად, ან აღიარებულნი არიან არაქმედუნარიანად, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის  
გამო, ან იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე — 5 მანეთი.

გ) გვარის, სახელის ან მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის — 50 მანეთი.

დ) მოწმობათა გაცემისათვის დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალე-  
ბის აქტების აღდგენის, მასში ცვლილებათა, დამატებათა და შესწორებათა შეტანასთან და-  
კავშირებით — 8 მანეთი.

ე) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწ-  
მობების გაცემისათვის — 5 მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნ. რიშკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი — მ. შპაბბარდნი

## საქართველოს დაფუძნებელი კრება:

### გაგრძელება მსჯელობისა მოქალაქეობის კანონის შესახებ

რომ ეს ძირითადი პრინციპი არის, ამ პროექტისა ამაზე დიდი დავა არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ქადაგობენ: თქვენ ნაციონალურ პრინციპზე დგებართო, მე ვამტკიცებ, რომ ეს კანონ-პროექტი სდგას ტერიტორიალურ პრინციპზე, ე. ი. ის აღიარებს მოქალაქედ ყველას განურჩევლად, ვინც კი სცხოვრობს, და ვინც დაკავშირებულია ამ ტერიტორიასთან. მაგრამ მხოლოდ ეს, რომ გვეთქვა, მხოლოდ პრინციპი რომ გვეღიარებინა, — ე. ი. გვეთქვა: „მოქალაქეა ის, ვინც დაკავშირებული არის ამ ტერიტორიასთან“ — ვერც ერთი იური-სტი, და ვერც აღმასრულებელი ორგანო ვერ გამოარკვევდა იმას, თუ ვინ არის დაკავშირებული, ჩვენ ქვეყანასთან და ვინ არა. მაშასადამე, აქ მთავარი მოვალეობა კანონმდებლობისა იყო: — გამოენახა, გამოერკვია განსაკუთრებული ელემენტი, ნიშანი, რომლითაც ყოველ კაცს შეეძლო გავგო, — ეს ადამიანი არის მართლაც დაკავშირებული ამ ტერიტორიასთან და ეს კი არა. შეიძლება ყველა ელემენტები ვერ დავამუშავეთ, შეიძლება სხვა რომელიმე წევრმა უკეთესი ნიშანი გვაჩვენოს, — ჩვენ მას მივიღებთ. მაგრამ, ჩვენ სხვა ვერ მოვნახეთ, ჩვენ მოვნახეთ ერთი მომენტი. ეს გახლავთ ის, რომ თუ ადამიანი არის მიწერილი ამა თუ იმ ერთეულზე, უკვე წინედ გახდა მცხოვრები

ამა თუ იმ გუბერნიისა, სოფლის საზოგადოებისა, მან ამით, ცხადია გაიზიარა ერთეულების ბედი, და როცა ეს გუბერნია, მაზრა, და სოფლის საზოგადოება გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, — მისი წევრი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკის წევრად, მის მოქალაქედ. ეს უდაო დებულებაა ყველგან. აქ არის განსაზღვრული ერთგვარი ობიექტური ელემენტი, რომელშიაც სუბიექტური ნებისყოფაც გამოიხატება იმით, რომ წინათაც დაკავშირებული იყო ამ ტერიტორიასთან.

ეს არის ობიექტური ნიშანი, რომლითაც უტყუარად შეგვიძლიან გავიგოთ — ეს ადამიანი მართლაც არის დაკავშირებული ამ ტერიტორიასთან, თუ არა, დანარჩენი მუხლები წარმოადგენენ დამატებას. ზოგიერთმა შესაძლებელია, არ ასრულეს ეს ფორმა, არ მიეწერენ ტერიტორიალურ ერთეულს, მაგრამ ჩვენ სხვა ნიშნებით შეგვიძლიან გავიგოთ, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან ამ ტერიტორიასთან. მაგალითად 7-8 წელიწადი სცხოვრობენ განუწყვეტლივ აქ, არა ომიანობის დროს, იმიტომ რომ ის შეიძლება გაწვეული ყოფილიყო ფრონტზე, მაგრამ მისი ოჯახი სცხოვრობდა აქ. ასეთ პირს ჩვენ ვსთვლით ჩვენ მოქალაქედ. მას აქვს არსებითი კავშირი ჩვენ ტერიტორიასთან და თუ მას სურს, შეუძლიან დარჩეს ჩვენ მოქალაქედ.

აქაც სადაო არაფერია. ეს აშკარა ტერიტორიალური პრინციპია.

შემდეგი მუხლი ამბობს უძრავ ქონებაზე. ე. ი. თუ ვინმე წინედ ჩამოთვლილ პირობებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ ქონება შეუტენია, სახლი, კარი, მამული თუ სხვა, ის იოლად ვერ მოშორდება ამ ქონებას, ის, ასე ვსთქვათ, დაფუძნებულია აქ. და ვინც დაფუძნდა აქ, მას აქვს სრული უფლება მიქალაქეობა მიიღოს, პირდაპირ და უდაოდ მოქალაქის უფლებით აღიჭურვოს და მოვალეობაც ასრულოს. და აი ეს არის მთავარი ღერძი ამ კანონპროექტისა.

რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთ პირობებში ქალს მივცეთ ერთგვარი შეღავათი, რომ შეძლოს ჩვენი მოქალაქეობის მიღება, — აქაც იგივე ტერიტორიალური პრინციპია დაცული. გარდა ამისა ეს შეზღუდვა კი არ არის, ეს თავის მოვალეობის ასრულებაა და აქაც კანონ-პროექტი ეყრდნობა იმავე ნიშანს. მესამე ნიშნად მივიღეთ, მართალია ეროვნება, მაგრამ არსებითად იგივე ტერიტორიალური არის. ყველა ქართველი, რომელიც რუსეთში სცხოვრობს, რუსეთის რომელსამე ალაგას, წარმოშობით კი აქაურია, საქართველოდან გადასახლებულა, აქედან წასულა ან სწავლისათვის, ან სხვა რაიმე მოსაზრებით, — შეიძლება ერთი ძმა იყოს აქ, ერთი იქ, მახლობლები აქა ყვანდეს, მამა იყოს აქ და შვილი კი რუსეთში წავიდეს, შეიძლება რაიმეს შესაძენად წავიდა, — ასეთი ქართველი, რომელსაც აქვს კავშირი ჩვენს ტერიტორიასთან, საქართველოსთან. სხვა საქართველო არ ყოფილა ჯერ და აი ამ საქართველოსთან აქვს კავშირი ყველა იმ ქართველ კაცს, რომელიც წავიდა რუსეთში, — ჩვენ ვამბობთ ასეთებზე და არა ყველა სხვა ქართველზე, რომელიც სადმე სცხოვრობს, და არავითარი კავშირი საქართველოსთან აღარ აქვს; ჩვენ ვამბობთ,

სწორედ ისეთ კაცზე, რომელიც როცა დესაც ჰქონდა ვინა ბრძანდებით, გიბასუხებს, ქართველი ვარო, — სადაური ხარო, — საქართველოდან. რა გუყოთ, რომ ის როსტოვში სცხოვრობდა და აქამდის იქ სცხოვრობს. აი, სწორედ ასეთი მოქალაქე, რომელიც თავის წარმოშობით, თავის მთავარი ძარღვით იყო დაკავშირებული საქართველოსთან, რადგან აქედან არის წასული. — და მას აქვს უფლება გახდეს ჩვენი მოქალაქე. სად არის აქ ნაციონალიზმი, შოვინიზმი და სხე? მაგარ-მაგარი სიტყვები, რომელიც აქ სთქვეს, არის ამოღებული ბოლშევიკურ ლექსიკონიდან. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დამფუძნებელი კრების წევრი ლაპარაკობს იმას, რასაც უბასუხისმგებლო პირები ქუჩებში ლაპარაკობენ. ჩვენ წინააღმდეგ საბუთად მოჰყავთ ის რაც, პროექტში არ არის. ყველა ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელს შეიძლება არ გაეგებოდეს რა იწერება პროექტში, მაგრამ დამფუძნებელ კრების წევრი ვალდებულია იცოდეს იმ პროექტის აზრი, რომელსაც არჩევს, გაეგებოდეს მისი აზრი, და თავის წარმოდგენას, თავის ოცნებას არ ედავებოდეს. ეს არ არის არც რიგიანობა, არც დიდი თავის პატივისცემა, არც საქმის ცოდნა.

არის ზოგიერთი ისეთი მოსაზრება წარმოდგენილი ამ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც თხოულობენ პასუხს. ამბობენ — თქვენ უნდა გაუადვილოთ ხალხს მოქალაქეთ გახდომას, ეს მართალია, მაგრამ არის მეორე დებულებაც, რომლითაც უნდა გამოცხადდეს მოქალაქედ ყველა, ვინც კი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. თუ უარს არ განაცხადებს. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ მოსთხოვოთ ვისმეს უარი აცხადოს მოქალაქეობაზე? არც დემოკრატიული პრინციპი, არც სხვა რაიმე პრინციპი არ თხოულობს, რომ ყველას, ვინც



თბილისში ჩამოსულა, — ადერბეიჯანიდან, რუსეთიდან, ომის გამო თუ დევნის გამო, ყველა ისინი, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩამოხიზნულან აქ და დროებით აქ ცხოვრობენ, — ყველას ვუთხრათ — თქვენ ჩვენი მოქალაქენი ბრძანდებით და თუ არ გასურთ შემოიტანეთ ქალაქი. ჩვენ ვამბობთ — არავითარი, არც მორალური, არც ზნეობრივი, არც პოლიტიკური უფლება არ გვაქვს, ყველა გამვლელ-გამომვლელი უეჭველად გამოგაცხადოთ მოქალაქედ და მერე მას ქალაქის შემოტანა ვსთხოვოთ. ზოგიერთ, ვითომ დემოკრატებს ჰგონიათ, რომ ჩვენ ვიღაცებს ვაძლევათ მოქალაქეობის პრივილეგიას. მაგრამ ავიწყდებათ, რომ მოქალაქეობა არ არის მართო უფლება, არამედ არის მოვალეობაც და როცა ნარდათ მოქალაქეობის უფლებას ანიჭებ უცხოელს აქ, ამით ართმევ საშუალებას აასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა იქ, სადაც მას სურდა, სადაც ის იყო უკვე მოქალაქედ, რა უფლებით გინდათ საქართველოს მოქალაქეობა დააკისროთ ჩამოსულს რუსეთიდან სავაჭროდ, გამოქცეულს ბოლშევიკებისაგან, დენიკინისაგან, პეტლიურასაგან, ან ვინმე სხვისაგან და საერთოდ ყველა იმათ, ვინც ჩამოსულა და სცხოვრობს აქ შემთხვევით. მე გეკითხებით, რა უფლებით გინდათ ამათ საქართველოს მოქალაქეობა დააკისროთ? რომელი დემოკრატიზმი თხოულობს ამას? არავითარი დემოკრატიზმი ამას არ თხოულობს. და თუ ის ხალხი, რომელიც აქ სცხოვრობს და მართლა კავშირი აქვს ამ ქვეყანასთან — მოისურვებს, რომ მოქალაქე გახდეს, იმისთვის კი უნდა იყოს გაადვილებული ეს წესი მოქალაქეობის მიღებისა. მე მგონია, რომ ამ მუხლის წინააღმდეგი ვერც ესერები იქნებიან. აქ ძალიან

მარტივად არის ნათქვამი (კითხულობს): ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წ. ივლისის 19-დე (ძვ. სტ.) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განუწყვეტილად სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა, — მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4-ე მუხლში აღნიშნულ წესით.

აქ ისე კი არ არის ნათქვამი, — თუ მოგეწონება მიიღე, არ მოგეწონება — არ მიიღო.

ჩვენ ვამბობთ (კითხულობს): მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც, თუ მათი მოთხოვნელი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს, მისცემს მას მოქალაქეობის მოწმობას.

ე. ი. ვინც აკმაყოფილებს ყველა ამ პირობებს, მომრიგებელი მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ის, თუ კი ეს ფაქტები იქნება დამტკიცებული მომრიგებელ მოსამართლისათვის. მომრიგებელი მოსამართლე, როგორც ობიექტური პიროვნება, ამ შემთხვევაში სრულიად გარეშე მდგომი ყოველგვარ პოლიტიკურ მდღევარებისაგან ამბობს, — იმ ობიექტურ პირობებს, რომელსაც კანონი მოითხოვს, აქვს ალაგი თუ არა ცხოვრებაში, მაგ. აქვს ამ პირს ქონება, საკუთარ თავის შრომით სცხოვრობს ის თუ არა და სხვ. ერთი სიტყვით დაამოწმებს ობიექტურ ფაქტებიდან, რომ ამ ადამიანს, ამ სუბიექტს კავშირი აქვს ამ ტერიტორიასთან და ამ ტერიტორიის ყოფა-ცხოვრებაში, მის ბედში, მის აწმყო და მომავალში მონაწილეობას იღებს, და ასეთ კაცს



ედლევა მოქალაქეობრივი უფლება. ამაზე მარტივი, გაადვილებული წესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

მაშასადამე, ეს კანონ-პროექტი, მე ვიტყვი, უკიდურესი დემოკრატიულია და როგორც ასეთი, ეს უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული. ჩვენ რომ ის მარტივი მუხლები მიგველო, რომელიც აქ წაიკითხა სოცრევოლუციონერმა ორატორმა, ეს დიდ უხერხულობას შექმნიდა ჩვენ დემოკრატიისათვის. მართლაც ყველა გამვლელ, გამომვლელს რომ თხოვნები ვაწერინოთ თქვენი მოქალაქეობა არა გვსურსო, — მე მგონია, ამას არც საჭიროება თხოულობს, და არც სახელმწიფოს ინტერესი. და მე ვამბობ, როცა სახელმწიფოს, ინტერესი არ თხოულობს რომ დავსაქმოთ ყველა, ჩვენც არ უნდა ჩავიდინოთ ეს.

შემდეგ მოგვითხრობენ, რომ მეორე ნაწილი პროექტის შეიცავს არა დემოკრატიულ წესებს, განსაკუთრებით, სადაც ქალის გათხოვებაზე არის ლაპარაკი, მე ვამბობ, რომ პირდაპირ პოლიტიკურ უსუსურობათ უნდა ჩაითვალოს ისეთ აზრის გამოთქმა, რომ ქალის ინტერესი თითქოს თხოულობს პოლიტიკურ უფლებების მიცემას არა იქ, სადაც ის ცხოვრობს, არამედ იქ, სადაც ის არ სცხოვრობს. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც თხოვდება, და ჩვეულებრივად, — მიდის იქ სადაც ცხოვრობს ქმარი, ვსთქვათ მაგალითად, საფრანგეთში. ჩვენ ვამბობთ, რომ ის ქალი არ უნდა დარჩეს საქართველოს მოქალაქეთ. აბა წარმოიდგინეთ, რომ ასეთ ქალს, აქვს პოლიტიკური უფლება, არჩევნების უფლება საქართველოში, სადაც აღარ სცხოვრობს და არავითარი უფლება არ აქვს იქ, და დავაძალოთ მიიღოს ქვეშევრდომობა აქ? მე მგონია, არავითარი უფლება არ გვაქვს

ჩვენ ამის, პირიქით, არავითარი ინტერესი არ მოითხოვს იმას, რომ ამ ქალს დარჩეს მოქალაქეობა საქართველოში, და იმ დროს, როცა მისი შვილები იქ იზრდებიან, აქ საქართველოს ქვეშევრდომობით მათ რაიმე მოვალეობა, დაედლოს: ბევრს ჰგონია, მოქალაქეობა არის უფლება. მე არ ვამბობ, რომ მოქალაქეობა არ არის უფლება, მე კი ვამბობ, რომ მოქალაქეობა არის მოვალეობაც, და ეს მოვალეობაც უმთავრესად აწევს მამა კაცს. აი მაგალითად, სამხედრო ბეგარა, და სხვა რაც უმთავრესად აძევს მამა კაცს. მარა ზოგს გგონიათ, რომ ეს უფლება მისი უპირატესობა არის. ეს არ არის უპირატესობა, პირიქით ეს არის უფლება ოდიოზური, ესე იგი ეს არის უპირატესობა მოვალეობის, აი მაგალითად, თუ სამხედრო ბეგარას არ გადიხდის კაცი, იმას არ შეუძლიან მიატოვოს სახელმწიფო და სხვის მოქალაქეთ გახდეს. ის არის მოვალე სახელმწიფოს წინაშე და თუ ბეგარას არ გადიხდის არ შეუძლიან სახელმწიფოდან წავიდეს. ქალს ასეთი მოვალეობა არ აწევს. ცხადია მას წასვლა შეუძლიან. ცხადია, როცა ქალი გათხოვდება ის ხდება იქაურ მოქალაქეთ, სადაურაც ქმარი ყავს, ვინაიდან ეს მასაც ესაჭიროება. მას ექნება იქ პოლიტიკური უფლებები და აგრეთვე მოვალეობაც, ვინაიდან სახელმწიფო არ დასტოვებს ისე, რომ მოვალეობა არ დააკისროს. ამიტომ მე ვამბობ, რომ აქ არის კითხვა არა ქალის ან კაცის, არამედ სახელმწიფოს ინტერესების, ამიტომ ყველა ადამიანს აქვს მოვალეობა და პოლიტიკური უფლებები იქ, სადაც ის ცხოვრობს, სადაც შრომობს, მოღვაწეობს, და არსებითი ინტერესი აქვს. ამიტომ თვით ეს კანონ-პროექტი თავის პრინციპიალურ შინაარსით სავსებით მისაღებია დამფუძნებელ კრებისათვის.



1919 წ. მაისის 18. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ალექსანდრე ლომთათიძე. მდივნობს დამფუძნებელ კრების მდივნის ამხანაგი  
ბრ. წაბაძე.

პრეზიდიუმში არიან: ეპქოთიშვი თაბაიშვილი, სიმონ მდივანი, კონს-  
ტანტინე ჯაფარიძე, კრისტინე შარაშიძის ასული.

ბაზრკილება მსჯელობისა მოქალაქეობის კანონის შესახებ

შალვა მესხიშვილი (ს.-ფ). მოქალა-  
ქენო, დამფუძნებელ კრების წევრონ!  
ამ კანონზე მე პირადად ლაპარაკს არ  
ვაპირებდი, რადგანაც ჩვენი ფრაქ-  
ცია საესეებით ეთანხმება იმ საფუძ-  
ველს, რომელზედაც აშენებულია ეს  
კანონპროექტი, მაგრამ დამფუძნებელ  
კრების წევრის ი. გობეჩიას სიტყვამ  
მაიძულა რამდენიმე მოსაზრება გა-  
მოვსთქვა.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ  
არც ერთ კანონს, მიღებულს საქარ-  
თველოს პარლამენტის მიერ, არ გამო-  
უწვევია ისეთი აურ-ზაურები იმ საზო-  
გადოებრივ წრეებში, რომელნიც არსე-  
ბითად ჩვენი დამოუკიდებლობის წი-  
ნააღმდეგი იყვნენ, როგორც კანონ-  
პროექტს ქვეშევრდომობის შესახებ.  
ეს ძალიან ადვილად ასახსნელია, რად-  
განაც სწორედ კანონ-პროექტი ქვე-  
შევრდომობისა, რომელიც საზღვრავ-  
და იმას ვინ არის ჩვენი ქვეშევრდომი,  
ვისა აქვს უფლება მიიღოს მონაწი-  
ლეობა ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში,  
განზე სტოვებდა იმ პირთ, რომელნიც  
სცხოვრობდნენ ჩვენში, ჩვენ ხალხთან  
დაკავშირებულნი არ არიან და სრუ-  
ლიად უტაბედად მოხვდნენ ჩვენს ტე-  
რიტორიაზე. სწორედ ეს საზოგადო  
წრეები ძალიან აღელდნენ და თქვენ  
კარგად გახსოვთ პრესაში, იმათ პრე-  
საში — მე ამას ხაზს ვუსვამ — ერთი  
განგაში იყო ატეხილი, რომ საქარ-  
თველოს პარლამენტმა მიიღო კანონი,

რომელიც სამართლიანობას მოკლე-  
ბული არის, და რომელიც ძალიან ალა-  
შფოთებს ზოგიერთ პოლიტიკურ წრე-  
ებს, ართმევს მათ პოლიტიკურ უფ-  
ლებათ. და ამგვარად საქართველოს  
სურს თავისი დამოუკიდებლობის საქ-  
მე მოაწყოსო. ასეთი არგუმენტი, რო-  
მელიც მესმოდა ამ მხრიდან ჩემთვის  
გასაგები იყო, იმიტომ რომ ის პირნი  
არსებითად ვერ შეეგუებიან ჩვენს  
ორიენტაციას, იმათ თავიანთი ორიენ-  
ტაცია აქვთ, ზოგს ჩრდილოეთისკენ,  
ზოგს სხვაგან. იმათ არ სურდათ, რომ  
საქართველოს პოლიტიკური ორგა-  
ნიზმი დამოუკიდებლობათ ჩამოყალი-  
ბებულებოდა. სწორედ ისინი აწარმოებ-  
დნენ ბრძოლას, როგორც ჩვენს და  
უცხოელ პრესაში, აგრეთვე ქალაქის  
თვითმმართველობაში და ყოველგან,  
სადაც კი შეეძლოთ. მაგრამ მე საშინ-  
ლად გამაოცა, როდესაც თითქმის ამა-  
თთანავე აზრს შევხვდი დამფუძნებელ  
კრებაში.

რას უკითხინებენ ამ კანონ-პროექტს?  
მხოლოდ იმას, რომ ეს კანონ-პროექტი  
ნებას არ აძლევს ყველას, ვინც ამ კა-  
ნონ-პროექტის მიღებამდე სცხოვ-  
რობდა საქართველოში, რომ იმათ  
ისარგებლონ ყოველივე პოლიტიკურ  
უფლებებით. ამაზე უნდა მოგახსენოთ,  
რომ ის ადამიანი, რომელსაც სურს  
სახელმწიფოს აშენება, ვინც სერიო-  
ზულად ფიქრობს ამაზედ, საკითხს  
ასე ვერასოდეს ვერ დააყენებს. აქ



უკვე იყო ნათქვამი და კიდევ უნდა გავიმეორო, რომ სახელმწიფოებრივ აღშენებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმას, ვისაც არსებითი კავშირი აქვს იმ ტერიტორიასთან, სახელმწიფოსთან, რომელიც უნდა იყოს აშენებული, და არა იმ პირთ, ვინც სრულიად უცაბედად, სრულიად შემთხვევით არიან გადმოვარდნილი, ან შემოკედლილი ჩვენს ტერიტორიაზე, არაფრით არ არიან ჩვენთან დაკავშირებულნი და ვისაც არსებითად არ სურთ ჩვენი დამოუკიდებლობა. სად არის ლოლიკური საფუძველი, რომ ამისთანა პირებს მიეცეს ჩვენი ქვეშევრდომობა?

ბ. გობეჩიას უკვირს, რათ არის აღებული 19 ივნისი 1914 წ. დატაო? სწორედ იმიტომ, რომ ამ დღიდან საერთაშორისო ომის გამო აუარებელი ხალხი მოაწყდა ჩვენს ტერიტორიას. ყველა ეს შემოხიზნული ხალხი დარჩა აქ, ჩვენ ტერიტორიაზე და ყველა ეს არსებითი ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არიან, და ყველა ვისაც სურს ამ ხალხს ჩვენი მოქალაქეობის უფლება მიეცეს, ჩვენს დამოუკიდებლობას ძირს უთხრის. ეს ისეთი ნათელი და ჭეშმარიტი აზრი არის, რომ ამასთან ბრძოლა მე ვერ წარმომიდგენია. ამიტომ ყოველივე სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც სურს მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს საქართველოს აღშენების საქმე, ძალიან დიდ სიფრთხილით მოეკიდება ქვეშევრდომობის კანონს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ლაპარაკი იმაზე, რომ ეს კანონი არ არის დემოკრატიული, სამართლიანი არ არის. ეს კანონ-პროექტი ძალიან ფართოდ აძლევს შეძლებას, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ჩვენს ტერიტორიასთან, რომ ის გამოცხადებული იყოს ჩვენ ქვეშევრდომათ. თუ თქვენ დააკვირდებით დიდ სახელმწიფოების პრაქტიკას და პატარა ერების კანონებს

უნდა ქვეშევრდომობის შესახებ, ნათლად დაინახათ, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებ ეშინია ქვეშევრდომობის კანონის გაფართოებისა, იმიტომ, რომ დიდი სახელმწიფო ადვილად მოინელებს შემოსულ ელემენტებს. რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, უფრო მეტი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს ამ ქვეშევრდომობის კანონს, იმიტომ; რომ ქვეშევრდომობის კანონის მოვალეობასთან ერთად, იმ უცხოელებისთვის, რომელნიც ქვეშევრდომობაში შემოდიან, — ძალიან ბევრი უფლება აქვს.

მაგალითად თუგინდ აგრარული საკითხი აიღეთ. მე ვეკითხები ბ. გობეჩიას, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ კანონით, რომელიც სოც.-რევ. შემოიტანეს, ესე იგი კანონის გამოცემამდე, ვინც კი სცხოვრობენ საქართველოში, და მოინდომებს საქართველოს ქვეშევრდომობას, ყველა იმას რომ მიეცეს ეს უფლება, მე გეკითხებით თქვენ, რა მდგომარეობაში იქნება, თუგინდ აგრარულ საკითხში, როდესაც მიწა იმდენად მცირე არის, რომ არ ყოფნის თვით მკვიდრ ქვეშევრდომებს, რომელნიც აქ სცხოვრობენ. არ ვიცი ბ. გობეჩია რა აზრისა არის, მე კი მწამს, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეშევრდომობის კანონი, ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა ქვეშევრდომი თანასწორი უნდა იყოს და უნდა სარგებლობდეს ყველა უფლებით თანაბრად.

ამიტომ მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს კანონ-პროექტი შედგენილი არის მართლაც დემოკრატიულად, მართლაც სოციალისტურად თუკი შეიძლება ქვეშევრდომობის კანონი გობეჩიას ტერმინოლოგიით სოციალისტურად იყოს შედგენილი. ამით ვათავებ ჩემს მოკლე შენიშვნებს და ვიმეორებ, რომ რომელიც, ბ. გობეჩიამ სთქვა — არ უნდა თქმულიყო, ვინაიდან იგი მოკ-

ლებული არის პრინციპიალურ საფუძველს და მხოლოდ გამოიწვევს განგაშს ჩვენ მტრის ბანაკში, იმ წრეებში, რომელსაც რასაკვირველია ჩვენი აღმაშენებლობა კი არ უნდათ, არამედ ჩვენი დანგრევა და დაქცევა.

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა საერთო მსჯელობისათვის? სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს გობეჩიას.

**ივანე გობეჩია.** მოქალაქენო! ბნ მესხიშვილის სიტყვამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მან სრულიათ უსაფუძვლოთ, საშინელი ბრალდება წამოაყენა ჩემს წინააღმდეგ. მათი სიტყვით თურმე მე საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს ვუთხრი, რადგანაც მოვითხოვ მოქალაქეობის კანონის გაფართოვებას. ჩემის აზრით — კი საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას ძირს უთხრიან ისინი, ვინც სრულიად მოუფიქრებლად და უსაბუთოდ, როგორც ამას სჩადის ბ-ნი მესხიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებათ აცხადებს ყველა იმათ, ვინც საქართველოში სცხოვრობს 1914 წლიდან. მე წინეთ ვამბობდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც გაბატონებული არიან სოციალისტები, არ უნდა არსებობდეს პრივილეგიები რომელიმე ერთი ერისათვის. წარმოდგენილი კანონ-პროექტის მეხუთე მუხლი — კი აწესებს ასეთ პრივილეგიებს. აი სწორედ ამიტომ, მე მოვითხოვე, რომ ის უფლება, რომლითაც მეხუთე მუხლის ძალით, სარგებლობს ყოველი ქართველი, გავრცელებულიყო საქართველოში მოსახლე სხვა ერთა შვილებზეც.

სოც-რევოლუციონერთა ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შესწორება გულისხმობს სწორედ იმ სამართლიანობას, რომლისათვის მუდამ იბრძოდნენ და იბრძვიან ინტერნაციონალურ სოციალიზმის მიმდევრები ყველა ქვეყნებში. მოქალაქეობის საკით-


ხში ჩვენი ფრაქციის პოზიცია არის ინტერნაციონალური, სოციალისტური და, რასაკვირველია, ის სრულიათ გაუგებარია ისეთ ნაციონალისტებისათვის, როგორც იყვნენ და არიან ჩვენი ფედერალისტები. ისინი საქართველოდან მუდამ ერეკებოდნენ სხვა ერის შვილებს და ამ საკითხშიც იმათ არ უღალატნიათ თავიანთი ნაციონალისტურ ბუნებისათვის. ფედერალისტებს ეცოდინებათ, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებულ იქნა მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს. მანამდე — კი საქართველოს მცხოვრებლები, განუზრგვლად ეროვნების, ითვლებოდნენ ჯერ რუსეთის, შემდეგ კი — ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მოქალაქეებათ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველ ქვეშევრდომს, რომელიც იმჟამად სცხოვრობდა საქართველოში, სრული უფლება ჰქონდა თავის თავი ჩაეთვალა მოქალაქეთ ახლად დაარსებულ საქართველოს რესპუბლიკისა (ხმა: მაშ ყველა ლტოლვილებსაც?).

თუ გნებავთ ლტოლვილებსაც. მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენი შიში უსაფუძვლო, გადაჭარბებულია, რადგანაც ლტოლვილებს თავის სამშობლო აქვთ, ბევრი იმათგანი უკვე შინ დაბრუნდა და დანარჩენიც პირველ შეძლებისთანავე საქართველოდან გავა. მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, შეუძლია თუ არა დამფუძნებელ კრების სოციალისტურ უმრავლესობას უარი უთხრას საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე ლტოლვილთა იმ ნაწილს, რომელსაც ჰსურს საქართველოში დარჩეს და რომელიც სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩემის აზრით, სოციალისტებს და რევოლუციონერებს ამის უფლება არა აქვთ, თუ ისინი თავიანთ პრინციპებს და ტრადიციებს არ უღალატებენ. ჩვენ წინეთ მოგახსენეთ და ეხლაც გავიმეორებ, რომ ისტორიას

ახსოვს მაგალითები, როდესაც უცხო-  
ელებს რევოლუციის დროს ანიჭებდენ  
მოქალაქეობას და სრულ პოლიტიკურ  
უფლებებს. საფრანგეთის რევოლუცი-  
ის დროს უცხოელები საფრანგეთის  
დამფუძნებელ კრებაშიც კი — გავი-  
დენ და ჩვენი სოციალისტები მოქა-  
ლაქეობის საკითხში უნდა ბაძავდენ  
საფრანგეთის რევოლუციონერებს მა-  
ინც.

ჩვენი ფრაქცია ყოველ შემთხვევა-  
ში ვერ გაიზიარებს ვერც ფედერალის-  
ტების და ვერც სხვა პარტიების ნა-  
ციონალისტურ თვალსაზრისს მოქა-  
ლაქეობის საკითხში. 1918 წლის 26  
მაისის აქტის გამოცხადებისთანავე  
ეროვნულ საბჭოს უნდა მიეღო მოქა-  
ლაქეობის ისეთი კანონი, რომლითაც  
საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭე-  
ბოდა ყველა იმ პირს, ვინც სცხოვ-  
რობდა საქართველოს ტერიტორიაზე  
დამოუკიდებლობის გამოცხადების  
დღეს და ვინც მოქალაქეობაზე უარს  
არ განაცხადებდა. ეს რომ ასე მომხდა-  
რიყო, ეროვნული საბჭო დიდ სამსა-  
ხურს გაუწევდა საქართველოს დამო-  
უკიდებლობის განმტკიცების საქმეს  
და თავიდან აიცილენდა იმ უპეყოფილე-  
ბას, რომელიც გამოიწვია მის მიერ  
მიღებულ მოქალაქეობის კანონმა სა-  
ქართველოს სხვა და სხვა საზოგადო-  
ებრივ წრეებში. ეროვნულ საბჭოს  
მოქალაქეობის კანონი იმდენად უვარ-  
გისი გამოდგა, რომ მისი გაუქმება და  
ახალის გამოცემა აუცილებელი გახ-  
და. წარმოდგენილ კანონპროექტში ეს  
ნათლად არის გამოხატული. მართა-  
ლია, დამფუძნებელი კრების არჩევ-  
ნები მოხდა ძველი მოქალაქეობის  
კანონის მიხედვით, მაგრამ დამფუძნე-  
ბელ კრებაში დიდ უმრავლესობას მა-  
ინც სოციალისტები შეადგენენ და ამი-  
ტომ ეხლა დრო არის დამფუძნებელ-  
მა კრებამ სავესებით გაასწოროს ის  
შეცდომები, რომლებიც მოქალაქეო-  
ბის კანონში ეროვნულმა საბჭომ და-

უშვა. დამფუძნებელმა კრებამ ამ შემ-  
თხვევაში არ უნდა გაიზიაროს ის  
შემცდარი მოსაზრება, რომელიც ბ.  
მესხიშვილმა წამოაყენა კანონ-პროექ-  
ტის უცვლელად მიღების სასარგებ-  
ლოდ და ჩვენი ფრაქციის შესწორების  
საწინააღმდეგოდ. უნდა მოგახსენოთ,  
რომ ბ. მესხიშვილმა ჩვენი შესწორე-  
ბის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ვი-  
თომდა სერიოზული მოსაზრება მოიყ-  
ვანა, დანარჩენი მისი მოსაზრება იყო  
ცარიელ სიტყვათა ბრაზა-ბრუნი.  
ბ. მესხიშვილმა განაცხადა, მოქალა-  
ქეობის უფლება, რომ მიეცეს ყველა  
იმას, ვინც სცხოვრობს საქართველო-  
ში, რა მდგომარეობაში იქნება აგრ-  
არული საკითხი, როდესაც მიწა არ  
ყოფნის მკვიდრ ქვეშევრდომებსო. ასე-  
თი მოსაზრების მოყვანა შეუძლია  
მხოლოდ უკიდურეს ნაციონალისტს  
და ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყნის  
ნაციონალისტები და იმპერიალისტები  
ხშირად ასეთი მოსაზრებებითაც ასა-  
ბუთებენ თავიანთ ნაციონალისტურ-  
შოვინისტურ პოლიტიკას. მაგრამ ყოვე-  
ლად შეუწყნარებელია, რომ ასეთი  
მოსაზრებებით ასაბუთებდეს სოცია-  
ლისტი მოქალაქეობის კანონის გა-  
ფართოების შეუძლებლობას. ყველა  
ამას, რომ თავი დავანებოთ, თვით მი-  
წის სოციალიზაციაზეც ვერ ჰქონია  
ბ. მესხიშვილს სწორი წარმოდგენა.  
საქართველოს მიწა-წყლის სოციალი-  
ზაციის განხორციელების შესახებ  
ბ. მესხიშვილს შეეძლო ბევრი რამ სა-  
სარგებლო ამოეკითხა მიწის ჩვენს კა-  
ნონ-პროექტში (მესხიშვილი ადგილი-  
დან: თქვენი არ გახლავთ). დიახ, სა-  
კუთარი ჩვენი სოციალისტ-რევოლუ-  
ციონერების კანონ-პროექტში, რომე-  
ლიც ჩვენ შევიტანეთ საქართველოს  
პარლამენტში, ბევრს ისეთს ცნობებს  
ამოკრფავდით, რომ თქვენთვისაც  
აშკარა გახდებოდა ის, რომ საქართვე-  
ლოში მიწის სოციალიზაციის გატარე-  
ბას სრულიად არ შეუშლიდა ხელს



დამფუძნებელ კრების მიერ მოქალაქეობის კანონში ესერების ფრაქციის შესწორებების მიღება. ჩვენს მიწის კანონ-პროექტში ნათქვამია, რომ მიწით ისარგებლებს ის, ვინც თვით მას დაამუშავებს და ამ პრინციპის მიხედვით საქართველოში შემოიხიზნულ პირთა რიცხვი, რომლებსაც ბ. მესხიშვილი არ სწყალობს, კიდევაც რომ ასჯერ იმაზე მეტი იყვეს, რაც ეხლას, საქართველოს მიწა-წყალი მაინც მშრომელთათვის საყოფნი იქნებოდა. მიწის სოციალიზაციის დროს მიწას ყველას კი არ დაურიგებენ, არამედ იმათ, ვინც თვითონ მიწის დამუშავებას შესძლებს და მოისურვებს. ამის გარდა სხვა გზებიც არის იმისათვის, რომ მიწა ყველას ეყოს: ცარიელ ადგილებზე უმიწაწყლოთა გადასახლება და მოწყობა, მიწის განაყოფიერება და ბევრი სხვა. ასე, რომ მიწის სოციალიზაცია აქ არაფერი მოსატანი იყო, ბ. მესხიშვილო!

დასასრულ უნდა განვაცხადო ერთი რამ. ჩვენ სოციალისტ-რევოლუციონერებს, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმე გვესმის, სხვა თა შორის, როგორც საქართველოში მოსახლე ერთა შორის სოლიდარობის დამყარება. ჩვენ მიერ შემოტანილი შესწორებები, თუ ისინი მიღებული იქნენ, სწორედ მტკიცე ნიადაგს მოუმზადებენ ჩვენში მოსახლე ერთა სოლიდარობას და ამისათვის იყო, რომ მე დამავალა სოც-რევოლუციონერთა ფრაქციამ შემეტანა წარმოდგენილ კანონ-პროექტში ის შესწორებები, რომლებიც თქვენ უკვე მოგხსენდათ.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს ბ. არსენიძეს.

**რაუდენ არსენიძე.** (ს.-დ.) აქ მოქალაქეობის გამო დავა შეიქმნა სულ სხვა პრინციპზე: თუ როგორი უნდა იყოს რევოლუციონური კანონი, როგორი კანონი დააკმაყოფილებს რევოლუციონურ ხალხის არსებით ინტერესებს და რევოლუციონურ შეგნებას.

სებს და რევოლუციონურ შეგნებას.

მე მგონია ბ. გობეჩია აქ სასტიკად სცდება. ჯერ ერთი, ვინ იტყვის, რომ ყველა ერისაგან შემდგარი სახელმწიფო არის დემოკრატიული, ხოლო ერთი ერისაგან შემდგარი სახელმწიფო არის ანტიდემოკრატიული? პირიქით, ინტერნაციონალისაგან მხოლოდ ერთი რამ გაგვიგონია: — ერთი ერი — ერთი სახელმწიფო. და როცა სახელმწიფოს და ერის ფარგლები ერთი და იგივეა, ამით ნაციონალურ შეზღუდვასაც რამოდენიმეთ მაინც ბოლო ედება. აი ეს არის ერთი მთავარი ღირსება დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს დაარსებისა. მაგრამ, თუ ეროვნული სახელმწიფო დაარსდება, რასაკვირველია, იქ ერთი ერი იქნება უმთავრესად გაბატონებულიც და გობეჩიას მიერ „ნაციონალისტობა“ და ყველა ის საშინელება, რომელიც თურმე შებღალავენ სოციალიზმის სახელს, — მე მგონია ყურით არის მოთრეული. ამ საკითხთან ნაციონალისტობას, არავითარი კავშირი არა აქვს, ვინაიდან, სოციალისტები არ დაუქვრდნენ მხარს ნაციონალისტურ სახელმწიფოს არსებობას, თუ ეს არ შედიოდეს მათ პროგრამაში, თუ ასეთი სახელმწიფოს არსებობა ეწინააღმდეგებოდეს დემოკრატიის ინტერესებსა და სოციალიზმის არსებით ინტერესებს. აქ ამბობენ, რომ როდესაც 71 წელს კომუნისტები და სხვა რევოლუციონერები იღებდნენ თავიანთ წრეში უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, და თავის მოქალაქეთ აცხადებდნენ, ამით თითქოს აღიარებდნენ ზოგად პრინციპს, რომ ყველა კაცს, რომელიც კი შემოვა სახელმწიფოში — აქვს უფლება ამ სახელმწიფოს მოქალაქეობისა. უნდა მოგახსენოთ, რომ არცერთ რევოლუციონურ წრეში არ იღებდნენ სხვა ქვეყნების რეაქციონერებს, თუნდაც იმ ქვეყნიდან, საიდანაც მოსული იყო რევოლუცია. მაგრამ, თუ თქვენ

გინდათ სპეციალური განსაკუთრებული სახელმწიფო დააარსოთ, მხოლოდ რევოლუციონერებისაგან, მაშინ უნდა დააარსოთ სპეციალური სახელმწიფო მართო ესერებისთვისაც. ხოლო თუ კი გსურდათ წმინდა, მართო ესერების სახელმწიფოს დაარსება, მე მაკვირვებს, რატომ გამოეყავით რუსეთის ესერებს, და ჩადექით სხვა ფარგლებში?

პრინციპი მოქალაქეობის ის კი არ არის, რომ ყველა, ვინც კი შემოვა ჩვენ სახელმწიფოში გახდეს ჩვენ მოქალაქეთ, არა. აქ არის ერთი პრინციპი მიზანშეწონილობისა. რევოლუციონერ ხანაში, რევოლუციონერ ბრძოლაში ვინც კი გაგვიწევს არსებით დახმარებას, შეგვიძლიან დაუყოვნებლივ მივიღოთ მოქალაქეთ და დიდის პატივისცემით აღვკუთრავთ. ამის მუხლი ამ კანონ-პროექტშიაც არის. იქ სწერია: „ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელად იქმნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ“. (გობეჩია: ეს მომავალში) გუშინ, ხვალ, მომავალში სულ ერთია ვინიდან, სამსახური ფასდება არა იმით, რომ ის მოხდა დღეს, ან მოხდება ხვალ, არამედ იმით, თუ რა სარგებლობა მოუტანა სახელმწიფოს, და ჩვენ გვგონია, რომ არ გამოჩნდება არც ერთი წევრი დამფუძნებელ კრებისა, რომელიც იტყვის, რომ — თუ ვინმემ გაუწია საქართველოს ნამდვილი, რეალური დახმარება 1911 წელს, გინდ 1915 წელს, ის არ შეიძლება გამოცხადდეს მოქალაქეთ, თუნდაც დიდ სარგებლობის მომტანი იყოს საქართველოსთვის, იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც ჩვენ ვაარსებთ. მაგრამ ეს გობეჩიას ვერ გაუგია. აქ მან შემოიტანა

მუხლი, რომელშიაც სწერია, რომ უნდა მივიღოთ მოქალაქეთ ყველა თუ კი ის მოისურვებს ჩვენ მოქალაქეობას. ჩვენი კი პირიქით, გვინდა მივცეთ ასეთი უფლება იმას, ვინც რაიმე დახმარებას აღმოუჩენს ჩვენ სახელმწიფოს. ყველა ასეთი პირები საესებით დაშვებული და მიღებული უნდა იყვნენ.

ამგვარად, კრების წევრმა გობეჩიამ უნდა იცოდეს, რომ როდესაც რევოლუციის სახელს მოიტანს აქ ამ ტრიბუნაზე, ცოტაოდენი ცოდნაც უნდა გამოიჩინოს რევოლუციონერ პრაქტიკისა, ასე ზერელე ლაპარაკი კი ამ ტრიბუნას არ ეკადრება.

საჭიროა არსებითი, მართლა არსებითი განხილვა ყოველ მოვლენისა, და გათვალისწინება იმის, მართლა რევოლუციონერია ეს მოვლენა თუ არა.

მე ვამბობ, რომ ამ კანონით ეძლევათ ჩვენი მოქალაქეობის უფლება ყველა იმას, ვინც კი ხალხს მუშათა კლასს, დემოკრატიას მოუტანს გამარჯვებას, განთავისუფლებას, თუნდაც უცხო ერის რევოლუციონერი იყოს ის, მაგრამ იგი თავიდან იშორებს ჩვენი რესპუბლიკის მოწინააღმდეგე რეაქციონერებს. ვაცხადებ აშკარად, რომ ეს კანონი იყო მიმართული სწორედ იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ დამხობა ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკისა.

ვერც ერთი მოქალაქე ვერ იტყვის, რომ ამ კანონ-პროექტს შეუძლიან გამოიწვიოს შეტაკება ჩვენი და უცხო დემოკრატიისა, მაგრამ კი სდევნის ყველა იმ ელემენტებს, რომელთაც ეხარბებათ დემოკრატიის გაბატონება ჩვენში და დამოუკიდებლობის გამოტაცვა უნდათ ჩვენი ხელიდან აი ამიტომ არის ეს კანონი დამხმარე და სასარგებლო რევოლუციური დემოკრატიისათვის.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს შალვა მესხიშვილს.

ბაგრაქილება მსჯელობისა მოქალაქეობის კანონის შესახებ.

**შალვა შესხიშვილი** (ს.-ფ.) მე მგონია მოქალაქენო, რომ ისტორიის მაგალითებით სარგებლობა უნდა იცოდეს კაცმა და შემდეგ უნდა წამოაყენოს თქვენ წინაშე.

დიდ რევოლუციონერს ბატონ გობეჩიას წაუკითხავს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში, რომ იქ მოქალაქეობა და საკანონმდებლო კრებულის წევრობა მინიჭებული ჰქონდათ ზოგიერთ უცხოელს, დიან, მეც ვიცი ეს მაგალითი.

თქვენ ბ-ნო გობეჩია, როგორც რევოლუციონერმა, უნდა იცოდეთ, რომ ყველა რევოლუციისთვის არსებობს ერთი საზომი, ყველა რევოლუციონერი ისე უნდა ფიქრობდეს, რომ ხელსაყრელია ის, რაც რევოლუციას სარგებლობას მოუტანს და მიუღებელია ის, რაც რევოლუციას დაამხობს. ასევე მსჯელობდნენ ისინი, ვინც საფრანგეთის რევოლუციას სათავეში ედგენ. იმათ მისცეს მოქალაქეობრივი უფლება იმ უცხოელებს, რომელნიც ამოუდგენ გვერდში საფრანგეთის, მებრძოლ ხალხს და იცავდნენ საფრანგეთის თავისუფლებას ყველა მტრებისაგან. და თქვენ კი დიდო რევოლუციონერო ბატონო გობეჩია, თქვენის პროექტით გასურთ მისცეთ მოქალაქეობის უფლება ყველა იმათ, ვინც გვერდში კი არ ამოგვიდგება, არამედ დასცემს ზურგში ლახვარს რევოლუციას... იმიტომ, რომ აძლევს საშუალებას ჩვენ ქვეშევრდომობისას ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ჩვენ ტერიტორიასთან. ეხლა თქვენ თითონ განსაჯეთ, ვინ არის რევოლუციონერი და ვინ არის რეაქციონერი.

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**პავლე საყვარელიძე** (მომხსენებელი).

ბატონებო, ამ მოხსენების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ფრაქცია გამოვიდა, ფრაქცია ს.-რე-ებისა.

ქართული ანდაზა არის: ჩიტი ბდღენად არა ღირდა, დევნა მეტი იყო. ზედმეტი და ნამეტანი მჭლე იყო სწორედ ბ-ნ გობეჩიას გამოსვლა. მაგრამ, რადგანაც ფრაქციის სახელით იყო მისი გამოსვლა, ჩვენ ვალდებულნი ვართ ამას ანგარიში გაუწიოთ.

ბევრს არ ვილაპარაკებ, აქ სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ეს ოპოზიცია, მაგრამ მე მაინც რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია აქ ის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ვითომც ყველას უნდა შეეძლოს მოქალაქეობა, ვისაც სურს. ვისაც ვთქვათ, მოეწონება ჩვენი ქვეყანა. კარგია თქვენმა მზემ, მაგალითად მოვიდნენ ლტოლვილები, ომმა გადმორეკა უცხო ტომის ხალხი, უცხო ელემენტები, აი წარმოიდგინეთ, რომ მათ მოეწონათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი რესპუბლიკა.

ბ-ნი გობეჩია იმდენად გულკეთილია, რომ ყველას ანიჭებს ამ ქვეყნის მოქალაქეობას, რადგანაც ჩვენი საქართველო მოეწონათ. ეს არც იურიდიულია, არც სოციალისტურია. მე მიკვირს, რატომ ასე ზშირად ხმარობს ამ სიტყვას ბ. გობეჩია, თითქოს ეჭვი ეპარება, რომ სოციალისტი არის, მუდამ იმეორებს სოციალისტი ვარ, სოციალისტი ვარო. ჩვენ არ ვყვიროთ, არ ვლაპარაკობთ, ჩვენ საქმით დავამტკიცებთ, თუ რანი ვართ, ვინც უნდა მოვიდეს აქ, სოციალისტები რომ მოვიდნენ, ლტოლვილები უცხო ქვეყნიდან, ამერიკისა და სხვ. მოხდა, რომ მოსურვეს მათ აქ დარჩენა. ჩვენ მათ, თქვენი შეხედულებით და თქვენ

კანონით, ვერ გამოუცხადებთ, რომ არ არიან ჩვენი ქვეშევრდომნი. ვფიქრობთ ისინი არც მოინდომებენ ამას იმიტომ, რომ მათ კარგად იციან რა არის ერი, რა არის რესპუბლიკა და საელმწიფო და რა არის მოქალაქეობის უფლება. ამიტომ ჩვენ მაგ კანონპროექტს, წამოყენებულს ბ. გობეჩიას მიერ, არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

ის აცხადებს: კანონის გამოცხადების დროს ვინც იქნება, ის ჩათვლილი უნდა იყოს მოქალაქეთო. ის შეიძლება იყოს მოქალაქე ინგლისისა, შეიძლება იტალიელები გადიქცენ ჩვენ მოქალაქეთ — შეიძლება ყველანი, ერთი სიტყვით ყველა ჯურის, ყველა პარტიის და სახელმწიფოს კაცი მოხვდება ჩვენ მოქალაქეთ. ეს შეუძლებელია, ეს ანტი-სახელმწიფოებრივი მოვლენა იქნება. კიდევ ერთი კრიტიკა წამოაყენა ბ. გობეჩიამ: თითქოს ჩვენ აქ უპირატესობას ვაძლევთ ვილაცას ამ კანონ-პროექტით.

მე მგონია, არსებითად აქ არ არის უპირატესობა. აქ არის ერთი უპირატესობა ქართველების შესახებ. ის ამბობს: ჩვენი სახელმწიფო ტერიტორიალურია და მართლაც მეცნიერული შეხედულებით სახელმწიფო დღეს მხოლოდ ტერიტორიალურია. ამნაირად ტერიტორიალურია ჩვენი რესპუბლიკაც. ცხადია, ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად გვარტომობისა, აქვს უფლება ჩვენი მოქალაქეობისა და ეს ასეც არის, ამას ამტკიცებს ჩვენი დამფუძნებელი კრება. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას აშკარად, რაც ჩვენთვის აუცილებელია. ჩვენი რესპუბლიკა უმოავრესად ქართველებზე ემყარება, ეს დასამალავი არ არის. (ხმა: ეს ზომ ფაქტია!). ეს ფაქტია და აშკარაა ისიც, რომ ჩვენ ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ, ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივი ენა. ცხადია, ჩვენ ამით ვამტკიცებთ, რომ მართლაც:

ჩვენ ყველა ერებს პატივსაც ვცემთ, თანასწორობაა ყველა ამ მცხოვრებლებში განურჩევლად გვარტომობისა; მათ ერთნაირად ვეპყრობით. მაგრამ დიდი უმრავლესობა ქართველიც არის და ჩვენი რესპუბლიკაც ქართველებს ემყარება. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ქართველებში შეიძლება 1% არ აღმოჩნდეს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, უცხოელებში კი შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს. ამიტომ არის ყველა ქართველი ნაგულისხმევი ჩვენ მიერ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქედ, თუ ის მოისურვებს თავის სამშობლოს მოქალაქეობას. ეს უბრალო ამბავია და რატომ არ გაიგო ეს ამდენხანს ბ. გობეჩიამ. იმას არ მოსწონს თქმა ყოფილი რუსეთის, რატომ მართო ყოფილი რუსეთით. ბატონებო, საფრანგეთში ჩვენ არ ვცხოვრობდით, არც ინგლისში, არც ოსმალეთში. ჩვენ დავკარგეთ ერთი საუკუნის წინ ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენ ვიყავით ამ ხნის განმავლობაში მიკრული დიდ რუსეთთან, რომელიც ამ რევოლუციის დროს დაიშალა. ჩვენ მას გამოვეყავით, ამიტომ ჩვენ ვგულისხმობთ და ვლაპარაკობთ ყოფილ რუსეთის ქვეშევრდომებზე.

არის სახელმწიფოები — ოსმალეთი, სპარსეთი, სადაც არიან ქართველები, ამ ქართველებს ჩვენ არ ვეხებით. ეს ამ სახელმწიფოს მიმართ არა ეთიური მოპყრობა იქნებოდა. არსებითად, რომ იგივე გვეთქვა, რაც ყოფილ რუსეთზე. ისინი არ დარღვეულან ისე, როგორც რუსეთი, რუსეთი კი სრულიად დაიშალა. ამაშია განსხვავება, ეს ადვილად გასაგები არის.

მერე აქ საინტერესოა ერთი რამ. ერთი გაუგებრობაა, უბრალო გაუგებრობა. რომ დაჰკვირვებოდა ოპოზიციის წარმომადგენელი ამ კანონპროექტს მიხვდებოდა, რომ აქ ერთი პრინციპია. ის ამბობდა: მეორე ნაწილს კანონპროექტისას მხარს დაუ-



ქერთ, მხოლოდ პირველს კი არაო. გამოდის, ვითომ მეორეში არის სოციალისტური და დემოკრატიული პრინციპი და პირველში კი არა. ნამდვილად კი ერთი პრინციპია ორივეგან. აიღეთ, მაგალითად, ნატურალიზაციის პრინციპი. აქაც საჭირო არის სტაჟი. თქვენისთანა სოციალისტებიც, რომ მოვიდნენ უცხოეთიდან და ერთი წელიწადი აქ დაჰყონ, მოქალაქეებად არ გახდებიან თუ განსაკუთრებული ღვაწლი არ მიუძღვით მათ ჩვენს წინაშე. კანონ-პროექტი ამბობს პირდაპირ: თვალსაჩინო ღვაწლი ვისაც მიუძღვის, იმას არავითარი ვადა არ ესაჭიროება, ჩვენი რესპუბლიკა მათ მიიღებს ქვეშევრდომათ. ამის გარდა კიდევ არის ერთი საინტერესო რამ. გამოდის, რომ ბატონი გობეჩია იცავს ქალებს, ქალთა უფლებას, ჩვენ კი არა. ჩვენ სოციალისტები ვართ და ვართ მომხრენი ქალების უფლებების, მათი განთავისუფლების. ჩვენ ამ საკითხს ვეპყრობით ისე, როგორც მოითხოვს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი და იურიდიული მეცნიერება (ხმა: თქვენ ვერ გაგიგიათ!) ჩვენ არ შეგვიძლიან ფრაზას დავემყაროთ (ხმაურობა. თავმჯდომარის ზარი).

თქვენ ვერ გაგიგიათ; სამწუხაროდ ჩვენდა, ვერ გაგიგიათ და ვერც ეხლა იგებთ, რომ სადაო. აქ არაფერი არის.

რატომ უკარგავთ ადამიანობას ქალსაო, კითხულობს გობეჩია. ქალი გათხოვდა უცხოელზე, იგი იმდენად გატაცებულია თავისი ქმრით, რომ მიყვება სხვა სახელმწიფოში, ამით ის სულაც არ კარგავს ადამიანობას, როგორც ამას ბ. გობეჩია ფიქრობს. ამ კანონ-პროექტით ადამიანობას კი არ ჰკარგავს ქალი, კარგავს პირვანდელ მოქალაქეობას. მიყვება ქმარს, მიდის, ეთვისება სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესწყობილებას. ქალი დაკავშირებულია მემკვიდრეობის უფლებებით და საოჯახო უფლებებით,

მთელი სამოქალაქო უფლებით ხოეთის მოქალაქე ქმართან. აი, ამიტომ საერთო მოვლენაა, რომ ქალი ღებულობს ქმრის მოქალაქეობას. ეს საერთო მოვლენაა იმიტომ, რომ როდესაც უცხოელი ქალი შემოდის, ან აქ ჩვენ მოქალაქეს მოსთხოვდება, ის უკავშირდება მთელი თავისი ცხოვრებით, ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური ცხოვრებით ქმარს, ამიტომ აქ მოქალაქეობის ცვლა ბუნებრივი მოვლენა არის. ეს მოვლენა იურიდიული ფაქტია, და ამისთვის უნდა გამოვანახოთ იურიდიული მცნება. ჩვენ ჩვენი მოქალაქეობის უფლებას ვანიჭებთ იმ ქალს, რომელიც აქ შემოდის, როგორც ცოლი ჩვენი მოქალაქისა. უცხოელზე მითხოვილ ჩვენ მოქალაქე ქალს ჩვენ უტოვებთ ერთ გამოსავალს. აქ სწერია (კითხულობს).

„უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების, ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო უწლოვანო შვილები ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ისინი ერთი წლის განმავლობაში და სრულ წლოვანობის შემდეგ არ განაცხადებენ, რომ სურთ მამის მოქალაქეობაში დარჩენა“.

თუ ქალი არ განაცხადებს სურვილს, მაშინ დაკარგავს ჩვენს მოქალაქეობას. ორი მოქალაქეობა აკრძალულია, სახელმწიფო თხოულობს ერთ მოქალაქეობას, რას იზამთ მაშინ? აი, მაგალითად, საფრანგეთს, შვეიცარიას, ამერიკის სახელმწიფოებს რას უზამთ? ვთქვათ, გაყვა უცხოელს ჩვენი ქალი. იქ, უცხოეთში ის არ იცვნეს საქართველოს მოქალაქედ?

თქვენი პროექტით იბადება დიდი წინააღმდეგობა და თქვენ გინდათ ფრაზით, რაღაც გაუგებარი ფრაზით, გინდათ მოსპოთ ეს წინააღმდეგობა.

როდესაც მიშა არსენიძე ლაპარაკობდა (ხმაურობა. ზარი.) რაჟდენ არსენიძემ სიტყვა სთქვა (ხუმრობა. სიცილი. ზარი) ბ. გობეჩია გააკრიტიკა, ბ. გობეჩიამ წამოიძახა: ვინ იყო მსაჯულათო. გამოდის რომ ჩვენ, ჩვენ სახელმწიფოს, ჩვენ დამფუძნებელ კრებას, ჩვენ პარლამენტს, ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკას, არ შეეძლო თურმე გამოეცხადებია ჩვენ მტრებად ისინი, ვინც მართლაც იბრძოდნენ იარაღით ხელში ჩვენს წინააღმდეგ. ბ. გობეჩია, მე მგონია თქვენი არგუმენტაციით თქვენ გასურთ უნებურად, რასაკვირველია, გასურთ გავაძლიეროთ, შმაგაილოვის მაგალითები, რომ შმაგაილოვიშჩინა რაც შეიძლება მეტი იყოს. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. მე ვამბობ, მსაჯული იყო ერი, ხალხი, საქართველოს დემოკრატია, საქართველოს ხალხი, ის ხალხი, ვინც გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თქვენ მოგცათ და ჩვენც მოგვცა უფლება და საშუალება აქ ვისხდეთ და ვიკანონმდებლოთ. ის იყო მსაჯული. თქვენ ექვი გებადებათ. ფიქრობთ, რომ ისინი, ჩვენი მტრები, არიან რევოლუციონერები. ჩვენ კი — კონტრ-რევოლუციონერები. ეს სხვა აზრია. ჩვენ ვიცით, ვინ არიან რევოლუციონერები, და ვინ არიან კონტრ-რევოლუციონერები. ისიც ვიცით, თუ როგორ ეპყრობოდნენ ჩვენს უფლებებს ეს პირები, რომელთაც ასე უხამუშად იცავთ. მე მგონია ისინი არიან კონტრ-რევოლუციონერები, ვისაც თქვენ იცავთ. ისინი არიან მებრძოლნი ერის თვით გამორკვევის წინააღმდეგ, საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან. კარგად იცით თქვენ, რომ ყველა ფრონტზე იყვენ ისინი, ყოველგან იბრძოდნენ. აი იმათ ჩვენ არ მივცემთ ნებას, რაც უნდა მოეწონოთ ჩვენი სამშობლო საქართველო, (ვიცით რომ მოსწონთ), ვერ მივცემთ ნებას, რომ იყვნენ ჩვენი მოქალაქე-

ნი. ყოველ შემთხვევაში უნდა მივიღოთ ისეთი სტაჟი, ისეთი პირობები, ისეთი ცხრილი, რომელიც აუცილებელი იქნება მათი ჩვენ მოქალაქეებათ მიღებისათვის. ეს არის მოკლედ ჩვენი პასუხი. საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ კრიტიკა სერიოზული არ იყო. ჩვენ ამას საერთო პრინციპულურ მოსაზრებით მოგახსენებთ, რაც შეეხება კერძოდ მეორე საკითხს, რომ შესაძლებელია მართლაც რაიმე ჩაუმართოთ ამა თუ იმ მუხლში, ან გამოვსკლოთ წვრილმანი რამ, ეს იქნება შემდეგ. დღეს კი ის ჩვენი შეხედვით აუცილებლად მისაღებია, აუცილებლად რესპუბლიკისა და დემოკრატიისათვის. ანტი — სახელმწიფოებრივი შეხედულება ვისაც უნდა დაიცვას, ვისაც არ უნდა საქართველო, საქართველოს დემოკრატია, — აი იმან უნდა მიცეს ხმა ბატონ გობეჩიას მიერ შემოტანილ კანონ-პროექტს.

მეორე განხილვა კანონ-პროექტისა  
მოქალაქეობის შესახებ

**თავმჯდომარე.** შემდეგი საკითხი: მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა მოქალაქეობის შესახებ.

უნდა მოგახსენოთ, რომ მომხსენებლად დასახელებული გახლავთ საყვარელიძე, მაგრამ პრეზიდენტს მოუვიდა ოფიციალური ქალაქი, სადაც ნათქვამია, რომ მომხსენებლად იქნება საყვარელიძის მაგივრად არსენიძე.

**მომხსენებელი.** (არსენიძე) კანონ-პროექტი მოქალაქეობის შესახებ. პირველი მუხლი. (კითხულობს)

**თავმჯდომარე.** პირველი მუხლის შესახებ სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს შენგელიას.

**ლეო შენგელია** (სოც-რევ.). ბატონებო! ქვეშევრდომობის საკითხი ბუნებრივად იწვევს აზრთა შეხლა-შემოხლას, უთანხმოებას. სამი აუცილებელი ელემენტი, რომლისაგანაც შესდ



გება ყოველი სახელმწიფო: ერი, ტერიტორია, და კანონები, დღეს ჩვენში განიცდის ჩამოყალიბების, საბოლოო გამორკვევის პროცესს. ჩვენ გვინდა, რომ ეს პროცესი ჩატარდეს უმტკივნეულოდ ჩვენი დემოკრატიის საკეთილდღეოდ. ამიტომ წამოყენებულ კანონ-პროექტს და მის ყოველ მუხლს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს კანონი მაშინ მიიღწევს თავის მიზანს, თუკი ის საკვებით შეინარჩუნებს ინტერნაციონალურ სულს, თუკი ჩვენ საქმით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ თავისუფალ საქართველოში არ არის ელინი და იუდეველი, არამედ ყველა თანასწორი არის. ჩვენის აზრით, ქვეშევრდომობის კანონს უნდა დაედვას საფუძვალად ორი უდავო მოსაზრება. ჩვენ არ შეგვიძლიან ძალით ვისმეს თავს მოვახვიოთ ჩვენი ქვეშევრდომობა, ჩვენ არ შეგვიძლიან უთხრათ ვისმეს გინდა თუ არა გინდა — იყავი ჩვენი ქვეშევრდომი. მეორეს მხრივ, ჩვენ არ უნდა შევქმნათ ხელოვნურად ისეთი პირობები, რომ ვისმეს ძალით ხელი ავადებინოთ ჩვენ ქვეშევრდომობაზე. სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონ-პროექტი და მისი პირველი მუხლი ამ მოთხოვნნილებას ვერ აკმაყოფილებს. პროექტში არის წამოყენებული ორი პირობა, ერთი — განსაზღვრული ვადა, თარიღით 14 წლისა, მეორე — მიწერა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი ეს პირობა აუცილებელ საპირობას არ წარმოადგენს. დავიწყოთ თუნდაც ამ თარიღიდან. მე არ მომისმენია, სამწუხაროდ, ბ. საყვარელიძის მეორე მოხსენება, მაგრამ მოვისმინე პირველი მოხსენება. იქ ბ. საყვარელიძე ასე ასაბუთებდა ამ თარიღს. ის ამბობდა, რომ 14 წელიწადი არის დიდი წელიწადი, მაშინ მოხდა დიდი ამბებიო. მე არ ვიცი, რას ეძახის ბ. საყვარელიძე დიდ ამბებს. მართალია ამ

წელს დაიწყო ევროპული ომი, კაცობრიობას თავს დაატყდა საშინელი უბედურება, მაგრამ, ვერ გავიგე, რატომ მაინცა და მაინც ჩვენი მოქალაქეობის ერა უნდა დავიწყოთ ამ უბედურ დღიდან. სოციალისტურ თვალსაზრისით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს 1917 წელს. მაშინ მოხდა დიდი რევოლუცია, რომელიც მთელ მსოფლიოს ედებდა. თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ეროვნულ თვალსაზრისით, მაშინ გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე 14 და 17 წელს, აქვს 1918 წელს, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ესე იგი, როდესაც ჩვენი ერი აღდგა პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად. შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ ამ წლიდან დაიწყო ომი და მაშასადამე აქ იყო ფრონტი და აგრეთვე მრავალი დაწესებულება, რომლითაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ომთან. მაგრამ დღეს ეს მოსაზრება უსაფუძვლო იქნება იმიტომ, რომ ეს ფრონტი აღარ არის, დაიშალა, აგრეთვე მოხდა სრული ლიკვიდაცია იმ დაწესებულებებისა, რომელთაც ჰქონდათ კავშირი ამ ომთან, ასე რომ, არც ერთი რუსის ჯარის კაცი ამ ფრონტზე აღარ არის. ეს თარიღი ჩვენთვის არის უბრალო ანაქრონიზმი და ამიტომ მიუღებელი არის. მეორე მოსაზრება არის ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერა. ამ პირობის მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ვინც ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი არიან, გაცილებით უფრო დაინტერესებულნი არიან ჩვენ რესპუბლიკის განმტკიცებაში, ვიდრე ისინი, ვინც ადმინისტრაციულ ერთეულის გარეშე დარჩნენ. მაგრამ ამას ვერავინ ვერ დაამტკიცებს. აქ ეს მუხლი ორათ ჰყოფს საქართველოს მოქალაქეებს, მკვიდრნი და არა მკვიდრნი, ესე იგი ჩვენ და ისინი. ჩვენთვის

ეს სრულიად მიუღებელია. თითონ ტერმინი „ადმინისტრატიული ერთეული“ გამოურკვეველი არის. რომ ეს გამოურკვეველი არის ამას თვით მთავრობამ მიაქცია ყურადღება და გაუკეთა თავისი განმარტება. ამ განმარტების ძალით ადმინისტრატიულ ერთეულად ითვლება სხვა და სხვა წოდება, თავად-აზნაურების წოდება, გლეხთა, მეშჩანთა, ვეჟილთა კორპორაცია, ესე იგი, ისეთი წოდებანი, რომელშიაც ჩაწერილნი უნდა იყვნენ მხოლოდ ქართველები. მაგალითად თავად-აზნაურობის წოდებაში შედიან მხოლოდ ქართველი თავად-აზნაურები, გლეხ-კაცებში არიან მხოლოდ ქართველი გლეხ-კაცები. რაც შეეხება სხვა ერების დემოკრატიულ ელემენტებს, ისინი არ ირიცხებიან არც თავად-აზნაურების წოდებაში, არც ვეჟილთა კორპორაციაში, არც გლეხთა. ეს არის მიმართული სხვა ერების დემოკრატიულ ელემენტების წინააღმდეგ. ამიტომ, ჩვენის აზრით, ის მიუღებელია. საერთოდ მთელ კანონ-პროექტის, როგორც ვიცით en bloc მომხრე არიან როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე ფედერალისტები. მათ შორის არის სრული allianse ეს სავსებით გასაგებია. ჩვენ ვიცით, იყო დრო, როდესაც სოციალ-დემოკრატები ცნობილი იყვნენ თავისი ეროვნული ნილილიზმით მაგრამ, თან და თან, მათ გადალახეს რუბიკონი და ჩვენ ვიცით, რომ მათ აღიარეს არა მარტო ეროვნული ავტონომია, არამედ აღიარეს თვით დამოუკიდებლობა.

თუ რამდენად დაშორდა სოციალ-დემოკრატია თავის პირველ პოზიციას ეს აშკარად სჩანს შემდეგ ფაქტიდან. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე ბ. ნოე ჟორდანიამ წაიკითხა ვრცელი მოხსენება ეროვნულ საკითხის შესახებ. ბ. ჟორდანიას თავის მოხსენებაში ამბობდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და

გაძლოა ბურჟუაზიის საქმე. ასეთ პოლიტიკას დღეს თვითონ სოციალ-დემოკრატია აწარმოებს. ასე მოხდა უდიდესი მეტამორფოზა, ესე იგი სოციალ-დემოკრატია განაციონალისტდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ კანონს, ასე თავგამოდებით იყავს სოციალ-დემოკრატების პარტია. ის პარტია, რომლის ცენტრალური ორგანო რამდენიმე ხნის წინათ, სწერდა: „სომხის ლტოლვილები დაუყოვნებლივ განდევნილ უნდა იქნენ საქართველოს საზღვრებიდან, ხოლო ის პირები, რომლებიც არ არიან საქ. მოქალაქენი განდევნილ უნდა იყვნენ ჩვენი სოფლებიდან და ქალაქებიდან, განსაკუთრებით სომხები.“

შემდეგ „სახალხო საქმე“ განაცხობს: „აუცილებლად უნდა გაიწმინდოს ჩვენი ქვეყანა შხამიან პარაზიტებისაგან. ჩვენ უნდა მოვიცილოთ თავიდან ის ტვირთი, რომელიც ჩვენ გვაწვება ფინანსიურადაც — ესენი არიან სომხის ლტოლვილები“. აი ამას ჰქვია ზოოლოგიური ნაციონალიზმი (ხმაურობა). თუ გინდათ, რომ ჩვენმა კანონმა თავის მიზანს მიაღწიოს, რომ შესარულოს თავისი დანიშნულება, ესე იგი ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, — მთელი ჩვენი არსებით უნდა შევებრძოლოთ ამ ნაციონალიზმს.

**თავმჯდომარე.** სოციალ-რევოლუციონერების ფრაქციის მიერ არის შემოტანილი შესწორება:

„1. სრულიად ამოიშალოს კანონ-პროექტის მთელი პირველი ნაწილი (მუხლები: 1, 2, 3, 4 და 5) და მის ნაცვლად შეტანილ იქნეს შემდეგი ორი მუხლი:

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთ ჩაითვლება ყოველი პირი, რომელიც ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონის გამოქვეყნებამდე თუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონ-

ნის გამოქვეყნებისა არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე.

2) პირველ მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელთ აღნიშნავს განსაკუთრებულ წიგნში“.

II. გარდა ამისა კანონ-პროექტის მეორე ნაწილის მე-7 მუხლის პირველ შენიშვნიდან ამოიშალოს სიტყვები: „თავისი მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ“; აგრეთვე ამოიშალოს სრულიად იმავე მე-7 მუხლის შენიშვნა მეორე: „აგრეთვე ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქეთ ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი“.

სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს გიორგაძეს.

**გრიგოლ გიორგაძე** (ს.-დ.) ბატონებო, ყველა ნათქვამის, ან დაწერილის სარგებლობა უნდა მოხდეს იმგვარად, რაგვარადაც ის იყო ნათქვამი და როგორადაც ამას აყენებს ესა თუ ის ავტორი. და როდესაც რომელიმე ავტორმა, ან ნოე უორდანიამ აღნიშნა რა მნიშვნელობა ჰქონდა ბურჟუაზიას სახელმწიფოს შექმნაში და როგორ მიიღტვოდა ის, ეს კიდევ იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ვინმე დღეს იდგეს ამ ნიადაგზე, ან დღევანდელ მომენტში ასრულებდეს ისტორიულ მოვალეობას.

ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს (ხმა: ბურჟუაზიულს!) და აი ამ თვალთახედვისაგან გამოვდივართ. თქვენ ანგრევთ სახელმწიფოს და აქედან გამომდინარეობს თქვენი შეხედულება (ხმა: დემაგოგია!) მე უნდა მოგახსენოთ, რომ თუ დემაგოგიაზე იტყვი, მთელი ის სიტყვა, რომელიც აქ წარმოითქვა, ნამდვილი დემაგოგიაა. და როდესაც თქვენ ამბობთ, რომ ყველას

მიუხედავად რაიმე ობიექტიური ნიშნობლივ თვისებისა, მიეცეს ერთგვარი უფლება სახელმწიფოში, ეს არ არის სახელმწიფოს აშენება. (ხმაურობა, ზარი თავმჯდომარისა).

დატას, რომელიც აქ არის წამოყენებული, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. თქვენ განაცხადეთ, რომ არ მოგისმენიათ ბ. საყვარელიძის მეორე სიტყვა, თუ რას ნიშნავს ეს დატა, — მსოფლიო ომის დაწყება, მაგრამ, თქვენ კარგად იცით, რომ ეს არის ის ისტორიული დატა, როდესაც მოხდა დიდი ხალხთა გადაჯგუფება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ყოფილ რუსეთის სახელმწიფოში. ეს იყო ის ფრონტი, რომელსაც ეს ს. რ. ეყრდნობოდნენ, და რომლის მეოხებით ყოყოჩობდნენ ერთ დროს ჩვენი ს. რ. დაბა-ქალაქებში, სადაც ეს ფრონტი თავმოყრილი იყო. ამ გვარად, სახელმწიფოს შექმნა და აშენება ყოვლად შეუძლებელია. ის, ვისაც აქვს რაიმე ინტერესი სახელმწიფოში, ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან მის აშენებაში, წარმატებაში, და შექმნაში, — აი ასეთი პირები საქართველოს მოქალაქეებია. საქართველოში და სხვა ადგილებში მთელ რუსეთის ტერიტორიისა ისეთმა პირებმა მოიყარეს თავი სრულიად შემთხვევით, ომის მიზეზით, რომლებსაც არავითარი ინტერესი ამა თუ იმ ტერიტორიასთან არა აქვთ. მაგრამ ისინი ვინც ცხოვრობენ აი ამ დროდის ადგილობრივ, ისინი ვინც მიწერილ იყვნენ ამა თუ იმ ტერიტორიის ერთეულზე, აშკარაა მათ ჰქონდათ ინტერესი, მათ აინტერესებდათ ადგილობრივი მდგომარეობა და პირობები, აინტერესებდათ ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა. აი აქედან გამოვდივართ ჩვენ, და ამ დებულებაზე არის დამყარებული ეს მუხლი. თქვენი წინადადება კი ისეთია, რომ სრულიად ამოიშალოს

ეს მუხლი. და ყველა, ვისაც კი ეს სურს, გახდეს საქართველოს მოქალაქეო, ეს ხომ ნამდვილად არ იქნება არც ჩვენი დემოკრატიის ინტერესის დაცვა, და შეიძლება, არც იმ პირთა დაცვა, ვისაც თქვენ ასეთ უფლებას ანიჭებთ. ეს იქნება ერთგვარი კარის გახსნა და სარგებლობა დროებით იმით, რაც მათთვის დღევანდელ პირობებში ხელსაყრელია, თქვენ ნუ დაივიწყებთ იმას, რომ მოქალაქე სახელმწიფომ ყველგან უნდა დაიცვას, საქართველოს მოქალაქე თუ სხვა სახელმწიფოში მიდის, — იქაც უნდა დავიცვათ ეს მოქალაქე, მისი ინტერესები. იქ, უცხოეთში უნდა შეიქმნას მთელი ორგანიზაცია, რომელიც მათ, მოქალაქეთა ინტერესებს დაიცავს. წარმოიდგინეთ ისეთი მდგომარეობა, რომ აუარებელი ხალხი არის, ამ აუარებელმა ხალხმა გამოაცხადა სურვილი ე. ი. არ შემოიტანა განცხადება ჩვენი მოქალაქეობის წინააღმდეგ, არ უარყო თქვენი წინადადება, რომ მე არ მსურს თქვენი მოქალაქეობაო. მაშასადამე, ის საქართველოს მოქალაქეთ დარჩება, და ერთი ან ორი თვის შემდეგ ეს ხალხი აქედან დაიძრა, წავიდა. ჩვენი სახელმწიფოც ვალდებულია მათი ინტერესების დაცვას, როდესაც ისინი წავლენ სხვა სახელმწიფოში, ისე რომ ამ შემთხვევაში, მოქალაქეობა უბრალო სიტყვა კი არ არის, ეს მდგომარეობა ბევრ მოვალეობას აკისრებს სახელმწიფოს. ამრიგად, ჩვენთვის, ჩვენი დემოკრატიისათვის, ჩვენი სახელმწიფოებრივ წესწყობილებისათვის და იმ რევოლუციის მონაბოვართა შესანარჩუნებლათ — ეს ხელსაყრელი არ არის. გარდა ამისა დიდ მოვალეობას აკისრებს თვით სახელმწიფოს, — რომ ის მიიღოს, ვინც სურვილს განაცხადებს ის კი არა, ვინც უარს არ იტყვის, — ყველა იმას თუ წარმოიდგინთ, მაშინ ნამდ-

ვილათ მიხვდებით, ნამდვილათ ანალოგურებთ იმას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში დემოკრატიულ ნიადაგზე ვდგავართ, დემოკრატიულ ხაზს ვაწარმოებთ; ეს ერთი და მეორე თქვენი შეხედულება დამოკრატიული კი არაა, ნამდვილი ანარქისტულია. იმიტომ თქვენი წინადადება უარყოფილი უნდა იყოს და პირველი მუხლი უცვლელად უნდა დარჩეს.

**თავმჯდომარე:** კრების წევრი გობეჩია.

**ივანე გობეჩია.** (ს.-რ.) მოქალაქენო! წინა სხდომაზე, როდესაც მოქალაქეობის კანონ-პროექტის შესახებ საერთო მსჯელობა წარმოებდა, ჩვენმა ფრაქციამ ამ კანონ-პროექტში ზოგიერთი შესწორება შეიტანა. მე მაშინ დაწვრილებით შევეხე კანონ-პროექტს და აღვნიშნე ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელს დიდი პროგრესი ემჩნევა შედარებით მოქალაქეობის იმ კანონთან, რომელიც ეროვნულ საბჭოს მიერ იყო მიღებული. მაგრამ კანონ-პროექტის ღირსების აღნიშვნასთან ერთად მე შევეხე აგრეთვე მის უარყოფით მხარეებსაც, მე ვამტკიცებდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ სოციალისტურ და ინტერნაციონალური თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია მესხეთე მუხლის არსებობა კანონ-პროექტში იმ შინაარსით, რომლითაც ის არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო კომისიის მიერ. მე მოვითხოვდი, რომ დამფუძნებელ კრებას თავის საკანონმდებლო მოღვაწეობაში თავიდან აეცდინა ისეთი ტენდენცია, რომელიც მიმართულია მხოლოდ ერთი პიროვნების პრივილეგიური მდგომარეობის შექმნისაკენ. მე ეს ჩემი მოთხოვნა მაშინ საკმაოდ დავასაბუთე და განმეორება იმის, რაც ყოველ ინტერნაციონალისტ-სოციალისტისთვის უდაო უნდა იყოს, ზედმეტათ მიმაჩნია.

## ანონსი

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და  
კულტურული უფლებების შესახებ.

□

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური  
უფლებების შესახებ.

□

ვალერი ჭალიძე: სოციალისტური კონსტიტუციის  
შესახებ.

□

ლუი დე ფიურე: საქართველო და საერთაშორისო  
სამართალი.

□

გუსტავ რადგრუნი: თჳხენ, ახალგაზრდა იურისტებო!

გაბტარი ვახტანგ რურუა

**«САХЕЛМЦИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.**

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.  
**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.**

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 50/44

შპს 60 აპპ.

ინფორმაცია 76185

